გიორგი
ნახუცრიშვილი

ფიროსმანი

დრამა ოთხ მოქმედებად,
ათ სურათად

მოქმედი პირები

ნიკალა ფიროსმანი.
დიმიტრა, მისი კომპანიონი.
სონა, დიმიტრას ცოლი.
ვარინკა, დიმიტრას ობოლი დისწული.
სოლიკო, ახალგაზრდა ოფიცერი.
პროხორი, გოროდოვოი.
მარგარიტა, შანსონეტი.
მადამ ლილი.
ჩასუქებული ვაჭარი.
გამხდარი ვაჭარი.
კირილი, მიშელი } პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები.
ლადო, ქართველი მხატვარი.
ალექსი, მიკიტანი.
ივანიკა, მისი ხელზე მომსახურე ბიჭი.
არსენა ჯორჯიაშვილი.
დავით ზურაბიჩი, მდიდარი მოიჯარადრე.
ბეგო, სერგო, გეო } ნიკალას ამფსონები
კირაკოზა, მეეზოვე.
კონფერანსიე.
ოფიციანტი.
პოლკოვნიკი.
მოხუცი დედაკაცი.
როსკიპი ქალი.
უცნობი კაცი (ჯაშუში).
ბოქაული.

I მოქალაქე } მოხუცები.
II მოქალაქე }
მეშუშე.
ყეენი.
ბაზაზი.
ყასაბი.
მეთევზე.
I ამფსონი } დავით ზურაბიჩის მეგობრები.
II ამფსონი }
გოგია, დიმიტრას ვაჟი, 10—12 წლის (უსიტყვო როლი).

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

სახლის ბანი ძველი თბილისის შუაბაზართან. ბანზე — ბლომად მწვანე ბალახი, რომელზედაც გულაღმა წევს ნიკალა ფიროსმანი. იქვე — პატარა მოლბერტი და საღებავების მოზრდილი ხის ყუთი. ჰორიზონტზე, შესაღამოვების ფონზე, მკვეთრად მოჩანს ნარიყალას ნანგრევები.

ნ ი კ ა ლ ა (გატაცებით ცას გასცქერის).

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...
პირველად ქმნილსა ფერს,
სიყრმიდგან ვეტრფოდი...

(პაუზა.) შენ გენაცვალე, თბილისის ცაო!.. ო, რომ იცოდე, როგორ მიტაცებ... ასეთ სიღრმეს და ასეთ სილურჯეს რა საღებავი ვამოხატავს... თუმცა... მოიცა, ბიჭო... ოდნავ თალხიც რომ დავუმატო, მაშინ კი, მგონი, სწორედ ასე გალილისფრდება... (წამოხტება, საღებავს აზავებს, ფუნჯს ტილოსთან მიიტანს, მაგრამ შედგება.) არა. ჯერ არა... ცოტა იასამანიც შევურიო... (უმატებს, სინჯავს, ფუნჯს ოდნავ წაუსვამს ტილოს და დაკვირვებით სინჯავს. გახარებულია.) ის არის, ისა!.. (ცას გახედავს, თავის საღებავის ფერს ადარებს.) მგონი ეხლა კი მივაგენი მაგ შენს ღვთიურ ფერს... (გატაცებით მუშაობს. თან ღიღინებს.)

ცისა ფერს...
ლურჯსა ფერს...
სიყრმიდან ვეტრფოდი...

(ბანზე ამოდის ტანწერწეტა ლამაზი ქალი ვარინკა ჯამით ხელში. იგი მოკრძალებით შეჩერდება. მცირე ხანს ასე ტკბება ნიკალას ცქერით, შემდეგ ფრთხილად დადგამს ჯამს სამფეხა სკამზე და ასევე ფრთხილად აპირებს წასვლას, მაგრამ ნიკალა მოტრიალდება.)

ნ ი კ ა ლ ა. ვარინკა!.. შენა?

ვ ა რ ი ნ კ ა (წამოწითლებული, შემობრუნდება). აი, საჭმელი მოგიტანე.

ნ ი კ ა ლ ა. ქალო, რაზედ გარჯილხარ... ამომძახებდი და...

ვ ა რ ი ნ კ ა. რა ვიცი... ვიფიქრე, ალბათ ხატავს-მეთქი და...

ნ ი კ ა ლ ა. დიდი მადლობა, ჩემო ვარინკა!.. აღარც კი ვიცი, რითი გიზღო ამდენი ზრუნვა... (ვარინკა წასვლას აპირებს.) მოიცა, ქალო... აი აქ, ჩემ გვერდით დაჯექ... (ვარინკა მოკრძალებით ჩამოჯდება.) აბა შეხედე ჯერ ცას და მერე აი ამ ჩემს ფერს... ხომ ჰგავს, ჰა?..

ვ ა რ ი ნ კ ა (ადარებს). დიახაც რომ ჰგავს... ძალიანა ჰგავს...

ნ ი კ ა ლ ა (უკვე დაეჭვებული დასცქერის ტილოს). ჰმ... არა, არა... თითქოს რაღაც აკლია კიდევ...

(გარედან მოისმის ძახილი.)

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ. ნიკალა! ძმაო!..

ვ ა რ ი ნ კ ა (წამოვარდება). ვიღაც გკითხულობს... ეხლავე ამოგიყვან. (გარბის.)

ნ ი კ ა ლ ა. ეჰეი, ვინ არის მანდა?.. (ბანზე ამოდის ტანადი და ლამაზი ახალგაზრდა ოფიცერი, რომლის დანახვა ნიკალას ძალიან გაახარებს.) ბიჭო სოლიკო... უცებ ვერც კი გიცანი!..

ს ო ლ ი კ ო. ჩემო ნიკალა!.. (ერთმანეთს გადაეხვევიან, გადაკოცნიან.) ბიჭო, როგორ დამშვენებულხარ, როგორ დავაჟკაცებულხარ..

ნ ი კ ა ლ ა. შენც, შენც, ჩემო სოლიკო!.. საიდან, კაცო, ასე მიულოდნელად?

ს ო ლ ი კ ო. პეტერბურგიდან! სწავლა დავამთავრე და აი ეხლა უკვე ოფიცერი ვარ...

ნ ი კ ა ლ ა. სხვა, ჩემი ქალბატონი ელისაბედი როგორ ბრძანდება?

ს ო ლ ი კ ო. ეე, დედაჩემი უკვე მოხუცდა... შენთან მოკითხვა დამაბარა. სწორედ მის სანახავად ჩამოვედი და ისევ მალე უნდა წავიდე...

ნ ი კ ა ლ ა. სად, კაცო?

ს ო ლ ი კ ო. ისევ პეტერბურგში...

ნ ი კ ა ლ ა. ბიჭო, იქ რა გინდა... დარჩი, აქ იყავ!..

ს ო ლ ი კ ო (ტუჩაბზუებით ხელს ჩაიქნევს). იჰ, აქ რა მინდა!.. ჰო, მართლა, ძმაო, ძლივს მოგაგენი... დალოცვილო, ამ ბანზე რამ ამოგიყვანა?

ნ ი კ ა ლ ა (ჩაიღიმებს). ჩვენი თბილისის ცის სილურჯემ... (იცინიან.)

ს ო ლ ი კ ო. ეს ამდენი ბალახი რაღა ამბავია?

ნ ი კ ა ლ ა. რა ვქნა, ძმაო... ეს ოხერი, სოფელი მიყვარს... მიყვარს მისი სიმწვანე და მისი სიგრილე... მაგრამ ველარ მივდივარ და აი ასე მწვანე ბალახზე დავწვები ხოლმე და, სიმართლე გითხრა, ისე მეამება...

ს ო ლ ი კ ო (იცინის). ოო, რა გაუსწორებელი მეოცნებე ხარ... შენ ალბათ ლამეც აქა გძინავს?

ნ ი კ ა ლ ა. აბა მაშ როგორ!.. აი ასე გულაღმა ვწვები და დიდხანს, დიდხანს ვერ ვიძინებ...

ს ო ლ ი კ ო. რატომ?

ნ ი კ ა ლ ა. ვარსკვლავებიან ცას გავცქერი და... რაღაც ოცნებებს წამოიღებს ხოლმე... ასე მგონია, ვარსკვლავები რომ ციმციმებენ, თვალს მიკრავენ და თავიანთკენ მიხმობენ-მეთქი...

ს ო ლ ი კ ო (მოლბრეტს დახედავს.) ბიჭოს, შენ ისევ ხატავ?..

ნ ი კ ა ლ ა (დრცხვენით). ჰმ... უფრო გამწარებული!.. (იცინიან.)

ს ო ლ ი კ ო. საოცარია, რომ იმ ყმაწვილურმა გატაცებამ არ გაგიარა... გახსოვს, თექვსმეტი წლისა რომ შესრულდი და მამაჩემი შეგეკითხა, რა ხელობაზე მიგაბაროო, და შენ რომ ხვეწნა დაუწყე, მე მხოლოდ მხატვრობა მენატრებაო...

ნ ი კ ა ლ ა. აჰაი დედასა... რა ადვილი მეგონა მაშინ მხატვრად გახდომა...

ს ო ლ ი კ ო. ამას რას ხატავ?..

ნ ი კ ა ლ ა. ჩვენი დიდების აი ამ ნაშთს...

ს ო ლ ი კ ო. ნარიყალასა?

ნ ი კ ა ლ ა. დიახ! დღეს ჩემი გული ნიკოლოზ ბარათაშვილით არის სავსე... წელან „ბედი ქართლისა“ გადავიკითხე და უცებ თვალწინ დამიდგა ნარიყალაზე მეფე ერეკლე... დურბინდით ხელში... კრწანისის მინდორს გადასცქერის და იქ კი:

დაჰკრეს ნაღარა,
გულნი შეზარა,
და მტერთ საომრად
ჯარნი შეჰყარა...

აი ეს მინდა გამოვხატო, თუკი შევძელი...

ს ო ლ ი კ ო. ეე, შენ კვლავ პოეტად დარჩენილხარ... მართლაცდა, შენ რომ ხატვა გესწავლა...

ნ ი კ ა ლ ა. ეჰ, სოლიკოჯან, თქვენთან „პოვრობა-ლაქიაობაში“ რას გავხდებოდი... დიდი მადლობა დედაშენს, რომ წერა-კითხვა მაინც მასწავლა...

ს ო ლ ი კ ო. კი, მაგრამ ეხლა ფული გაქვს... ვინმე ოსტატს რომ მიებარო...

ნ ი კ ა ლ ა. შენ კი გაიხარე!.. ორ ნასწავლ მხატვარს უკვე მივმართე, მაგრამ ჩემს ნახატებს ახედ-დახედეს და ასე მომახსენეს: ტყუილუბრალოდ დროს ნუ დაკარგავ... ამ საქმისათვის უნიჭო ხარო...

ს ო ლ ი კ ო. მერე?

ნ ი კ ა ლ ა. მერედა არაფერი! ჩემთვისღა ვხატავ... ჭიას ვახარებ... მინდა როგორმე გულიდან გადავიგდო, ხელი ავიღო, მაგრამ ხატვის ჟინი რომ ამიტანს, კედლებს ვასკდები... თუ არა ვხატე, ასე მგონია, გავგიჟდები... მთელ ჩემს სიცოცხლეს აზრი უქრება.

ს ო ლ ი კ ო. ბიჭოს! ეს კი იმასა ნიშნავს, რომ ნამდვილად მხატვრად დაბადებულხარ...

ნ ი კ ა ლ ა. მართლა, სოლიკო? უჰ, ბიჭო, შენ იდღეგრძელე! (დაფაცურდება.) კაცო, ძმაო, ამ ბანზე რაღასა ვდგევართ... წამო, ჩავიდეთ ჩემს ოთახში... ჩემს სურათებსაც გაჩვენებ ბარემ...

ს ო ლ ი კ ო. წავიდეთ... ვნახოთ...

ნ ი კ ა ლ ა. მერე კი აქვე სამიკიტნოში უნდა ჩამომყვე. ჩვენი შეხვედრის მაღარიჩი უნდა დავლიოთ...

ს ო ლ ი კ ო (იცინის). არა, ნიკალა... იმ დახუთულ სამიკიტნოში ხომ დავიხრჩვებით. თუ ეგრე გინდა, მოდი, გორგიჯანოვის ბაღში წავიდეთ... იქ გრილა კიდეც... მუსიკაც უკრავს...

ნ ი კ ა ლ ა. ბაშუსტა, ძმაო... მე იქ არასდროს არა ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც გენებოს... აი ამ საღებავებით შესვრილ ტანსაცმელს გამოვიცვლი და...

(ბანიდან ჩამოდიან. სცენა ტრიალებს და მაყურებლის წინაშე გადაიშლება ძველი თბილისის შუაბაზარი. მარჯვნივ კუთხეში — ნიკალას რძის პროდუქტების დუქანი აბრით „მოლოჩნაია“, ხოლო ამ წარწერას აქეთ-იქიდან მიხატული აქვს თითო ძროხა. დუქნის თავზე მოჩანს ბანიანი ოთახი, რომლის ფანჯრიდან ნიკალა და სოლიკო ქალაქს გადასცქერიან. ამ დუქნის ჩაყოლებით მიჯრილია სხვა დუქნები — ბაზაზისა, ყასაბისა, მეთევზისა და სხვა. გადასწვრივ — სამიკიტნო, საიდანაც მოისმის არღნის ჭყვიტინი, მოქეიფეთა სიმღერა და ხარხარი. სცენის იქით იგრძნობა ბაზრის გაგრძელება, საიდანაც მოისმის შეძახილები.)

„აპა-პაჰ-პაჰ-პაჰ!..“ „ეს რა მოგვიტანია!.. ეს რა მოგვირთმევია“... „დავაიაფეთ, დავაიაფეთ!..“ „ქობები მოსაკალი, სამოვარი მოვკალამ!..“ რიბა, რიბა, რიბა, რიბა!.. „ხურმა მოვიდა, ხურმა, ძველ კალოშებზე, წამლის შუშებზე. „პაჰ, პაჰ, პაჰ, პაჰ!..“ „რა მწვანილია! რა მწვანილი!.. პატარძლის ხელით დაკრეფილი!“ „ამ კოხტა ვირის მოტანილი“... „ეჰეი, თულუხჩი!..“ „წყალი მოიტა!..“ „ქაა, სტოი, კონკა!.. წამო, კეკე!..“ „ხაში უგლეი!.. ხაში უგლეი!“

ს ო ლ ი კ ო (უგუნებოდ). მაინც არ მესმის, აქ რა არის საინტერესო... აბა, მითხარი, აქ რას დახატავ?

ნ ი კ ა ლ ა. როგორ თუ რასა? ჩვენს დედა თბილისს... ჩემს ტკბილ კახეთს... მთელ საქართველოს... (ბაზარზე მიუთითებს.) აი,

რამდენი რამ არის დასახატი, თუ თვალი გიჭრის... აბა შეხედე იმ ტიკმოკიდებულ კურტნიან მუშას და შეშით დატვირთულ ამ სახეღარსა... (გულისტკივილით.) თუ ძმა ხარ, რაღა განსხვავებაა ამ ადამიანსა და იმ პირუტყვს შორის...

ს ო ლ ი კ ო. ჰმ... ორივ მზიდავი საქონელია!

ნ ი კ ა ლ ა. ანდა... თუ მხატვარი ხარ, აი ის კაცმა როგორ არ დახატოს...

ს ო ლ ი კ ო. რა?

ნ ი კ ა ლ ა. აგერ ის უშვილო მილიონერი და აი ეს ღატაკი, წვრილშვილი ქალი... საოცარია, ვისაც ურიცხვი ფულები აქვს, შვილი არა ჰყავს... და ვისაც ბევრი შვილები ჰყავს, ფული არა აქვს... და აბა ეხლა გამოიცანი, მაგ ორში ვინ უფრო მდიდარი და ბედნიერია?

ს ო ლ ი კ ო. ოჰ!.. რა თქმა უნდა — მილიონერი!

ნ ი კ ა ლ ა. სცდები ,სოლიკო!.. საწყალი დედაჩემი იტყოდა ხოლმე: შვილებზე ტკბილი, შვილებზე დიდი სიხარული და სიმდიდრე ამქვეყანაზე არაფერიაო... ანდა, მითხარი, სხვაგან სად ნახავ ასეთ თულუხჩის, ან ისეთ მკალავს... აი ამ მხერხავს... იმ მენახშირეს... ამ დარბაისელ ყარაჩოხელსა... ანდა ამნაირ თაბახიან კინტოს? მხოლოდ თბილისში! მხოლოდ აი აქ!

ს ო ლ ი კ ო მერედა ეგ ყველაფერი ვის რად უნდა?

ნ ი კ ა ლ ა. როგორ თუ ვისა? შე დალოცვილო, სხვები სამარყანდის ბაზრებს ხატავენ და ჩვენი თბილისის ამ ჭრელმა ხალიჩამ რა დააშავა?

ს ო ლ ი კ ო. ეგ ყველაფერი მოისპობა, წავა, გაქრება...

ნ ი კ ა ლ ა. ჰოდა, მით უფრო უნდა დავხატოთ, რომ მომავლებმა ცხადად წარმოიდგინონ, თუ როგორი იყო ჩვენი თბილისი, რომ მერე თავიანთ თბილისს შეადარონ... რა ვქნა, ძმაო, ძალიან მიყვარს ჩვენი ხალხის შნო და ლაზათი. ჩვენი თბილისიც ძალიან მიყვარს... რასაც ვხედავ, იმასა ვხატავ...

ს ო ლ ი კ ო. ეჰ, სისულელეა!.. (შორიდან მოისმის ხალხის სიცილ-ჟრიამული და დაფა-ზურნის ხმა.) ეს რაღა ამბავია?

ნ ი კ ა ლ ა. ყეენობაა!.. ჩვენი ლამაზი ყეენობა!

ს ო ლ ი კ ო. ეგეც დიდი არაფერია! შენ უნდა იტალიური კარნავალები ნახო!

ნ ი კ ა ლ ა. რას ამბობ, ძმაო... ეს ჩვენია!... ქართულია... ამას იტალიებში ვერა ნახავ... ეს ჩვენი თეატრია... წამო, ჩავიდეთ, ახლოს ვნახოთ...

ს ო ლ ი კ ო. წავიდეთ... თუ ძმა ხარ, გორგიჯანოვის ბაღში წავი-

დეთ... (ფანჯარას მოშორდებიან; ბაზრის მოედანზე შემორბის ხალხი, რომელიც აქლემზე მჯდომ ყეენს შემოსდევს. „ყეენის“ „ვეზირები“ ზურნას უკრავენ, ჯოხებით ხალხს მოარღვევენ. დუქნებიდან მედუქნეები გამოდიან. საერთო სიცილ-ჟრიამული. შემოდიან ნიკალა, რომელსაც უკვე ევროპული კოსტუმი აცვია, და სოლიკო. ყეენი მათკენ დაიძვრება.)

ყ ე ე ნ ი (ნიკალას). შენ ეი, ეხლავე თაყვანი მეცი და შემაქე, თორემ...

ნ ი კ ა ლ ა (სიცილით). რათა, შენი კვნესამე?!

ყ ე ე ნ ი. იმიტომ, რომ შენი მბრძანებელი ვარ!

ნ ი კ ა ლ ა. მერედა, რისთვის შეგაქო?.. რა სიკეთე მოგიტანია?

ყ ე ე ნ ი. ვერ უყურებთ ამ უხიაკსა! ბიჭო, ამაზე მეტი სიკეთე გინდა? შენი დამპყრობი და მბრძანებელი ვარ!

ნ ი კ ა ლ ა. დიდი მადლობა, შენი ჭირიმე, მაგრამ მაგისათვის მაინც ვერ გაქებ!

ყ ე ე ნ ი. აა, მაშ ეგრე!.. ეი, ვეზირებო!.. ეხლავე თავი წააგდებინეთ!

(საერთო ხარხარი.)

ნ ი კ ა ლ ა (სიცილით). ოღონდ ნუ მომკლავ, დიდო ყეენო, და ეხლავე გაქებ-გადიდებ!

ყ ე ე ნ ი. ჯერ ხარკი გადაიხადე!

ნ ი კ ა ლ ა. ინებე, ჩვენო მბრძანებელო!.. (ფულს მისცემს. დამსწრენი კვლავ ხარხარებენ.)

ყ ე ე ნ ი (ბაზარს გადასძახებს). ეჰეი, გურჯო მედუქნეებო! ეხლავე ხარკი მომართვით, თორემ სუყველას თავებს დაგაყრევინებთ!..

(დუქნებს ჩამოუვლის.)

ს ო ლ ი კ ო. თუ ძმა ხარ, წამო... უკვე მომბეზრდა...

ნ ი კ ა ლ ა. წავიდეთ, ძმაო... თუმცა, ჯერ მოდი ჩემს კამპანიონსაც გაგაცნობ ბარემ... (დუქნის კარებში მდგომ დიმიტრას.) ძმაო დიმიტრა, გაიცანი! ეს სოლიკოა! ამათ ოჯახში გავიზარდე ობოლი ბიჭი.

დ ი მ ი ტ რ ა. ძალიან სასიამოვნოა! (ხელს ჩამოართმევს.)

ნ ი კ ა ლ ა. აბა, ნათლიმამ!.. მე მივდივარ და...

დ ი მ ი ტ რ ა (გვერდულად ჩაიღიმებს). რაა, ისევ საქეიფოდ?..

ნ ი კ ა ლ ა. აბა მაშ ასეთ ძვირფას სტუმარს პატივი არ ვცე?.. თუ ძალიან დავიგვიანო, დუქანი შენ დაკეტე...

დ ი მ ი ტ რ ა. კეთილი, ძმაო!..

(სოლიკო და ნიკალა გადიან.)

სურათი მეოთხე

გორგიჯანოვის კაფეშანტანი. დიდი დარბაზი ლოჟებით მარცხნივ — სცენა. ბალიდან მოისმის სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული შტრაუსის ვალსი და შეძახილები: „აგოშ!“, „ადრუა“ და სხვა.

დარბაზში მაგიდებს უსხედან კარგად ჩაცმული მოხელენი და შეძლებული ვაჭარ-ინტელიგენტები. ფრაკებში გამოწყობილი ოფიციანტები მირბი-მორბიან მაგიდებს შორის. შემოდიან ჩასუქებული და გამხდარი ვაჭარი. ერთ-ერთი ოფიციანტი პირმოთნე ღიმილით გაუძღვება მათ და უკვე გაწყობილ მაგიდასთან დასვამს.

გ ა მ ხ დ ა რ ი ვ ა ჭ ა რ ი. შენ, გეტყობა, ყოველ ღამეს აქ ატარებ, რომ უკვე დაბეჭვებული მაგიდაც გქონია...

ჩ ა ს უ ქ ე ბ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. აბა, მაშ რა ვქნა! როგორც კი მაღაზიას დავკეტავ ხოლმე, იმწამსვე ეტლში ვჯდები და ჰაიდა აქეთკენ! შინ ცოლ-შვილი მიტირის თუ!

გ ა მ ხ დ ა რ ი ვ ა ჭ ა რ ი. მაინც, რაღა აქ დაცანცალებ ჰა?.. (ეშმაკურად.) შენ გგონია, მე არაფერი ვიცი?

ჩ ა ს უ ქ ე ბ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. ჰმ... ჩვენს ქალაქში გაუგებელი დარჩება რამე? მოკლედ, ხომ იცი აქ რომ ერთი ფრანგი ქალია — სახელად მარგარიტა... ჰოდა, პირველად როგორც კი ვნახე, იმწამსვე ისეთი ხოში ჩამივარდა, რომ, ჩემმა მზემ, მადა დავკარგე... აღარ მეძინა...

გ ა მ ხ დ ა რ ი ვ ა ჭ ა რ ი. რათაო ვითომ? ვერ დაიყაბულე?

ჩ ა ს უ ქ ე ბ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. ჯერ დიდხანს ვერა... ბევრი მაწვალა... მერე კი — ჰაი ფულები, ჰაი საჩუქრები, და როგორც იქნა ბედს ვეწიე...

გ ა მ ხ დ ა რ ი ვ ა ჭ ა რ ი. ოჰო! მომილოცნია! მეტი რა გინდა?

ჩ ა ს უ ქ ე ბ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. ეჰ, ამ სამი დღის წინ გამებუტა... ნომრიდან გამომაგდო...

გ ა მ ხ დ ა რ ი ვ ა ჭ ა რ ი. ბიჭოს! რათაო?

ჩ ა ს უ ქ ე ბ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. კრიჟანგი ხარო... ამიტყდა, გინდა თუ არა პეტერბურგში წამიყვანეო, იქ მაცხოვრეო...

გ ა მ ხ დ ა რ ი ვ ა ჭ ა რ ი. ჰმ!.. შენ ფულს დაახარჯებ, ეგ კი იქ სხვებს გაიჩენს...

ჩ ა ს უ ქ ე ბ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. მაშ არადა! სულელი ვარ?! იცი, რამდენი დამიჯდება? რომ ვიანგარიშე, თავზე რქები ამომივიდა.

გ ა მ ხ დ ა რ ი ვ ა ჭ ა რ ი. დამიჯერე!.. მაგნაირ ჩიტებს ფულის საკენკით ვერ გააძღობ! უარი უთხარ!

ჩ ა ს უ ქ ე ბ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. აკი ვუთხარი და გამომაგდო! სულ კრიჟანგი ღორი მეძახა!

გ ა მ ხ დ ა რ ი ვ ა ჭ ა რ ი. დალოცვილო, შენც რა გატირებს... გაუშვი, წავიდეს, სხვები გააბრიყვოს...

ჩ ა ს უ ქ ებ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. ჰმ, რა ადვილად ლაპარაკობ! შენ რომ იცოდე, რა გოგოა! ერთხელ თუ ნახე, ტყუილია, ველარ მოსწყდები!.. ჭკუიდან შეგშლის, დაგწვამს, დაგდაგამს...

გ ა მ ხ დ ა რ ი ვ ა ჭ ა რ ი. ჰოო! მაშ თუ ეგრეა, უნდა დათანხმდე.

ჩ ა ს უ ქ ებ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. რას ამბობ, კაცო! იმდენი ფული გავიმეტო?..

(განაგრძობენ ბაასს. შემოდიან სოლიკო და ნიკალა.)

ს ო ლ ი კ ო. მადლობა ღმერთს, აქ ყველაფერი რუსული და ევროპულია. ზურნის ჭყვიტინი და დოლის ბაგუნი არ შეგვაწუხებს. (მაგიდას მოუსხდებიან.)

ნ ი კ ა ლ ა. როგორ? შენ აღარ გიყვარს ზურნა და დოლი?

ს ო ლ ი კ ო. არა! არც წინათ მყვარებია. ყველაფერი აზიური ჩამორჩენილი და მეშჩანურია... მე იმ დასკვნამდე მიველ, ჩემო ნიკალა, რომ სჯობს ყველამ ერთ დღეს ქართველობაზე ხელი ავიღოთ... ერთიანი დიდი სამშობლოს შვილნი გავხდებით და ვიამაყებთ...

ნ ი კ ა ლ ა. რას ამბობ, კაცო!.. საქართველო?.. ქართველი ერი?

ს ო ლ ი კ ო (იცინის). ძმაო ნიკალა! აბა ირგვლივ მიმოიხედე! სადღაა, ბიჭო, საქართველო ან ქართველობა?! ვერა ხედავ, ყველაფერი უცხოურია! მწვადის მაგიერ — კატლეტებსა ვჭამთ! კახურის ნაცვლად — შამპანურსა ვსვამთ... ფანდურის ნაცვლად გიტარას ვისმენთ... ქართულის მაგიერ ყველა ვპარუსკობთ... უბრალო რაჭველი მზარეულიც კი ასე ამბობს: კერძი შევაზაპრავეო! აბა, მითხარი, სადღა არის აქ საქართველო?

ნ ი კ ა ლ ა. სად, და, აი აქ... აი ამ გულში!.. (მკერდზე ხელს დაიდებს).

ს ო ლ ი კ ო. არა, ძმაო! ეგ ვერ გვიშველის... ჩვენი საქმე უკვე განწირულია... ისტორიამ წელში გაგვტეხა...

ნ ი კ ა ლ ა. სოლიკო! ნუ მიშხამავ შენთან ყოფნასა! ნასწავლი კაცი რომ მაგახ ამბობ, მაშ ჩემისთანა უსწავლელმა რაღა უნდა თქვას?

ს ო ლ ი კ ო. შენც ის უნდა თქვა, რასაც მე ვამბობ!.. თორემ სულ ეს ტირილი და სულ წუწუნი უკვე მოგვბეზრდა...

ნ ი კ ა ლ ა. შე დალოცვილო, რასაც შენ ამბობ, მტერსაც ეგ უნდა...

(სცენაზე გამოდის ფრაკში გამოწყობილი კონფერანსიე.)

კ ო ნ ფ ე რ ა ნ ს ი ე. პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო! ვიწყებთ მეორე განყოფილებას და აი ეხლა თქვენ იხილავთ ცეკვის ჯადოქარს, ჩვენს შესანიშნავ ფრანგ სტუმარ ქალს — მად-

მუაზელ მარგარიტას! გთხოვთ მიესალმოთ! (კულისებისაკენ მიბრუნდება და ტაშს უკრავს. ორკესტრი „ტუშს“ ასრულებს. სცენაზე გამოდის ოქროსკულულებიანი, მეტად ლამაზი სახის ახალგაზრდა მსახიობი ქალი. ერთ ხელში ვარდი უჭირავს, მეორეზე — დიდი მარაო აქვს ჩამობმული. მარგარიტა თავს უკრავს დამსწრეთ, რომლებიც მხურვალე ტაშით ეგებებიან).

გ ა მ ხ დ ა რ ი ვ ა ჭ ა რ ი. ვაა, მართლაცდა ძალიან შახიანი რაშა ყოფილა...

ჩ ა ს უ ქ ე ბ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი (მჯიღს ჩაიცემს გულში). უჰ, შენ გენაცვალე!

კ ო ნ ფ ე რ ა ნ ს ი ე. დღეს პირველ ნომრად მადმუაზელ მარგარიტა შეასრულებს ამჟამად მეტად გავრცელებულ და მოდურ ცეკვას — „ოი-რა, ოი-რა!“ (ტაში.) გთხოვთ, ქალბატონო!.. (ორკესტრი ასრულებს „ოი-რას“, მარგარიტა მღერის და ცეკვავს.)

ნ ი კ ა ლ ა (გაშტერებული შეჰყურებს). უჰ, რა კარგია ეს დალოცვილი... სოლიკო!.. ნუთუ ესეც იმნაირია, ჰა?

ს ო ლ ი კ ო. არა მგონია!..

ნ ი კ ა ლ ა (გახარებული). მართლა, სოლიკო?! მეც ასე ვფიქრობ...

ს ო ლ ი კ ო. შე კაი კაცო, განა აქ ყველა ისეთია... ამგვარ „ვარსკვლავს“ ეგეთ რასმე ვერც შეჰკადრებენ... მაგას საგანგებოდ ექნება ჩაწერილი თავის კონტრაქტში, რომ სტუმრებთან სულაც არ გამოვა და არ იარშიყებს, როგორც ამას სხვა ქალებს ავალდებულებენ...

ნ ი კ ა ლ ა. დასწყევლა ღმერთმა!.. ეს რა მომდის. რაღაც ციურ არსებად მეჩვენება... (შამპანურს გადაკრავს).

ს ო ლ ი კ ო. (იცინის). ეე, შენ რაღაც სხვანაირად ლაპარაკობ!.. ბიჭო ნიკალა, გულში ხომ არ ჩაგივარდა ეს ფრანგი ქალი მაგ პატრიოტ კაცს?!.

(მარგარიტა ცეკვას ამთავრებს, ხოლო დამსწრენი მხურვაელე ტაშით აჯილდოებენ. გაისმის წამოძახილები: „ბრავო!“ მარგარიტა თავს უკრავს და კულისებში გარბის.)

კ ო ნ ფ ე რ ა ნ ს ი ე. ბატონებო და ქალბატონებო!.. მადმუაზელ მარგარიტა უღრმეს მადლობას მოგახსენებთ და მეორე ნომრად შეასრულებს „ხაბანერას“, კომპოზიტორ ბიზეს ოპერა „კარმენიდან“... გთხოვთ, მადმუაზელ!..

(ტაში. ორკესტრი ასრულებს „ხაბანერას“. მარგარიტა გამორბის, მღერის და ცეკვავს. ნიკალა მთვარეულივით წამოდგება და სცენისაკენ მიდის... მარგარიტა შეამჩნევს მას და მომაჯადოებელი ღიმილით გადმოუგდებს ვარდს, რომელსაც ნიკალა დაიჭერს და გულში ჩაიკრავს. ჩასუქებული ვაჭარი ამის დანახვაზე წამოიჭრება და ნიკალას შეუტევს.)

ჩასუქებული ვაჭარი. შენ ეი! შენს ადგილზე დაეგდე, თორემ... სხვისა ნაჭერზე თვალები ნუ გაგიჭყეტია!

ნიკალა (მრისხანედ შეუბღვერს). ვის ეძახი „ნაჭერს“, შე ბაჯაჯღანავ! შენ თვითონა ხარ ქონის ნაჭერი! ეს კი ციდან ჩამოსული ანგელოზია...

გამხდარი ვაჭარი. მამა გიცხონდა, ჯერ არავის არ უპროშტნია!..

(ხარხარებს.)

ჩასუქებული ვაჭარი (ნიკალაზე იწევს). ვინ არის ბაჯაჯღანა, შე აყლაყუდავ!

ნიკალა. ხელი გამიშვი! ხმა ჩაიკმინდე, თორემ თუ ეს ხუთფუთიანი მოგდე ე მაგ მოგრეხილ ცხვირში...

(მუშტს მოუღერებს, მაგრამ სოლიკო და გამხდარი ვაჭარი მისცვივდებიან, აშველებენ. ატყდება აყალმაყალი, რომლის დროსაც ერთ-ერთი ლოჟის ფარდა გადაიწევს და გამოჩნდება განრისხებული პოლკოვნიკი.)

პოლკოვნიკი. ეს რა უმსგავსობაა!.. ეს რა ღრიანცელია!.. (სოლიკოს.) ბატონო პოდპორუჩიკო!..

სოლიკო (გამოეჭიმება). გისმენთ, ბატონო პოლკოვნიკო!

პოლკოვნიკი. ეხლავ გაყარეთ აქედან ეგ უზრდელი, ეგ მხეცი ტუზემცები...

სოლიკო. მესმის, ბატონო პოლკოვნიკო!..

(სინათლე ქრება და კვლავ აინთება. უკვე გვიანი ღამეა. უკანასკნელი სტუმრები დარბაზს ტოვებენ. ოფიციანტები ჭურჭელსა და ავეჯს ალაგებენ. დარბაზში ფრთხილად შემოდის ნიკალა და ერთ-ერთ მაგიდას მიუჯდება)

ოფიციანტი (ნიკალას). ბატონო! დარბაზი უკვე იკეტება...

ნიკალა. ეგ მეც ვიცი... მაგრამ აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე ის ქალი არ გამოვა...

ოფიციანტი. ვინ ქალი, პატივცემულო?

ნიკალა. აი ის მოცეკვავე და მომღერალი ფრანგი ქალი...

ოფიციანტი. მადმუაზელ მარგარიტა?.. ჰოო!.. ის, ბატონო, მალე გამოვა... სწორედ აი ასე გამოივლის თავის მზრუნველთან ერთად.

ნიკალა. თუ ძმა ხარ, იქ, ბუფეტში, ყვავილები არაფერი გაქვთ?..

ოფიციანტი. რამდენიც გნებავთ!.. საკუთარი საყვავილე გვაქვს.

ნიკალა. ჰოდა, მთელი ის ყვავილები აქ მოიტანე... აი აქ, გზაზე დაუფინე... ერთი საუკეთესო თაიგული კი მე მომაწოდე...

ოფიციანტი (გაოცებული). ყვავილები აქ დავუფინო?.. რა-
სა ბრძანებ, პატივცემულო!

ნიკალა. დალოცვილო, რა გაიოცე? აჰა ფული!... ამაზე მეტი
ხომ არ ეღირება?..

ოფიციანტი (გახარებული, ფულს ჯიბეში იკრავს) არა, ბა-
ტონო!.. ეს ბევრიც არის!.. (გარბის და შემოაქვს უამრავი ყვავილი,
რომელსაც დარბაზის იატაკზე მოაბნევს გასასვლელ კარამდე, ხო-
ლო ვარდების დიდ თაიგულს ნიკალას მიაწვდის. შემოდის მარგარი-
ტა მადამ ლილის თანხლებით.)

ნიკალა (ოფიციანტს კვლავ ფულს ჩაუდებს ხელში). გასწი,
ეხლავე ეტლი მომგვარე...

ოფიციანტი. ამ წუთში, ჩემო ბატონო! (გარბის. ნიკალა
კვლავ მთვარეულივით გაეშურება მარგარიტასაკენ, თაიგულს მი-
ართმევს.)

მარგარიტა. ოჰ, ეს რა არის?

ნიკალა. ჩემი გულივით უმანკო ვარდების თაიგული, ქალბა-
ტონო!.. და ეს თქვენი გზაც ვარდებით არის მოფენილი...

მარგარიტა (ნასიამოვნები, გაკვირვებით). ოო, ეს რამდენი
ყვავილებია!.. მე მხოლოდ ერთი ვარდი გაჩუქეთ...

ნიკალა. და იმ ერთ ვარდში ამიერიდან მე მთელ სიცოცხლეს
თქვენ განაცვალებთ...

(მადამ ლილი რაღაცას უჩურჩულებს მარგარიტას.)

მარგარიტა. დიახ, მადამ ლილი, თქვენ მართალი ხართ!..
გვიანია და ეტლი დავიქირავოთ... (ნიკალას.) ნახვამდის, მუსიე...

ნიკალა.. ქალბატონო, ნუ შეწუხდებით... ეტლი უკვე შეკვე-
თილია...

მარგარიტა (ცნობისმოყვარეობით ჩაათვალიერებს). აჰ,
უკვე? დიდად გმადლობთ ყურადღებისათვის... მაგრამ იქნებ ეგ უკ-
ვე ზედმეტია, ჰა?..

ნიკალა. რას ბრძანებთ, ქალბატონო!.. ნება რომ დამრთოთ,
აი ასე ხელში აგიყვანთ და თქვენს ბინამდე ისე მიგიყვანთ!

მარგარიტა (გადაიკისკიკებს). ოო, სე ტღე ბიენ!.. მე თქვენ-
ში რაღაც რაინდულს ვხედავ... მგონი, წეღანაც თქვენ გამოესარჩ-
ლეთ ჩემს ღირსებას და პატიოსნებას, როცა იმ პირუტყვმა რაღაც
შეურაცხყოფა მომაყენა... ფი, კოშონ!.. თუმცა, არც კი ღირს იმაზე
ლაპარაკი!.. მე თქვენი დიდი მადლობელი ვარ!

ოფიციანტი (შემოვარდება). ბატონო, ეტლი გელოდებათ!..

ნიკალა (მარგარიტას მდაბლა თავს დაუკრავს). გთხოვთ!..
მობრძანდით, ქალბატონო... (გადიან.)

სურათი მესამე

იგივე შუაბაზარი. ისევ საღამოა. სამიკიტნოდან ამოდის ორი მოხუცი მოქალაქე.

I მ ო ხ უ ც ი. ჰო, მართლა! შენ გაიგე, ჩვენს რუსთ ხელმწიფეს კიდევ რა მოუგონია?

II მ ო ხ უ ც ი. რა?

I მ ო ხ უ ც ი. ტელაფონი!

II მ ო ხ უ ც ი. ეგ რაღა დოზანაა?

I მ ო ხ უ ც ი. შორიდან სალაპარაკო! კედელზე ერთი ასეთი ხის დოლაბია... ღოროტოტოში ჩასძახებ და იქიდანაც ხელად გამოგძახებენ... მაშ!..

II მ ო ხ უ ც ი. ეე, მუდრეგ, ეგ ხომ ტელეგრამია...

I მ ო ხ უ ც ი. აფერუმ შენს საქმეს! ტელეგრამი მავთულით მუშაობს... აქედან ქაღალდს მიაბამენ და სხვა ქალაქში გადააცოცებენ... ეს კი პირდაპირ კაცს ელაპარაკება, მააშ!..

II მ ო ხ უ ც ი. ჰო!.. ეს ნასწავლი ხალხი ისე ახირდა, ისეთ საეშმაკო რამეებს იგონებენ, რომ ნახე, თუ ღმერთმა არ დაგვსაჯოს...

I მ ო ხ უ ც ი. ეჰ, შენც ლაპარაკობ რაღა!..

II მ ო ხ უ ც ი. ჰო, ჰო-მეთქი! აი, ცეცხლის წვიმას რომ მოიყვანს და სულ სოდომ-გომორივით ამოგვბუგავს, მაშინ გაიგებ...

(გაივლიან. შემოდის ჩიხტიკოპიანი დედაკაცი კალათით. წინ ლოთი მეშუშე გადაუდგება.)

მ ე შ უ შ ე. ჰა, დედი, ეს ალმასი იყიდე... აბაზად მოგცემ... ოჯახში დაგჭირდება...

დ ე დ ა კ ა ც ი. არა, შვილო, აბა მე რომელი მეშუშე მნახე...

ბ ა ზ ა ზ ი (დუქნიდან გამოდის). მაშ ჩემს დუქანში შემობრძანდი. რა გინდა, დედი, რომ მე არა მქონდეს... ჩითი, მიტკალი, ქიშმირი, დარაია... სულ ზაგრანიცული...

დ ე დ ა კ ა ც ი. მოიცა, შვილო, კალთები ნუ დამაგლიჯე... ხორცი უნდა ვიყიდო...

ყ ა ს ა ბ ი (გამოდის თავის დუქნიდან). მაშ ჩემთან მობრძანდი, დედი! რა მოგართვა? ღორის სუკები თუ ძოოხის ჯალაღაჯი?..

დ ე დ ა კ ა ც ი. მოიცა, ქა... ნუ გადამაოგნეთ დედაკაცი! სტეპკუასთან მივდივარ, შვილო, იმის მუშტარი ვარ...

ყ ა ს ა ბ ი. ვაჰ, სტეპკუას საქონელს რა — ოქროები ასხია?! ხორცი ხორცია...

დ ი მ ი ტ რ ა (გამოდის დუქნიდან). დედიჯან, ყველის ყიდვა არ დაგავიწყდეს...

დ ე დ ა კ ა ც ი. არ მინდა, შვილო...

დ ი მ ი ტ რ ა. მაშ კარაქი წაიღე... კატლეტების მოსახრაკავად დაგჭირდება.

დ ე დ ა კ ა ც ი. იჰ, ქაა... კატლეტებს კარაქზე ვინა ხრაკავს!

დ ი მ ი ტ რ ა. აბა მაშ რაზე?

დ ე დ ა კ ა ც ი. ერბოზე, შვილო, ერბოზე...

დ ი მ ი ტ რ ა. მაშ მობრძანდი, ერბო წაიღე... რამდენი აგიწონო?

დ ე დ ა კ ა ც ი. არ მინდა, შვილო... სახლშიც ბევრი მაქვს...

დ ი მ ი ტ რ ა. მაშ ეს ორი ქილა მაწონი უნდა წაიღო! ჰაა, კამეჩის მაწონია. ბუილა მაწონი ხომ გაგიგონია... აბა, შეხედე... (ქილებს გადმოაბრუნებს.) შენს ხანში ვახშმად მაწვნის ჭამა პირდაპირ წამალია.

დ ე დ ა კ ა ც ი. არა, შვილო, არა! (წასასვლელად გაიწევს).

დ ი მ ი ტ რ ა. ეე, მოიცა, დედი... ეს ერთი ქილა მაინც უნდა წაიღო... მერე შენვე მეტყვი მადლობას.

დ ე დ ა კ ა ც ი. გეთაყვათ! ასეთი ძალადობა გაგონილა?!.

დ ი მ ი ტ რ ა. ჩემმა მზემ, შენ რომ გიყურებ, ცხონებული დედაჩემი მაგონდება... საწყალი, ისიც შენსავით ასეთი ეშხიანი და შნოიანი დედაკაცი იყო. (ქილას კალათაში ჩაუდებს.)

დ ე დ ა კ ა ც ი. ქაა!.. ყაჩაღობაა!..

დ ი მ ი ტ რ ა. ვაჰ, დალოცვილო!.. რა ძალიან ინაზები! ოღონდ წაიღე და შენი ფული სულაც არ მინდა... ერთი დახედე, რა მაწონია!.. ჩემმა მზემ, რომ გატანა, თან მენანება...

დ ე დ ა კ ა ც ი. ქაა, ეს როგორ? ჩემ სიცოცხლეში მუქთად არავისგან არაფერი არ წამიღია.

დ ი მ ი ტ რ ა. ჰოო?... მაშ თუ ეგრეა, მოიტა ერთი საწყალი სამკაპიკიანი და...

დ ე დ ა კ ა ც ი. (უილაჯოდ, სასომიხდილი). შვილო და ძმაო! ოღონდ გამიშვი, ოღონდ გამატარე და აჰა, შაურს მოგცემ... შენი ხურდა არ მინდა... ვითომ გლახისთვის მიჩუქებია.

დ ი მ ი ტ რ ა (ფულს გამოჰგლეჯს). აი აგაშენოს!.. (კვლავ შემპარავად.) დედი! მოდი, ბარემ ორკაპიკიანიც დაუმატე და ეს მეორე ქილაც წაიღე, ჰა?..

დ ე დ ა კ ა ც ი. აი, დაგწყევლოს ღმერთმა!.. არა, შვილო, არა! (საჩქაროდ გადის.)

დ ი მ ი ტ რ ა. არა-მარა და დარდუბალა! (შემოდის დიმიტრას ცოლი სონა, ხელჩაკიდებით მოჰყავს თავისი 7—8 წლის ვაჟიშვილი გოგია, რომელიც ძალიან ჰგავს ფიროსმანის სურათს „მდიდარი კინ-

ტოს შვილი“. მათ შემოსდევს ვარინკა — დიმიტრას ობოლი დისწული.) ვაჰ, შე ოხერო, სადა ხარ აქამდის?

ს ო ნ ა. ვიშ, ქაა! იმდენ საზიდალს შინ მიტანა არ უნდოდა.

დ ი მ ი ტ რ ა. აი, ეს ერთი მაწონიღა დამრჩა... დილამდე დამჟავდება. წადი ჩამოატარე... იქნებ როგორმე გაასაღო...

ს ო ნ ა. აბა ეხლა ვის მივაჩეჩო... მაგასაც ჩვენი გოგია შეჭამს... აჰა, შვილო, ჭამე, მიირთვი, დედა გენაცვალოს... (გოგია ქილას ჩამოართმევს და თითით ტლეკავს) გოგო, ვარინკა! დუქანში შეიყვანე, კოვზი მიეცი...

დ ი მ ი ტ რ ა (ვარინკას). მერე საქონელი სარდაფში ჩაიტანე... დუქანი დაგავე. (ვარინკა და გოგია დუქანში შედიან.) შენ კი აი ეს ფული მაგ კაბის ჯიბეში დამალე სადმე... ის ტვინდასეტყვილი თავზე არ წამოგვადგეს...

ს ო ნ ა. ქაა, ნუთუ ვერაფერს ატყობს...

დ ი მ ი ტ რ ა. აბა რა ჭირს შეატყობს? სულ იმ ბალახზე გორაობს ბანზე და ცას გაჰყურებს... თხუპნის და ჯღაბნის... თუ არადა სულ ქეიფობს... დახლში დგომა ეთაკილება...

ს ო ნ ა. კი, მაგრამ... რომ გაგვიგოს?

დ ი მ ი ტ რ ა. ქალო, რას გაგვიგებს, რას?.. გუშინ ამ დროს რომ იმ ახალგაზრდა ოფიცერს გაჰყვა, აი ჯერაც არ დაბრუნებულა... აბა მითხარი, ეს საქმეა?!

ს ო ნ ა. იშ ქაა... ცოტა ხათრი მაინც გავუწიოთ! ჩვენი გოგიას მომნათვლელია...

დ ი მ ი ტ რ ა. რის ხათრი, დედაკაცო! ეგ დაქეიფობს და მთელი დუქანი კი ჩემს კისერზეა... ხათრი კი არა, მე მინდა ეგ სულ ავბარგო... სულ ცარიელზე უნდა გავიყვანო...

ს ო ნ ა. ქაა, ეგ როგორ?

დ ი მ ი ტ რ ა. მე ვიცი, როგორც! უკვე „პლანები“ დაწყობილი მაქვს.

ს ო ნ ა. უიმე... მეშინიან! ხალხი რას იტყვის?!

დ ი მ ი ტ რ ა. რაც უნდათ, ის თქვან... ჩვენ თუ არ ვუზამთ, სულ ერთია, სხვა ისარგებლებს მაგის ბედოვლათობით... ჰოდა, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო... ჩვენზე უფრო უპრიანია...

ს ო ნ ა. მაინც, რას უპირებ?

დ ი მ ი ტ რ ა. იჰ!.. მაგას რა უნდა!.. ორი-სამი ყალბი ვექსილი, ცოტა ქრთამი და ხელად ქუჩაში გავაპანღურებ...

ს ო ნ ა. დამიდგეს თვალი... მაგისთანების ძალიან მეშინიან... მოდი, ჯერ იცი, როგორა ვცადოთ...

დ ი მ ი ტ რ ა. როგორ?

ს ო ნ ა (შემპარავად). ჩვენ რომ ეგ ხელში მაგრად მოვიგდოთ, ალარც მაგდენს იქეიფებს და სულ ჩვენს ჭკვაზედაც ვატარებდით...

დ ი მ ი ტ რ ა. კი, მაგრამ როგორ?

ს ო ნ ა. როგორ და, ეგ რომ დაცოლშვილდეს... ხათრიანი, რბილი კაცია...

დ ი მ ი ტ რ ა. ეეხ!.. მაგაზედ ეგ სულაც არ ფიქრობს.

ს ო ნ ა. ჩვენ უნდა ვაფიქრებინოთ... უნდა შევუჩნდეთ... უნდა შევრთოთ...

დ ი მ ი ტ რ ა. ვინა?

ს ო ნ ა. აი ეს შენი დისწული... ხომ ხედავ, ხელში შემოგვაბერდა. როდემდის უნდა ეგდოს ჩვენთან ასე სამადლოდ. იცი, რამდენსა სჭამს...

დ ი მ ი ტ რ ა. ბიჭოს, ეგ კარგი გიფიქრია... მართლაცდა, ეგ რომ დაგვისიძევდეს, სულ აი ასე ხელთ მეყოლება... მაშინ ჯლაბნოს რამდენიც ნებავს, მე კი ვივაჭრებ... მთელი დახლი ჩემს ხელთ იქნება...

ს ო ნ ა. ჰოდა, მეც მაგას გეუბნები. ჩვენც აქ გადმოვალთ... ყველაფერი ერთ ოჯახში დატრიალდება...

დ ი მ ი ტ რ ა. მაჭანკალი მივუგზავნოთ?..

ს ო ნ ა. იჰ, მაჭანკლების ფული სად არის! შენ აქ არა ხარ... რის გერიდება?

დ ი მ ი ტ რ ა. ამ გოგო ვარინკამ რომ იუაროს?..

ს ო ნ ა. ჰმ, იუაროსო?.. ქაა, რომ იცოდე, სხვაზე არავისზე კი არ ეუბულდება ეგ სასიკვდილე!.. აი გუშინაც სლესარ ვანუამ მომიგზავნა ჩვენი **პელაგო და...**

დ ი მ ი ტ რ ა. ვაჰ, მეტი რა უნდა...

ს ო ნ ა. იჰ, მაგისთანებს კი არ კადრულობს ეგ დასაბრმავებელი.

დ ი მ ი ტ რ ა. აბა მაშ სიკვდილამდე მე ხომ არ ვაჭმევ... მალე გათხოვდეს, თორემ მაგასაც ისეთ პანღურს ამოვკრამ, რომა...

ს ო ნ ა. მაშ რაა!.. ჩვენს შვილს დავაკლოთ და მაგანა ხეთქოს ჰოდა, ამ დილას სიტყვა გადავუკარი ამ ბედოვლათზე და უნდა გენახა, როგორ გაწითლდა... ქაა, ენა დაება, კარში გავარდა.

დ ი მ ი ტ რ ა. უყურე შენა!.. ეტყობა, გულში ჩავარდნია...

ს ო ნ ა. მაშ, ქაა!.. მეც სწორედ ეგრე დავკარი აზრი და იმიტომ ვკითხე...

დ ი მ ი ტ რ ა. როგორ შეატყე?

ს ო ნ ა. ამას წინათ შუაღამისას გამომეღვიძა და მესმის — ტირის. ყური მივუგდე და მაგის სახელს ახსენებდა... ძილში ბოდავდა.

(გარედან მოისმის მოახლოებული დაფა-ზურნის ხმა და ნიკალას სიმღერა. დიმიტრა და სონა ყურს ცქვეტენ.)

დ ი მ ი ტ რ ა. ოჰო, მობრძანდება ჩვენი ტვინდასეტყვილი!..

ს ო ნ ა. აბა, როგორც კი დრო იხელთო, სიტყვა ჩაუკარ...

(ეხიარული ჟრიამულითა და სიცილით შემოდიან ნიკალა და მისი მეგობარ-ამფსონები: ბეგო, სერგო და გეო, მათ მოსდევენ მეზურნეები და მედოლე.)

ნ ი კ ა ლ ა (მღერის).

შენ გადიდებ,
შენ გიგალობ,
შენი რწმენის ბერი ვარ,
რა დღიდანაც გაგიცანი,
ჩემი თავის მტერი ვარ...
დავალ ეშხით მოხიბლული,
მარტო შენზედ ვმღერივარ,
ფიროსმანი შენ მოჰკალი,
ცოცხლად მკვდრებში ვწერივარ.

(დიმიტრას გადაეხვევა.) ჰაა, დიმიტრაჯან! შენ გენაცვალე.. რა ალმაცერად გამომცქერი!? ხომ არაფერი გაწყენინე?

დ ი მ ი ტ რ ა. არა, ძმაო, არა!.. პირიქით, ძალიან მიხარიან, რომ ასეთი მხიარული ხარ...

ნ ი კ ა ლ ა (სონას დაინახავს). ოო, ნათლიდედ!.. შენც აქ ბრძანდები?.. შენი ჭირიმე!.. (მოეხვევა, ჯიბიდან ბლომად ფოჩიან კამფეტებს ამოიღებს და კალთაში ჩაუყრის.) ეს კამფეტები ჩემს საყვარელ ნათლულს, შენს ხუჭუჭქოჩორა გოგიას მიართვი... (ფანჯარაში გოგიას დაინახავს.) ბიჭოს, ესეც აქ არის? შენ შემოგევლოს ძია ნიკალა!.. აჰა, აჰა, კამფეტები! ჭამე, მიირთვი!.. უფრო გასუქდი... (ვარინკას მოჰკრავს თვალს.) ოჰო, ჩვენი მოღუღუნე გვრიტი ვარინკაც აქა ყოფილა?! შენი ჭირიმე... მაპატიე!.. აჰა, ესეც შენ... ჰა, გამომართვი... ნუ გრცხვენიან... (ფანჯარაში კამფეტებს აწვდის, შემდეგ კვლავ დიმიტრას მოუტრიალდება.) ჰაა, ნათლიმამ... რას მოგიწყეხია! აბა ერთი ეს ყანწი დამიცალე და მერე მე და შენ ერთი ჩვენებური, მირზაანული უნდა ჩამოვუაროთ... იცი, ჩემს გულში დღეს რა ვეება სიხარულია!... (ხელებს გაშლის, ამფსონები ტაშს აყოლებენ. გამვლელები შედგებიან და უყურებენ. დუქნიდან მედუქნეები გამოდიან.)

ბ ა ზ ა ზ ი (თვალს ჩაუკრავს დიმიტრას). ვაა, რა კამპანიონი გყავს! არც მოგაწყენს, არც გაგამდიდრებს!

დ ი მ ი ტ რ ა (კუშტად). გინდა დაგითმო!?

ბ ა ზ ა ზ ი. არა, ძმაო, არა! ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

ნ ი კ ა ლ ა. ჰა, ნათლიმამ!.. გამო, იცეკვე... შე კაი კაცო, შუბლი გამიხსენ!..

ბ ე გ ო (წრეში გადმოხტება). ჰაიტ! ეხლა კი ერთი ბაღდადური, თორემ გავგიჟდი! აბა, ბიჭებო! (მეზურნეები ბაღდადურზე გადადიან, ნიკალას ამფსონები ბეგო და გეო ბაღდადებს გაშლიან, ჩამოუვლიან. საერთო სიმხიარულე და ყიჟინა. მოისმის გოროდოვოის საგანგაშო სტვენა.)

გ ო რ ო დ ო ვ ო ი ს ხ მ ა. ჰა, გათავდა ბაზარი! აალაგეთ საქონელი! ეჰეი, მანდ რა ამბავია!..

(ცვლავ სტვენა, ხალხი თანდათან იშლება.)

ნ ი კ ა ლ ა (მეგობრებს). იცოცხლეთ, ძმებო!..

ბ ე გ ო. ნიკალაჯან, მაშ მე ხვალ დილით ჩამოგივლი და ჩამაკარტიჩკე! ჰა?

ნ ი კ ა ლ ა. ისე დაგხატო, რომ...

ბ ე გ ო. შენ გენაცვალე! აბა მაშ ეხლა კი კარგად იყავი!.. სულ ასე გახარებული და ბედნიერი გატაროს ღმერთმა! (კოცნის.)

გ ე ო. ნიკალაჯან! თუ რამ დაგჭირდეს, არ მომერიდო! (კოცნის.)

ს ე რ გ ო. ძმაო, გაცოცხლოს და ისე გაბედნიეროს, როგორც ეგ შენი გული შეგთხოვდეს!.. (კოცნის.)

ნ ი კ ა ლ ა. დიდი მადლობა, მეგობრებო!.. თქვენც იდღეგრძელეთ!

ბ ე გ ო (ჯამს აივსებს). ეს სულ ბოლოსაც გაუმარჯოს მათ, ვინც აი ეხლა ჩვენს ოჯახში სანთელს ანთებდეს და თანაც თვალი გზისკენ სწყდებოდეს, ის ყურუმსაღი ჩემი ქმარი როდის მოვაო...

ს ე რ გ ო. ყოჩაღ, ბეგოჯან! ეგ კარგადა სთქვი!

გ ე ო. მაშ ეს ჩვენს ცოლ-შვილს გაუმარჯოს!

ბ ე გ ო (მეზრუნეებს). შენ დაუკარ!

(მეზურნეები უკრავენ, მეგობრები კვლავ კოცნიან ნიკალას და წასასვლელად დაიძვრებიან. ბეგო მღერის, სხვებიც ხმას აყოლებენ.)

ღღე ნიადაგ
ოჯახს ვუვლი,
შვილებისთვის
გადამკვდარი...
საღამოს კი
ქმარს მოველი
სანთელივით ჩამომდნარი...

(შემოდის ახმახი ტანის გოროდოვოი პროხორი სტვენით.)

პ რ ო ხ ო რ ი. რაზოიდის!.. დაიშალენით!.. დაკეტეთ დუქნები!..

(სტვენითვე გადის. ნიკალა ამფსონებს მიაცილებს.)

დ ი მ ი ტ რ ა (სონას). ხედავ, რა ამბავშია! მაგას თუ დროზე არ მოვუარეთ...

ს ო ნ ა. ტსს... აგერ, მოდის! ამ გოგოზე ბარემ ეხლავე უთხარ... ნასვამია და უფრო ადვილად დაგყაბულდება. (დუქანში შედის, შემოდის ნიკალა ღიღინით.)

ნ ი კ ა ლ ა. ჰა, ნათლიმამ! შენ ისევ სახე ჩამოგტირის? ავად ხომ არა ხარ?

დ ი მ ი ტ რ ა. არა, არა...

ნ ი კ ა ლ ა. მა, დუქანში ხომ ცუდი არაფერია?

დ ი მ ი ტ რ ა. ეჰ, ამაზე ცუდი რა იქნება... დღეს ვაჭრობა სულ არ იყო... კაპიკი არ შემოსულა... თაგვებსაც ორი თავი ყველი შეუჭამიათ.

ნ ი კ ა ლ ა. შე კაი კაცო! მერედა მაგაზედ რა გაბოღმებს... ხვალ ბევრს ვივაჭრებთ... იმ ყველის ფასსაც ხელად ამოვალთ...

დ ი მ ი ტ რ ა. მე ის მაბოღმებს, რომ შენ სულ ხატავ... ანდა მთვრალი დადიხარ...

ნ ი კ ა ლ ა. უკაცრავად, მე მთვრალი არა ვარ!..

დ ი მ ი ტ რ ა. აბა მაშ რა ხარ?

ნ ი კ ა ლ ა. ზარხოშადა ვარ! ლამაზ ეშხზე ვარ!.. უჰ, გული მიმღერის, ყველა მიყვარხართ!..

დ ი მ ი ტ რ ა. ჰოდა, მაგ შენს ზარხოშობაში ბევრ ფულსა ხარჯავ!.. ასე სულ მალე გავკოტრდებით...

ნ ი კ ა ლ ა (მოიღუშება). დალოცვილო! მე ჩემსას ვხარჯავ, შენსას ხომ არა!

დ ი მ ი ტ რ ა. მე მაგაზედ კი არ გეუბნები... შენ ქეიფობ, ხატვით გულს ირთობ... მე კი აქ ფეხზე დგომით ჩამოვწყდი კაცი...

ნ ი კ ა ლ ა. მოკლედ, მაყვედრი? დალოცვილო, ეს დუქანიც და თანხაც ჩემია... შენი მხოლოდ ფეხზე დგომაა... კანონით ორი წილი მე მეკუთვნის, ერთი კი შენა... მე კი მოგებას შუაზე გიყოფ... მეტი რა გინდა?..

დ ი მ ი ტ რ ა. ეგ მართალია... მადლობელი ვარ, მაგრამ...

ნ ი კ ა ლ ა. რა მაგრამ?

დ ი მ ი ტ რ ა. მაინც აქ უნდა იყო... იქნება გპარავ? იქნებ გატყუებ? ვიღაც რაღაცას ჩაგჩურჩულებს და... ხომ იცი შენი ხასიათი...

ნ ი კ ა ლ ა (ცვლავ მხიარულად გადიხარხარებს). აჰ, შენ ეგ გაწუხებს? არა, ნათლიმამ... მე შენ გენდობი! ჩემი დუქანი, ჩემი თანხა, ეს ჩემი სულიც — სუყველაფერი შენს ხელშია და რომ სინდისზე ხელი აიღო, სულ გამაკოტრებ, მაგრამ ვიცი, რომ ამას არ იზამ!..

დ ი მ ი ტ რ ა. მოიცა... ეს ოხერი, სულ სხვა რამის თქმა მინდოდა...

ნ ი კ ა ლ ა. რის თქმა?

დ ი მ ი ტ რ ა. აი იმ ბეგოს სადღეგრძელოზე მომაგონდა... შე კაი კაცო, ყველასა ჰყავს ცოლი, შვილები... და შენ კი ასე ყარყუმივით რად უნდა იყო?..

ნ ი კ ა ლ ა (ღიმილით). მოკლედ მოსჭერი, გულში რა გიდევს?

დ ი მ ი ტ რ ა. აი რა: მოდი, ცოლი შეირთე!.. ოცდაათი წლის ვაჟკაცი ხარ... სულით სპეტაკი, პატიოსანი, ჯან-ღონით სავსე... თანაც ნათესავ-მახლობელი არავინა გყავს...

ნ ი კ ა ლ ა (გადიხარხარებს). ყოჩაღ, ნათლიმამ!.. ჯერ მაძაგე და ეხლა მაქებ?! ალბათ საპატარძლოსაც ამომირჩევდი...

დ ი მ ი ტ რ ა (ცბიერად ჩაიღიმებს). აბა მაშ როგორ...

ნ ი კ ა ლ ა. მაინც, ვინ არი?

დ ი მ ი ტ რ ა (საიდუმლო კილოთი). პირდაპირ გეტყვი... მეც და სონასაც ისე გვიყვარხარ, რომ ძალიან გვინდა დაგისიძევოთ!..

ნ ი კ ა ლ ა (გაოცებული). ეს რანაირად?

დ ი მ ი ტ რ ა. ძალიან გვინდა, რომ შეირთო აი ის ჩემი დისწული... ხომ იცი, რა პატიოსანი და გამრჯე გოგოა...

ნ ი კ ა ლ ა. აჰ, ვარინკაა?! (ჩაფიქრდება.) ჰმ, ვარინკა მართლაც ძალიან სათნო ქალია, მაგრამ...

დ ი მ ი ტ რ ა. მაგრამ რა?

ნ ი კ ა ლ ა. მეც გულახდილად გეტყვი, ნათლიმამ! (აღტაცებული ღიმილით.) მე საოცნებო მზეთუნახავი უნდა შევირთო, როგორიც მხოლოდ ზღაპრებში არი...

დ ი მ ი ტ რ ა. დალოცვილო, რა დროს ხუმრობაა...

ნ ი კ ა ლ ა. მე არცა ვხუმრობ! (ხელს მოხვევს.) ჩემო დიმიტრა, შენ რომ იცოდე, ეხლა ჩემს გულში რანაირი ცეცხლი ბრიალებს... აღარც კი ვიცი, როგორ აგიხსნა... აი, მე დღეს ისეთი ბედნიერი ვარ, რომ ასეთ რამეს არც კი მეტყოდი...

დ ი მ ი ტ რ ა. ბიჭოს, ეგრე რამ გაგაბედნიერა?.. ჰა, შენ რაღაც სხვანაირად ლაპარაკობ!..

ნ ი კ ა ლ ა. არ ვიცი, არა!

დ ი მ ი ტ რ ა. ბარემ მითხარი!

ნ ი კ ა ლ ა. არა, არა!.. ჯერ ვერ გეტყვი... (შემოდის მეეზოვე კიბით, ქუჩის ფარანს ანთებს. მის დანახვაზე ნიკალა შეკრთება.) უჰ, უკვე ღამდება?.. მაშ, მოდი, დღესაც მაპატიე, ჩემო დიმიტრა, და ხვალ დახლში მე დავდგები, შენ იქეიფე!.. (წასასვლელად გაიწევს.)

დ ი მ ი ტ რ ა. სად მიხვალ, ბიჭო?..

ნ ი კ ა ლ ა. გორგიჯანოვის ბაღში მივრბივარ... მელოდებიან...

დ ი მ ი ტ რ ა. მოიცა, კაცო! შენი დუქანი შენ დაკეტე... ეს დახლიც ჩაიბარე...

ნ ი კ ა ლ ა. არა, არა.. რა დროს ეგ არის... ძალიან მეჩქარება... შენ დაკეტე... ეგ დახლიც ხვალ დავთვალოთ... (კვლავ მოეხვევა და გადაკოცნის.) ჩემო დიმიტრა, ხომ გითხარი, სულით ხორცამდე გენდობი-მეთქი და აბა, შენ იცი!.. (მირბის. დუქნიდან გამოდიან სონა, გოგია და ვარინკა ნაკრაულებით. დიმიტრა დუქანს კეტავს.)

ს ო ნ ა. ხედავ, რას სჩადის ეგ თავმკვდარი!.. ეტყობა, ისევ საქეიფოდ გაინავარდა.

დ ი მ ი ტ რ ა. მერე სად? გორგიჯანოვის ბაღში, სადაც სულ მსხვილ-მსხვილი ბობოლები დროს ატარებენ!

ს ო ნ ა. ი ი, ჩამიხმეს მაგისი თავი... კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო... ისე კი გახლავს გამოპრანჭული, რომ ვერც შეატყობენ, რომ უბრალო მედუქნე არი...

დ ი მ ი ტ რ ა. მე კი გულზე იმიტომ ვსკდები, რომ მაგ ტვინდასეტყვილმა ამ გოგოზედ უარი მტკიცა... მაგის თავს აშკარად რაღაც ამბავია...

ს ო ნ ა. მაშ ქაა!. ფანჯრიდან ყურს გიგდებდით... თურმე, ბატონო, ციდან ჩამოფრენილ ანგელოზს ელის!.. აი, მიწამ კი ჩაიტანოს მაგისი თავი! ეგ უბედური რაებს როშავდა...

დ ი მ ი ტ რ ა (ღრძოდ და ბოროტად). რაკი ეგრეა, მაშ ეხლა მე ვიცოდე, რასაც დავმართავ... თუ ეგ ძაღლივით ქუჩაში არ გავაგდო, ეს ულვაშები დამაგლიჯე!..

ვ ა რ ი ნ კ ა (იცრემლება, თავისთვის). ღმერთო ჩემო!.. რას, რას ერჩიან!..

ს ო ნ ა (ვარინკას). შენ ეი, გოგოვ, რას იცინგლები... შე ყეყეჩო, უნდა გიხაროდეს, რომ უარი თქვა, თორემ ეგ ისეთი ტვინნაღრძობია, რომ ცოცხლივ დაგმარხავს...

დ ი მ ი ტ რ ა. კიდევაცა!.. შენც აიღე და მაგის ჯიბრზედ ვანუას გაჰყევ! (სონას.) დედაკაცო! ხვალვე შეუთვალე, ბელგა-ნიშანი მოიტანოს...

ვ ა რ ი ნ კ ა (გადაჭრით). მე სხვას არ გავყვები!

დ ი მ ი ტ რ ა. რაო? როგორ თუ არ გაჰყვები?!

ს ო ნ ა. იჰ, ისე გაჰყვები, რომ მზე მაღლა იყოს!

ვ ა რ ი ნ კ ა. არა-მეთქი! არ გავყვები!.. ვთქვი და ეგრეა!..

(ტირილს უმატებს.)

დ ი მ ი ტ რ ა (მუშტს წაუტიალებს). ხმა ჩაიწყვიტე!.. შენ ვინა

გკითხავს... შე მაიმუნო, გათხოვებ და მეტი რა გინდა! კნიაზის შვილებს არ აძლევენ არჩევანსა და შენ ვინ მიგდიხარ!.. გეუბნები, ვანუას გაჰყევ, თორემ, იცოდე, შემომაკვდები!.. (კიდევ წაუტიალებს.)

ს ო ნ ა. ჩვენ შენი თავი აღარა გვაქვს... ჩვენი შვილი გვყავს გასაზრდელი...

დ ი მ ი ტ რ ა. ისიც გეყო, რომ იმ უტვინო ჩემი დის ხათრით ათი წელია ობოლს გინახავ...

ს ო ნ ა. მაშ ქა!.. გაჭმევთ და გაცმევთ... ხუმრობა საქმე კი არ არის!...

ვ ა რ ი ნ კ ა (გულჩათუთქული სლუკუნებს). აღარაფერი არ მინდა თქვენი. თქვენი ლუკმა აქ, ყელზე მადგა... არ მინდა!.. სულაც არ გავთხოვდები...

დ ი მ ი ტ რ ა. არ გათხოვდები და, რაც მოგივა, შენს თავს მოჰკითხე!.. ისეთ პანჩურს ამოგიჭირებ, რომ... (გაბრაზებული საცემლად მიიწევს, მაგრამ სონა შეაჩერებს.)

ს ო ნ ა. მოიცა, კაცო... ქუჩაში სირცხვილია... სახლში არ მოვა!

დ ი მ ი ტ რ ა. მართლაც! მობრძანდეს სახლში!.. იქ ვუჩვენებ... (სონასთან და გოგიასთან ერთად გადის.)

ვ ა რ ი ნ კ ა (ათრთოლებული ხელებით ცრემლს იწმენდს, გულს იურვებს, რაღაც განწირულებით წელში გასწორდება და თითქოს ვიღაც უხილავს ელაპარაკება).

ვფიცავ, რაც უნდა მოხდეს,
ისევ შენ მეწამები...
მაინც შენ მეხსომები,
კვლავ შენთვის ვეწამები...
მაინც შენთვის მოვკვდები...
მაინც შენ მეყვარები.

მოქმედება მეორე

სურათი მეოთხე

„ვეტცელის“ სასტუმრო. მარგარიტას ნომერი, რომელიც ორი ოთახისაგან შედგება. სცენა წარმოადგენს ფართო სასტუმრო ოთახს, ხოლო კარის გადაწეულ პორტიერებს შორის მოჩანს მეორე ოთახის ნაწილი და საწოლები. სცენაზე არავინ არის. შემოდიან მარგარიტა და ნიკალა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (შლიაპას მოიხდის, ხელთათმანებს გაიძრობს). მშვენიერი, შესანიშნავი სამაჯურია... დიდი მადლობა, ჩემო ნიკოლა... მოდი, გაკოცო!.. (შუბლზე კოცნის.) რა მიეცი? ალბათ, ბევრი, ხომ?..

ნ ი კ ა ლ ა. შენ გენაცვალე!.. ხილი მიირთვი! შენ მეხილეს რასა ჰკითხულობ!..(პიჯაკის ჯიბიდან კიდევ რაღაც შეხვეულს ამოიღებს.) მით უმეტეს, რომ ასე მგონია, არც ამ საჩუქარს დამიწუნებ... (მიართმევს.)

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (გაოცებული და გახარებული). საყურეები!.. ღმერთო ჩემო, რა ლამაზები!.. ჩემო ნიკოლა!.. ჩემს გულში იჯექ?.. სწორედ ასეთი საყურეები მენატრებოდა... (ყურებზე იკეთებს და სარკის წინ კეკლუცობს. ნიკალა კი ახლა სხვა ჯიბიდან ამოაცოცებს პატარა კოლოფს და მოულოდნელად წინ მიაგებებს.)

ნ ი კ ა ლ ა. შენ შემოგევლე... აბა ამაზედ რაღას იტყვი?..

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (კოლოფს გახსნის, ბეჭედს ამოიღებს და თითზე წამოიცვამს). ოო, ეს უკვე მეტისმეტია... დიდი მადლობა, ჩემო ძვირფასო!.. მოდი, ეხლა კი შენ მაკოცე... დღეს ნებას გაძლევ... (ლოყას მიუშვერს, მაგრამ ნიკალა აღელდება, უკან დაიწევს.)

ნ ი კ ა ლ ა. არა, ჯერ არა...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იცინის). ო, რა მორცხვი და რა უმანკო ხარ... (ეშმაკური ღიმილით პიჯაკის ჯიბეებს უჩხრეკავს.) შენ ეს მითხარი, აქ კიდევ ხომ არაფერი გაქვს?..

ნ ი კ ა ლ ა. რა, კიდევ გინდა? ეხლავ მოგართმევ! (გაიწევს, მაგრამ მარგარიტა შეაჩერებს, გვერდით მოისვამს.)

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. სულელო ნიკოლა! მე ვიხუმრე!.. შენ მეტისმეტად მანებიერებ... ასე არ ვარგა...

ნ ი კ ა ლ ა. აბა მაშ როგორ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. როგორ და, კვირაში ერთხელ რომ მომართვა თითო ასეთი, ესეც სავსებით საკმარისია...

ნ ი კ ა ლ ა. ჰმ, დალოცვილო, განა მე მესმის, რას ვჩადივარ... რაც შენ გაგიცან, რაც შენთანა ვარ, რაღაც ალმურის ბურანში ვცურავ...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (მორთმეულ ბეჭედს დახედავს, გაოცებული). ოჰო, ნიკალა!.. ეს რას ნიშნავს?.. ეს ხომ საქორწინო ბეჭედია, ჰა?

ნ ი კ ა ლ ა. დიახ!.. ჩემი ნატვრაა — სულ ჩემი იყო... სამუდამოდ, სამარადჟამოდ...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. ესე იგი, ცოლად გამოგყვე? (მხიარულად გადიკისკისებს.) ჩემო ნიკოლა! ოო, როგორი სასაცილო ხარ...

ნ ი კ ა ლ ა. რადა ვარ სასაცილო?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. იმიტომ, რომ მე ხომ კაფეშანტანის მოცეკვავე ვარ...

ნ ი კ ა ლ ა. მერე რომ?..

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იცინის). ის, რომ ყველას საყვარლად ვუნდივარ მხოლოდ.

ნ ი კ ა ლ ა. ჰო, მაგრამ... შენ ხომ...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. ო, არა. არა! მე ეგეთი ქალი არა ვარ...

ნ ი კ ა ლ ა. ჰოდა, მე ის მინდა, რომ სულ ჩემთან იყო, რომ აღარსად აღარ წახვიდე...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. ოო, მაგის პირობას მე ვერ მოგცემ... ძალიან მიყვარს ცეკვა, სიმღერა... დღეს აქ, ხვალ იქა... როგორც პეპელა...

ნ ი კ ა ლ ა. მე კი სწორედ აი ეგ მტანჯავს... გემუდარები, ქმრად მიმიღე და სადაც შენ წახვალ, მეც იქ წამოვალ...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. ფი!.. საქმეც სწორედ ეგ არის, რომ შენ თვითონ უნდა წამიყვანო, სადაც მე მინდა...

ნ ი კ ა ლ ა (გახარებული). ჩემი თავი შენ გენაცვალოს!.. ოღონდ მიბრძანე და, მართალია, ბევრი ფულებით ვერ გაგაკვირვებ, მაგრამ დღესვე გავყიდი, რაც მაბადია და სადაც მეტყვი, იქ წაგიყვან...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. პეტერბურგში! ჰა?! ხომ, ჩემო ნიკოლა!? ანდა პარიზში!..

ნ ი კ ა ლ ა. სადაც მიბრძანებ! და ყველგან, ყველგან შენი ერთგული მონა ვიქნები...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. ოო, ეგ არ კმარა... ფულები რომ შემოგელიოს?!

ნ ი კ ა ლ ა. ყველანაირ შრომას ვიკისრებ, რომ კვლავაც ისე შეგინახო, როგორც შეგფერის... დამიჯერე, ჩემსავით ერთგულს, მთელი დუნია რომ დაიარო, ვერსად იშოვი... ბოლოს და ბოლოს ამ ქვეყანაზე მარტო ეს წყეული ფული ხომ არ არის!.. მე შენ გთავაზობ ამ ჩემს ალალ გულს, ჩემს ზღვა სიყვარულს, მთელ ჩემს სიცოცხლეს... ნუთუ ამას ფასი არა აქვს?...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. ოო, ჩემო ნიკოლა! ნუთუ მართლა ასე გიყვარვარ?..

ნ ი კ ა ლ ა (დიდი გრძნობით). დალოცვილო, აქ რა არის გასაკვირველი... მე ხომ შენამდე ჯერ არავინ არ მყვარებია... შენა ხარ ჩემი პირველი სიხარულიც და სიყვარულიცა... შენ ამანთე, შენ ამაფეთქე!.. და აჰა, გიჟად გადავიქეცი... შენს მეტი უკვე აღარაფერი აღარ მახსოვს...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (კვლავ შუბლზე კოცნის.) ოო, რა მჩქეფარე ტემპერამენტი!.. რა დიდი გრძნობა!.. ჩემო ძვირფასო ნიკოლა!.. რაკი ეგრეა, კმარა ეს თამაში... მოდი, ეხლა კი სერიოზულად ვილაპარაკოთ...

ნ ი კ ა ლ ა. ბრძანე, შენი ჭირიმე!..

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. მე დღემდის შენთვის არა მითქვამს რა, მაგრამ რაკი ეს ბეჭედი მომიძღვენი, ეხლა მეც გეტყვი: რაც შენ გაგიცან, გულის სიღრმეში იდუმალად ვგრძნობ, რომ შენ აშკარად რაღაც დიდი მხატვრის ნიჭი გაქვს. და იცი, მე ეხლა რაზე ვოცნებობ...

ნ ი კ ა ლ ა. რაზედ, ძვირფასო?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. რომ მე და შენ ან პეტერბურგში, ანდა პარიზში წავალთ და მე იქ ყოველნაირად ხელს შეგიწყობ, რომ სახელგანთქმული მხატვარი გახდე და ჩემი სიცოცხლე სხვა სიხარულით აამეტყველო...

ნ ი კ ა ლ ა (გრძნობამორევით). შენი ჭირიმე! ნიკალა მოკვდეს, თუ ეგ ნატვრა არ გაგიმართლოს...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. კი, მაგრამ რამდენჯერ გითხარ, რომ ასეთ ოქროულს სხვაც მომიტანდა... მე შენ რამდენჯერ მიგახვედრე...

ნ ი კ ა ლ ა. რას?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. იმას, რომ ჩემთვის შენი სურათი მოგეძღვნა რამე... მასზე ძვირფასი საჩუქარი ჩემთვის აბა სხვა რა იქნება.

ნ ი კ ა ლ ა (ალერსიანი საყვედურით). შე დალოცვილო, ის საჩუქარი კარგა ხანია შენს ოთახშია!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (გაოცებული). რა საჩუქარი?

ნ ი კ ა ლ ა. შენი სურათი, ჩემო ღვთაებავ! შენ, შენ დაგხატე... და მერე როგორ!.. შიგ ჩავაქსოვე მთელი ჩემი სული და გული... მთელი გრძნობა და აღმაფრენა...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. ძვირფასო ნიკოლა! მერედა, სად არის ის სურათი? მე უკვე მჯერა, რომ ის სურათი შედევრია...

ნ ი კ ა ლ ა. აკი გითხარი, შენს ოთახში დგას, და შენ კი...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. უკვე აქა დგას? საოცარია! აქამდის როგორ ვერ დავინახე... (კედლებს, ოთახს ათვალიერებს.) აა, ალბათ დამალე... (ეძებს.)

ნ ი კ ა ლ ა. არა, არ დამიმალავს...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (დაინახა). ოო, აი თურმე სად ყოფილა! (სურათს შემოატრიალებს და სიამოვნების ღიმილით შეხედავს, მაგრამ ელდანაკრავივით შეკრთება და უკან დიაწევს.) ოჰ, ნუთუ ეს მე ვარ!? (ისტერიული სიცილი აუტყდება.)

ნ ი კ ა ლ ა (მოიღუშება). რაა? არ მოგწონს?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (თავს დაიურვებს). მომწონს კი არა, ლამის გავგიჟდე! ჩემო ძვირფასო ნიკოლა, ნეტავი მართლა ასეთი ვიყო, სხვა რაღა მინდა... (სურათს პიანინოს თავზე შედგამს, ერთხანს რაღაცას ფიქრობს, შემდეგ შუბლშეკრული მოტრიალდება და ცივ, საქმიან კილოზე გადადის.) იცი რა, მე მეეჭვება, რომ აქ თქვენმა ეკლესიამ ჯვარი დაგვწეროს...

ნ ი კ ა ლ ა (გახარებული). როგორ? შენ უკვე თანახმა ხარ?.. მაშ თანახმა ხარ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (კუშტად). დიახ, დროა დავამთავროთ! მაგრამ ნუ გავიწყდება, რომ მე კათოლიკე ვარ და შენ კი — მართლმადიდებელი...

ნ ი კ ა ლ ა. კი, მაგრამ ორივენი ხომ ქრისტიანი ვართ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. მოიცა! ჩვენ აი ასე მოვიქცეთ: შენ ეხლავ გასწი და რომელიმე ეკლესიაში ვინმე მღვდელს ჰკითხე...

ნ ი კ ა ლ ა (აღტაცებული). შენი ჭირიმე... წავალ კი არა, გავფრინდები!.. (კარს მივარდება, მაგრამ შედგება, შემობრუნდება.) მაშ დავიჯერო, რომ თანახმა ხარ? ნამდვილად თანახმა ხარ? თუ... (თვალებში აშტერდება, სურს პასუხი ამოიკითხოს.)

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (მკაცრად). ერთხელ გითხარი და ნუ იგვიანებ! ხვალ დილაზე კი პასუხს მოიტან... ხვალამდე აქ არ დაგინახო!..

ნ ი კ ა ლ ა. შემიბრალე!.. ხვალ დილამდე რა გული გასძლებს... ერთ-ორ საათში აქ გავჩნდები. (გარბის.)

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (მისძახის). ნიკოლა! ნუ აჩქარდები.

(შემობრუნდება და კვლავ სურათს შეაშტერდება, აცრემლებული სავარძელში ჩაეშვება. შემოდის მადამ ლილი.)

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. ოჰ, თუ აქედან დროზე არ წავედით, ჩემი გული ვეღარ გაუძლებს ასეთ სიცხეებს. (მარგარიტას შეხედავს.) რა მოხდა, მადმუაზელ! რად იცრემლებით?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (ცრემლს იწმენდს). არაფერია! გთხოვთ ყურადღებას ნუ მიაქცევთ!

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. მაინც?!. ვინ გაგაჯავრათ?!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. მადამ ლილი! აბა გამოიცანით, ეს ვინ არის?

(სურათზე მიუთითებს.)

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი (ლორნეტს მოიმარჯვებს. სურათს აკვირდება, მხრებს აიჩეჩს). რა მოგახსენოთ!.. ჩემი აზრით, აქ რაღაც უსულო ტიკინაა გამოხატული...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. უკაცრავად! სცდებით, მადამ! ეს მე გახლავართ!

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. მადმუაზელ! ეს სადაური ხუმრობაა!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. სამწუხაროდ, ასეა, მადამ! ნიკოლამ ასე დამხატა!.. სული და გული ჩავაქსოვეო... ეს არის თურმე მისი მუზა და აღმაფრენა...

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. ფი! ეს ხომ საშინელებაა, სისაძაგლეა! და თუ ეს მისი აღმაფრენის ნაყოფია, წარმოდგენილი მაქვს, სხვა მაგის ნაბღაჯნები რაღა იქნება!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (მკაცრად). მართლაცდა! (სურათს ჩამოიღებს და სანაგვე კალათასთან იატაკზე დაანარცხებს.) ამის ადგილი აი აქ არის!.. (სავარძელში ჩაჯდება და სახეზე ხელებს მიიფარებს.)

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. მადმუაზელ! მე არ მომწონს ეგ თქვენი მწუხარე პოზა!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (თავს აიღებს). მადამ ლილი! რაღა დაგიმალოთ, მე ეს კაცი გულით მომწონდა.

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი (საყვედურით). მადმუაზელ!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. დიახ, მეტად მომწონდა-მეთქი, და არც უარს ვეტყოდი, რადგან უკვე მომბეზრდა სხვებთან სულ ეს პირუტყვული, უსიხარულო პრანჭვა და გრეხა... რაღაც მაღალი, კეთილშობილური რამ განვიზრახე ჩემს სიცოცხლეში და... აი ამ მისმა ნაცოდვილარმა ოცნების ციდან დედამიწაზედ დამანარცხა... უცებ თვალები ამეხილა... რაღაც ბრაზი და სიცარიელე დაეუფლა მთელ ჩემს არსებას, რადგან ასეთი გატაცებით ჩემს სიცოცხლეში არავისზე მიოცნებია... ო, ღმერთო ჩემო, როგორ მოვტყუვდი!

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. მადმუაზელ, თქვენივ ბრალია! მე არა ერთხელ გაგაფრთხილეთ, რომ მაგისაგან ბევრს ნურაფერს მოელითმეთქი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. რა ვუყო, მადამ! თავის უძირო გრძნობით, თავის სულიერ სისპეტაკით და ხატოვანებით ისე ძლიერად მომაჯადოვა, რომ თავიდანვე რაღაც დიდებულ ნიჭის მხატვრად წარმოვიდგინე...

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. მოკლედ, დამშვიდდით, მადმუაზელ! ეგ სისულელე მალე გაივლის! მე თქვენ ისეთი შესანიშნავი ამბავი მოგიტანეთ, რომ...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. რა ამბავი?

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. ბაღის პატრონს დავემშვიდობე... ფული სულ მომცა... შესანიშნავი სარეკომენდაციო წერილებიც დამიწერა... ასე რომ, დღეიდან უკვე თავისუფალი ბრძანდებით, მადმუაზელ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. მით უკეთესი!.. (მოუსვენრად გაივლ-გამოივლის ოთახში, ფანჯარაში გაიხედავს.) მაგრამ... მე ის მაწუხებს, ნიკოლას რა პასუხს გავცემ! იგი სულ მალე ალბათ აქ გაჩნდება და თუ ელხავე აქედან არ წავედით, დიდი სკანდალი არ აგვცდება...

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. ჩვენ ეხლავ წავალთ... (იწყებს ჩემოდნების ჩალაგებას.)

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. ასე უცებ სად, სად წავიდეთ? სხვა სასტუმროში? მე მისი ნახვა სრულებით აღარ შემიძლია...

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. რათა სასტუმროში! (საათს შეხედავს.) ეხლავ სადგურზე! (კაბებსა და ნივთებს ჩემოდანში ყრის.) აბა, თქვენ ნუღარ იგვიანებთ... მოემზადეთ გასამგზავრებლად.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. მადამ, მე არ მესმის თქვენი განზრახვა...

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. ეხლავ გაიგებთ! საქმე ის არის, რომ მე ის თქვენი პირველი თაყვანისმცემელი ვინახულე...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. ვინა? ის კრიჟანგი ღორი?

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. დიახ, სწორედ ის! მაპატიეთ, მა შერ მადმუაზელ, რომ თქვენს დაუკითხავად ვინახულე, მაგრამ ერთმა ამბავმა მაიძულა...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. რა ამბავმა?

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. ბაზარში ყური მოვკარი, რომ თქვენი ნიკოლა თურმე უკვე ბანკროტია...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. მადამ, ეგ დაუჯერებელია!.. კაცი აქ ეხლა იცინოდა... ცოლობას მთხოვდა...

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. სწორედ მაგასაც ლაპარაკობდნენ, რომ თურმე მან ეს ჯერ არც კი იცის... ჰოდა, მე ეს ამბავი არ მეჭაშნიკა და ამიტომაც იმ თქვენს „კრიჟანგ ღორს“ მივაშურე... ყოველ შემთხვევისათვის!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. მერე, რა გითხრათ?..

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. თქვენს ბედზე, ძვირფასო მადმუაზელ, ძალიან სასიხარულო რამ მომახსენა...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. მადამ! ნუ მტანჯავთ! ნიკოლამ არ მოგვისწროს...

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. მითხრა: ოღონდ მარგარიტა შემირიგდეს და დღესვე წაგიყვანთ პეტერბურგშიო... მეტი რა გნებავთ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (გახარებული). მართლა ასე თქვა?! მადამ ლილი! თქვენს პირს შაქარი! კი, მაგრამ იმ უსინდისომ რატომ აქამდის არ მინახულა, თუ შერიგება ასე სწყურია?..

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. მადმუაზელ! ჩვენ ეხლა კაპრიზების დრო აღარა გვაქვს... თურმე იმიტომ ველარ მობედა, რომ კვლავ გაგდებისა ეშინოდა... დღეს კი სწორედ აქ მოდიოდა, როცა მივედი... ამიტომაც თავის სათქმელი მე დამაბარა...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. მაინც რაო, რა დაგაბარათ?

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი (საათს შეხედავს). სრულ ექვს საათზე მოვალ თქვენთან და თუ მარგარიტა თანახმაა, გასამგზავრებლად მზად იყავით და იმწამს სადგურში წავიდეთო!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. ჰმ, თანახმაო?! დღეიდან უკვე სიხარულით და სიყვარულითაც! იცით, მადამ, აი ამ წუთს რაში დავრწმუნდი?

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. რაში, მადმუაზელ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა. რომ ეს ოცნება და იდეალები სულ სისულელეა... რომ ეს საჩემო საქმე არ არის და ისევ მიჯობს კვლავაც ნაცადი გზებით ვიარო!..

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. მადმუაზელ, თქვენ ბრძენი ბრძანდებით! (შუბლზე კოცნის.)

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (უკვე სამგზავროდ გამოწყობილი). ოო, სანატრელო პეტერბურგო! მოვქრივარ შენკენ! აი სად მელის მე ტრიუმფი! იქ დამხვდებიან გრაფები და დიდი, ბრწყინვალე თავადები! იქ ვიპოვი მე ჩემს იდეალს...

მ ა დ ა მ ლ ი ლ ი. მართლაც, მადმუაზელ! თორემ ამ მეშჩანურ პროვინციებში ისე ჩავიხრჩეთ, რომ ვიღაც უნიჭო მედუქნეები გენიოსებად გვეჩვენებიან!

(კარზე დაკაკუნება. მარგარიტა მიირბენს და კარს გააღებს. შემოდის ჩასუქებული ვაჭარი ცილინდრით ხელში, სამგზავროდ გამოწყობილი. იგი შეკრულ ჩემოდნებს თვალს მოავლებს, მის თვალებში სიხარულის ცეცხლი იელვებს და ექსტაზში შესული მუხლებში ჩაუვარდება მარგარიტას.)

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (წამოაყენებს, ჩასუქებული ვაჭარი ხელებს უკოცნის). ძალიანა გთხოვთ, ნუღარ ვაყოვნებთ... რაც სათქმელი გვაქვს, გზაში ვილაპარაკოთ...

ჩ ა ს უ ქ ე ბ უ ლ ი ვ ა ჭ ა რ ი. კეთილი, ქალბატონო! მობრძანდით! ეტლი გველოდება!

(ჩემოდნებს წამოავლებენ ხელს და ყველანი საჩქაროდ გადიან. მცირე მუსიკალური პაუზა. შემორბის ნიკალა უზარმაზარი თაიგულით.)

ნ ი კ ა ლ ა (გახარებული და აღგზნებული). ძვირფასო მარგარიტა! შეიძლებაო... (უცებ ელდანაცემი შედგება და აყრილ-დაყრილ ოთახს თვალს მოავლებს, საწოლ ოთახშიც შეიხედავს და თავზარდაცემულს თაიგული ხელიდან გაუვარდება). წასულა! მუხთლად გაპარულა... ვაი შენს თავსა, ნიკალა ფიროსმანაშვილო! შერცხვენილმა და თავლაფდასხმულმა ეხლა სადღა გსურს თავი გამოჰყო... (თავის სურათს დაინახავს, ხელში აიტაცებს, მკერდზე მიიკრავს.) შენი ჭირიმე... ამ სანაგვესთან შენ აქ რა გინდა? იმან დაგაგდო? აა, ეხლა კი ყველაფერი გასაგებია... (სურათს სკამზე დადგამს და დახატულ მარგარიტას ელაპარაკება.) შე კაი ქალო, ეს რა მიყავი? არა გრცხვენია? გახარებული მისთვის გამგზავნე, რომ აი ასე თავი მოგეჭრა?.. რა დაგიშავე, რომ ასე უღმერთოდ გამაწბილე, ჰა? (სურათს უალერსებს.) შენ გენაცვალე... მაშ მიღალატე? გამიფრინდი, ჩემო პეპელავ? ეე, იმწამს შეგატყე, რომ ეს სურათი არ მოგეწონა... იმწამს შეგატყე, რომ გული ამყარე... მაგრამ, შე დალოცვილო, პირში მეტყოდი... შე კაი ქალო, გული მომიკალ, მაგრამ ამ ჩემს სულს რაღას ერჩოდი... (სურათს აკვირდება.) ნუთუ მართლა ასე ცუდია?

(შემორბის ძალზე შეშფოთებული ვარინკა.)

ვ ა რ ი ნ კ ა. ნიკალა!.. მადლობა ღმერთს, რომ მოგაგენი! წამოდი ჩქარა... შენი დუქანი, შენი ოთახი, სუყველაფერი წყეულ დიმიტრამ მიითვისა...

ნ ი კ ა ლ ა (გარინდებული სურათს ჩასჩერებია). ვინ ვისთან სტყუის — შენ ამ სურათთან თუ სურათი შენთან?..

ვ ა რ ი ნ კ ა. ნიკალა, კაცო! არ გესმის, რასაც გეუბნები!?.. დიმიტრამ მუხთლად გიღალატა!.. ყალბი ვექსილებით მთელი შენი ქონება დაიმტკიცა... სახლიდან ბარგი გამოგიყარეს... წამოდი ჩქარა...

ნ ი კ ა ლ ა (თავში ხელს შემოიკრავს). შე საცოდავო, ცოცხალი რაღად დაიარები!.. შენმა ნიჭმა ქალი დააფრთხო! შენმავ სურათმა დაგასამარა!.. (ისტერიულად გადიხარხარებს.)

ვ ა რ ი ნ კ ა (ტირილით). არ გესმის, რასაც გეუბნები? ადამიანო, მთლად გაგაუბედურეს... წამოდი-მეთქი!.. (ხელს ჩაჰკიდებს და ძალით გაჰყავს.)

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

კვლავ შუაბაზარი, ნიკალას დუქანი. დუქნის წინ ნიკალას ბარგია გამოყრილი. დუქნის კარში დგას დოინჯშემოყრილი დიმიტრა მეზობელი მედუქნეების თანხლებით.

ყ ა ს ა ბ ი (იცინის). ჰა, დიმიტრაჯან!.. მაშ მორჩა ეხლა ბედოვლათი ნიკალას საქმე! მომილოცნია, ჩემო ძმაო... მთელი დუქანი და ეს ოთახი უკვე შენია...

დ ი მ ი ტ რ ა (იბღინძება). მაშ!

ბ ა ზ ა ზ ი. ჰო, ნიკალას საქმე ეხლა მართლაც მორჩენილია... აღარც კრედიტი... არც დავერია...

მ ე თ ე ვ ზ ე. კანეჩნა! ვაჭარ-კაცისთვის ეგ სიკვდილია!

დ ი მ ი ტ რ ა. ვაჭარი კი არა!.. ეგ რა ვაჭარია!..

ყ ა ს ა ბ ი (ხარხარებს). მართლაცდა... მღებავია!.. წავიდეს ეხლა აბრები ხატოს...

დ ი მ ი ტ რ ა. ანდა იმ თავის მარგარიტასთან იჯამბაზოს!

მ ე თ ე ვ ზ ე. რომ მოვიდეს და ფული გვესესხოს?

ყ ა ს ა ბ ი. არა, ძმაო... კაპიკს არ მივცემ...

ბ ა ზ ა ზ ი. არც მე... ვაჰ, ეხლა რომ მოვა, რამდენს იჩხუბებს...

ყ ა ს ა ბ ი. ეე, ხუმრობაა?!. კაცი ულუკმაპურად, უსახლკაროდ ქუჩაში რჩება...

მ ე თ ე ვ ზ ე (დიმიტრას). ჰა, ფრთხილად, ძმაო... აქ სისხლი არ დაიღვაროს!

დ ი მ ი ტ რ ა. მამა უცხონდა! ყურებზე ხახვი არ დამაჭრას... ახია მასზე! მაშ რა ეგონა...

ყ ა ს ა ბ ი. ერთი ეს მითხარ, რომ გიჩივლოს?..

მ ე თ ე ვ ზ ე. მააშ!.. რომ გამოგედავოს, ვექსილები სულ ყალბიაო!

დ ი მ ი ტ რ ა. მერე რომ!.. თქვენ ხომ მიმოწმებთ, რომ მთელი ფული სულ იმ ვიღაც ოხერ ქალს ჩააყარა... რომ სულ მთვრალია და ხელს რაზედ აწერს, აღარც კი ახსოვს...

ბ ა ზ ა ზ ი. მაგას გიმოწმებთ...

ყ ა ს ა ბ ი. ეგ ადვილია...

მ ე თ ე ვ ზ ე. საქმე ის არის, შენ არაფერი აგიტეხოს... გამწარებული კაცი — ძნელია!..

ს ო ნ ა (შემოდის ჩქარი ნაბიჯით, გოროდოვოის მოუძღვის წინ). დიახ, ბატონო!.. ცოფიანი მგელი ხომ გაგიგონია? სწორედ ეგეთი აფთარია... ბატონო პროხორ, დაგვეხმარე, შენი ჭირიმე, თორემ ამ ცხვარივით ხალხს სულ ყელებს დაგვჭრის...

პ რ ო ხ ო რ ი. ჰმ!.. უყურე შენ, რა მხეცი ყოფილა!.. (დიმიტრას ეშმაკურად თვალს ჩაუკრავს.) მობრძანდეს ერთი!..

ს ო ნ ა (ვიღაც დაინახა). ბატონო! აგერ მოდის კიდეცა... დაგვიფარე, შენი ჭირიმე!.. (დიმიტრას, ყურში.) შეხედე ერთი იმ სასიკვდილეს!.. აი თურმე სად გაქცეულა...

(სცენაზე დაძაბული მოლოდინი.)

მ ე თ ე ვ ზ ე. პაჰ-პაჰ-პაჰ-პაჰ-პაჰ!.. ეხლა იქნება — რაც იქნება! (ხელებს იფშვნეტს.)

ყ ა ს ა ბ ი (დიმიტრას.) შენ უკან დადექ!.. უცებ არ დაგეძგეროს!

პ რ ო ხ ო რ ი (დიმიტრას). ის განაჩენი ხომ აქა გაქვს?

დ ი მ ი ტ რ ა. აჰა, ინებე!.. (ქაღალდს გადასცემს. შემოდიან ვარინკა და ნიკალა, რომელსაც იღლიაში თავისი სურათი აქვს ამოჩრილი. პროხორი წინ გადაუდგება.)

პ რ ო ხ ო რ ი (თვალებს დაუბრიალებს). სტოი! შეჩერდი!.. ეს შენი ბარგი-ბარხანა აქედან მოაშორე და ამ დუქანთანაც ახლოს გავლილი არ დაგინახო, თორემ...

(ნიკალა უსიტყვოდ მიდის თავის ბარგთან, აჩონჩხლილ სკამებსა და სხვა საოჯახო ნივთების ქვეშიდან თავის სურათებს აძრობს, საღებავების ყუთს ეძებს.)

მ ე თ ე ვ ზ ე. ვაჰ!.. სასწაულია! ძმებო, ხედავთ, რა ჭკვიანად არი...

ბ ა ზ ა ზ ი. ეე, ეს რაღაც სხვანაირად იქცევა, აი!.. თითქოს დარტყმულსა ჰგავს... (თავის დუქნისაკენ დაიხევს.)

მ ე თ ე ვ ზ ე. ჰა, ამ გიჟმა აქ ქვების სროლა არ აგვიტეხოს... (ყველანი ეჭვის თვალით შესცქერიან ნიკალას მოქმედებას.)

ვ ა რ ი ნ კ ა (ნიკალას). ნიკალა... კაცო!.. რას გაჩუმებულხარ!.. უთხარი რამე!

ნ ი კ ა ლ ა (წაიბურტყუნებს). მე სათქმელი არაფერი მაქვს... (განაგრძობს თავის საქმეს.)

ვ ა რ ი ნ კ ა (გულამომჯდარი). ნიკალა!.. ასე როგორ შეიძლება?.. მაშინ მე ვეტყვი! (პროხორს, გამწარებული.) რად, რად აგდებთ ამ კაცს აქედან?..

პ რ ო ხ ო რ ი. იმიტომ, რომ აქ უკვე აღარაფერი აღარ ეკუთვნის...

ვ ა რ ი ნ კ ა. მაშ ვის ეკუთვნის?.. (დიმიტრაზე.) აი ამ ავაზაკსა და გაიძვერას?!..

დ ი მ ი ტ რ ა. ხმა ჩაიწყვიტე!..

ს ო ნ ა. უი, ქაა! შე დასამიწებელო, გამზრდელ ბიძას ეგრე ეტყვიან?!

ვ ა რ ი ნ კ ა. ამას კი არა, მეტსაც გეტყვით, თქვე ქურდებო, თქვე ავაზაკებო!

პ რ ო ხ ო რ ი (ვარინკას მრისხანედ ფეხებს დაუბრაგუნებს). დაიწი უკან!.. ხმა, კრინტი-მეთქი!.. სასამართლოს აი ამ განაჩენით მაგას აქ აღარაფერი აღარ ეკუთვნის...

ვ ა რ ი ნ კ ა. ეგ განაჩენი სწორი არ არის... მოსამართლე მოქრთამულია... ის ვექსილები სულ ყალბია... მე დავამტკიცებ...

ს ო ნ ა. უი, ქა!.. დამიდგეს თვალი!

პ რ ო ხ ო რ ი (დიმიტრას). კაცო, მომაშორე ეს მეტიჩარა, თო-

რემ არ ვიცი, რას ავუტეხამ! ეს ხმას არ იღებს და ამას ვინ ჭკითხავს!

დ ი მ ი ტ რ ა. გიჟია, ბატონო პროხორ! სწორედ ამ დროს მოუვლის ხოლმე! (ხელს სტაცებს ვარინკას და სონას დახმარებით დუქნისაკენ მიათრევს).

ვ ა რ ი ნ კ ა (ყვირის). გამიშვით, თქვე უსირცხვილოებო!.. ფუი, თქვენს ნამუსს... ფუი, თქვენს სინდისს! ხალხი კი არა — მგლები ყოფილხართ! (გაუსხლტება ხელიდან და გარბის.)

დ ი მ ი ტ რ ა. აქ აღარ დაგინახო, შე გველის წიწილო, თორემ თავს გაგიხეთქავ!.. (მისდევს, ხალხი აკავებს.)

პ რ ო ხ ო რ ი (აჩოჩქოლებულ ხალხს). ჰა, რა ამბავია! სეირი მორჩა!.. აბა, რაზოიდის! დაიშალენით!... ქუჩებში ხალხის თავის მოყრა აკრძალულია! (სასტვენს ჩაჰბერავს, დამსწრეებს გაყრის, ნიკალას მიუბრუნდება.) შენ კი გაფრთხილებ, აი ასე ჭკვიანად იყავ! ამ ხალხს აქ არაფერი აუტეხო, თორემ... ციხე-ციმბირი უკან დაგრჩება! შენ ეი, დიმიტრა! ნუ გეშინია, მე მალე მოვალ!

დ ი მ ი ტ რ ა. მობრძანდი, შენი ჭირიმე! აბა, იცოდე, გელოდები...

(პროხორი გადის. დიმიტრა და სონა დუქანში შედიან. ნიკალა თავის სურათების სინჯვას ამთავრებს, სახე თანდათან უბრწყინდება.)

ნ ი კ ა ლ ა (სურათებს სიყვარულით მიეფერება). თქვენ შემოგევლოთ თქვენი ნიკალა... არა! ის სტყუის! თქვენ მართალი ხართ! (საღებავების ყუთს მხარზე გადაიკიდებს, თავის სურათებს იღლიაში ამოიდებს და გაბრწყინებული სახით გასასვლელისაკენ დაიძვრება, მაგრამ დუქნიდან გამოსული სონა წინ გადაუდგება.)

ს ო ნ ა. ნათლი, ცოტა ხანს მოითმინე, სათქმელი რამ მაქვს.

ნ ი კ ა ლ ა (ზიზღით). რაო, რა გნებავს?

ს ო ნ ა. ბიჭო ნიკალა, არც სულ ეგრე დასაკარგავად გვემეტები... ჩემი გოგიას მომნათვლელი ხარ! აბა სად უნდა წახვიდე, ბიჭო?

ნ ი კ ა ლ ა. თბილისი დიდი ქალაქია.

ს ო ნ ა. კი, მაგრამ... ასე უსახსროდ... ასე უსახლკაროდ. შვილს გეფიცები, გული მიკვდება. დარჩი ჩვენთან. დიმიტრამ დამაბარა, ჩემთან იმუშავეო. დღეში ათ შაურს გაგიჩენო. (ნიკალა მიდის.) ბიჭო, რათა თაკილობ? ქაა, ასე ხომ დაიღუპები?

ნ ი კ ა ლ ა. თქვენ დარდი ნუ გაქვთ, სადაც გული და თავი წავაგე, ეგ ხელის ჭუჭყიც ბარემ იქ იყოს! (დუქანზე მიუთითებს.)

ს ო ნ ა. ბიჭო ნიკალა! ეს გოგო ვარინკა მაინც შეგერთო...

ნ ი კ ა ლ ა. ვერა, ნათლიდედ! ამიერიდან მე ბერი ვარ. განდეგილი ვარ! (გადის.)

მ ო ქ მ ე დ ე გ ა მ ე ს ა მ ე

თბილისის სამიკიტნო-სარდაფი. მარცხნივ — დახლი, დახლში — მიკიტანი ალექსი. მარჯვნივ, დაბალთაღებიან ჭერქვეშ — მაგიდები, რომლებსაც ჭერიდან ჩამოშვებული ნავთის დიდი ლამპა მკრთალ შუქსა ჰფენს. ფანჯრის ზედა ნაწილიდან მოჩანს, რომ გარეთ ქუჩაში თოვს.

სამიკიტნოში არავინ არის. მხოლოდ ერთ მაგიდასთან ვიღაც უცნობი ზის და თითქოს სთვლემს. სამიკიტნოში ჩამოდის როსკიპი ქალი ზაფხულის კაბით. იგი დახლთან მივა სიცივისაგან ათრთოლებული.

ქ ა ლ ი. გამარჯობა, ძია ალექსი!

ა ლ ე ქ ს ი. გაგიმარჯოს! ამ თხელ კაბაში რომ გამოსულხარ, არა გცივა? ხომ ხედავ, თოვს!

ქ ა ლ ი. რა ვქნა, მეტი არაფერი მაქვს და... (დახლზე სპილენძის ფულს დაუგდებს.) ერთი არაყი ხელათ გამათბობს!

ა ლ ე ქ ს ი. ეეჰ, შე საცოდავო! (არაყს უსხამს. ქალი სამიკიტნოს მოათვალიერებს, მაგიდასთან მჯდომ უცნობს შეამჩნევს.) აჰა, გადაჰკარ!

ქ ა ლ ი (გახარებული). ოო, რა დიდი ჭიქაა! ძია ალექსი, შენ იდღეგძელე რომ ასეთი გულკეთილი ხარ! (გადაკრავს, ალექსის მიერ მიწოდებულ ლუკმას დააყოლებს. თმიდან ვარდს გამოიძრობს და თეძოების რხევითა და ღიღინ-კრუტუნით მიუახლოვდება მაგიდასთან მჯდომს, ვარდს სახეზე მოუცაცუნებს.) ჰა, ყმაწვილო! ვარდი არ გინდა?.. ოთახიც აი აქვე ახლოს მაქვს... (ცხვირწინ გასაღებს აუტარ-ჩაუტარებს).

უ ც ნ ო ბ ი (უგემურად შეუბღვერს). გასწი, გაიარე!

ქ ა ლ ი. არა, არ წავალ! (გვერდით მიუჯდება.) მე შენ მომწონ-ხარ. (უნდა აკოცოს, მაგრამ უცნობი ხელით მოიშორებს.)

უ ც ნ ო ბ ი. დროს ნუ კარგავ! გასწი, გაიარე... მეც აქ შენსავით გასათბობად ვარ ჩამოსული.

(შემოდის ხვნეშით გოროდოვოი პროხორი. ქალი და უცნობი მის დანახვაზე აიძურწებიან, სამიკიტნოდან გავარდებიან. პროხორი მტრულად დაუცაცხანებს.)

პ რ ო ხ ო რ ი. ბრის! აქ აღარ დაგინახოთ, თქვე მაწანწალებო!.. (ალექსის.) რა სიცივეა... გავფიჩხდი კაცი... სროჩნო ერთი თხლაშოი ჭაჭა! (ალექსი დაუსხამს, პროხორი გადაკრავს, სამიკიტნოს თვალს მოავლებს.) რაშია საქმე? მუშტარი არავინა გყავს?

ა ლ ე ქ ს ი. ცივა... თოვს... თანაც უკვე გვიანია და...

პ რ ო ხ ო რ ი. აა! გასაგებია! (ღეჭვით გადის. მცირე ხნის შემდეგ სამიკიტნოში ჩამოდის ნიკალა. იგი გაუპარსავია, პალტო არ აცვია. გაცვეთილი თხელი პიჯაკ-შარვალი დაჭმუჭნული და საღებავებით შესვრილი აქვს. ხელში საღებავების ყუთი უჭირავს. იგი მაგიდას მიუჯდება; შიგა და შიგ ჭირვეულად ახველებს.)

ნ ი კ ა ლ ა. მიკიტანო! ერთი არაყი და ცხელი რამ კერძი!

ა ლ ე ქ ს ი. ეხლავე, შენი ჭირიმე! (სამზარეულოში გასძახებს.) ბიჭო, ივანიკა! ერთი კარგი ყაურმა...

ი ვ ა ნ ი კ ა (სამზარეულოდან გამოვარდება). ამ წუთში, ბატონო! (კერძს მოურბენინებს, ალექსი მაგიდაზე არაყს დაუდგამს. შემოდის იგივე როსკიპი ქალი, ნიკალას ღრეჭით აუვლ-ჩაუვლის. ნიკალა ჭამას შეწყვეტს, ქალს შეხედავს.)

ქ ა ლ ი (მიუახლოვდება). ჰა, ძმობილო! ვარდი არ გინდა? ოთახიც აი აქვე ახლოს მაქვს.

ნ ი კ ა ლ ა (სკამს მიუდგამს). დაჯექი... (ქალი გახარებული ჩამოჯდება.) მიკიტანო! კიდევ ერთი ცხელი კერძი და... ერთი ჩარეჭა კარგი ღვინო...

ა ლ ე ქ ს ი. ამ წუთში, შენი ჭირიმე!.. ბიჭო ივანიკა!.. (ივანიკა კერძს მიურბენინებს, ალექსი ღვინოს დაუდგამს მაგიდაზე. ნიკალა და ქალი უსიტყვოდ ჭამენ.)

ქ ა ლ ი (ჭამას ამთავრებს და შეაშტერდება ნიკალას, რომელიც სამიკიტნოს შიშველ კედლებს ათვალიერებს). შენც მორჩი ჭამას?

ნ ი კ ა ლ ა. დიახ... რა იყო?

ქ ა ლ ი. მაშ წავიდეთ...

ნ ი კ ა ლ ა. სად?

ქ ა ლ ი. ჩემთან... (გასაღებს აჩვენებს.) აი, აქვეა...

ნ ი კ ა ლ ა. არა, გეთაყვა...

ქ ა ლ ი (გაოცებული). მაშ რად დამპატიჟე?.. რისთვის მაჭამე?..

ნ ი კ ა ლ ა. როგორ თუ რად? მაშ ქვეყანაზე ადამიანობა აღარ ყოფილა?

ქ ა ლ ი (ნაწყენი წამოდგება). ეე, შენ, გეტყობა, არა მკადრულობ!

ნ ი კ ა ლ ა. პირიქით, ქალო... შენი ცქერით გული მიკვდება...

ქ ა ლ ი (დამცინავად გადიხარხარებს). ოო, შენ ძალიან გულკე-

თილი კაცი ყოფილხარ... (უცებ მოეშვება, წაბარბაცდება.) ღმერთო... როგორ დავიღალე... ისე მეძინება, რომ თვალებს ძლივს ვახელ.

ნ ი კ ა ლ ა. ჰოდა, გასწი შენს სახლში. ნურსად შეუხვევ, ეს ღამე მაინც დაიძინე ადამიანურად.

ქ ა ლ ი. მართლაცდა, ერთ ღამეს მაინც დავისვენებ... (საბრალო ღიმილით.) მაშ მშვიდობით... დიდი მადლობა...

ნ ი კ ა ლ ა. მოიცა... (ჯიბიდან ფულს ამოიღებს და ხელში ჩაუდებს.) აჰა, წაიღე, ხვალ სათბილობელი იყიდე რამე, თორემ ასე ხომ დაჭლექდები, გოგო!

ქ ა ლ ი (კვლავ ძალზე გაოცებული შეაშტერდება). ჰმ.. შენ კაცი კი არა — ქრისტე ყოფილხარ! (გულაჩუყებული სამიკიტნოდან გავარდება. ნიკალა სიბრალულით თვალს გააყოლებს, უცებ რაღაც ფიქრი დაებადება, საჩქაროდ გახსნის თავის ყუთს, ქაღალდის ფურცელს ამოიღებს და სწრაფად ხატავს. ალექსი მიუახლოვდება, დასცქერის.)

ა ლ ე ქ ს ი. ვაჰ, ეგ რა არის?

ნ ი კ ა ლ ა (თავს აიღებს). იმ ქალსა ვხატავ... (ფულს აძლევს.) აჰა, ეს ჩემი დანახარჯი...

ა ლ ე ქ ს ი (ფულს გამოართმევს). შენ რა — მხატვარი ხარ?.. (ნიკალა თავს დაუქნევს, ხატვას განაგრძობს.) ალბათ აბრებსა ხატავ.

ნ ი კ ა ლ ა. დიახ, აბრებსაც...

ა ლ ე ქ ს ი. დალოცვილო, მაშ მღებავი ყოფილხარ და...

ნ ი კ ა ლ ა. არა, ძმობილო, მღებავი კი არა, მე მხატვარი ვარ! აბრებს მხოლოდ ლუკმაპურისთვის ვხატავ...

ა ლ ე ქ ს ი. ბოდიში, ძმაო... კიდევაც მხატვარი ბრძანდებოდე... მაგრამ რის დახატვა შეგიძლიან, ჰა?

ნ ი კ ა ლ ა. სუყველაფრისა...

ა ლ ე ქ ს ი. ვაჰ! კაცს დახატავ?

ნ ი კ ა ლ ა. კაცსაც და ქალსაც...

ა ლ ე ქ ს ი. ცხოველებსაც?

ნ ი კ ა ლ ა. ცხოველებსაც და ფრინველებსაც... აი ამ დუქანს, თუ გინდა, ისე მოგიხატავ, რომ...

ა ლ ე ქ ს ი. შენ გენაცვალე!.. (გვერდით მიუჯდება.) მაინც, რას დამიხატავ?..

ნ ი კ ა ლ ა. რას და, თავში ბევრი რამ მიტრიალებს... აი თუნდაც აქ, ჩამოსასვლელთან, მთელ ამ კედელზე დაგიხატავდი ერთ თბილისელ ყარაჩოხელსა, რომელიც ყველა აქ ჩამოსულს ალალ ღიმილით აი ასეთი ყანწით მიეგებება!

ა ლ ე ქ ს ი. ბიჭოს, ეგ, მართლაც, კარგი იქნება... ეს იქნება ჩვენი ქართული მასპინძლობა!

ნ ი კ ა ლ ა. დიახ!.. აი აქეთ კი კარგია, რომ დაგვეხატნა კახეთის რთველი... გვეჩვენებინა ჩვენი ქვეყნის დოვლათ-ბარაქა.

ა ლ ე ქ ს ი. აუჰ, შენი ჭირიმე!

ნ ი კ ა ლ ა. აი აქ საწნახელი... შიგ ჭარმაგი ვაჟკაცი გლეხი ყურძენსა სწურავს... ვენახიდან კი მოაქვთ და მოაქვთ სავსე გოდრები.

ა ლ ე ქ ს ი. ბიჭო და, მაგით ხომ ამაშენებ! ვაჰ, რა მუშტარი დამედება...

ნ ი კ ა ლ ა. ამ კედელზე კი გამოვსახოთ ჩვენი დიდება — თამარ მეფე და ტარიელივით მისთვის ხელი სულმნათი შოთა.

ა ლ ე ქ ს ი. ვაჰ, ძმაო, რა ოქროპირი ვინმე ყოფილხარ!

ნ ი კ ა ლ ა. იმ კედელზე კი — სააკაძე ლაშქარს მოუძღვის. აქეთ-იქიდან ხალხი მორბის, რომ ჩქარა მის ლაშქარს შეუერთდეს... თვითონ გიორგი დროშასა კოცნის და გმირულ ფიცსა სდებს, რომ საქართველოს გამოიხსნის მტარვალებისგან...

ა ლ ე ქ ს ი. ბიჭოს, ასე მგონია, ეს კედლები გაცოცხლდნენ-მეთქი.

ნ ი კ ა ლ ა. მაშ რაა... მოქეიფენი შეხედავენ და ასე იტყვიან: ძმებო, აი რა გმირი წინაპრები გვყოლიაო, და თვითონაც ბრძოლის ჟინი აიტანთ!

ა ლ ე ქ ს ი. სწორია, ძმაო... მართალია! ჩვენი ილია და აკაკიც ხომ ეგრე სჩადიან!

ნ ი კ ა ლ ა. მაშ რაა! იცი, სურათი რა დიდი იარაღია! მუშტარი უნდა დააფიქრო თავის წარსულზე, თავისი ხალხის ბედ-იღბალზე და მომავალზე... ვაჟკაცური სული უნდა ჩაჰბერო...

ა ლ ე ქ ს ი. ჰო, ჰო... ეგეც კარგად სთქვი! თუმცა, იცი რა?

ნ ი კ ა ლ ა. რა?

ა ლ ე ქ ს ი. მოდი, ამასაც ნუ დაივიწყებ... აი აქ ღვინის დოქი, მწვადი, ცოცხალი და მწვანე კიტრები დამიხატე, რომ მუშტარს უფრო იშტა გაეხსნას...

ნ ი კ ა ლ ა (ჩაიღიმებს) ეგეც შეიძლება...

ა ლ ე ქ ს ი. ვაჰ, დალოცვილო, ეს რა ყოფილხარ! სადაური ხარ?

ნ ი კ ა ლ ა. ქიზიყელი... მირზაანიდან...

ა ლ ე ქ ს ი. შენი სახელი?

ნ ი კ ა ლ ა. ნიკალა... ფიროსმანაშვილი...

ალ ე ქ ს ი. ჰოდა, ჩემო ნიკალა, იცი, რას გეტყვი... მოდი და, ბარემ ეხლავ მოვრიგდეთ...

ნ ი კ ა ლ ა. მე მორიგება არ ვიცი ხოლმე...

ა ლ ე ქ ს ი (შუბლს შეიკრავს). აბა მაშ როგორ?..

ნ ი კ ა ლ ა. ვიდრე კედლებს მოგიხატავდე — მაჭმევ და მასმევ...

ა ლ ე ქ ს ი. ჩემი თავი შენ გენაცვალოს!

ნ ი კ ა ლ ა. მხოლოდ, გაფრთხილებ... როცა ვმუშაობ, უარყოთ არ შემიძლიან...

ა ლ ე ქ ს ი. როგორ? თან ლოთობ?

ნ ი კ ა ლ ა. კი არ ვლოთობ, არაყს რომ დავლევ — უფრო კარგად ვგრძნობ... უკეთა ვხედავ...

ა ლ ე ქ ს ი. ჰოო? მაშ თუ ეგრეა — არაყს, თუ გინდა, ჩაფით დაგიდგამ... შენ ეს მითხარი, ფულს რამდენს ითხოვ, რომ ეს კედლები აი, როგორც თქვი, ისე ლამაზად მომიხატო...

ნ ი კ ა ლ ა. რამდენის საღებავებიც დასჭირდება...

ა ლ ე ქ ს ი. შენი გასამრჯელო?

ნ ი კ ა ლ ა. მე ფულს არ ვიღებ...

ა ლ ე ქ ს ი (გაოცებული). როგორ? თაკილობ?.. (ტანისამოსზე ახედ-დახედავს.) შე კაი კაცო, მე როგორც გატყობ, შენ ძალიან გიჭირს... ბინაც არა გაქვს...

ნ ი კ ა ლ ა (კუშტად). მერე შენ რაა!.. სამაგიეროდ მეგობრები მყავს...

ა ლ ე ქ ს ი. როგორ თუ რაა?! მეც ქართველი ვარ... ძალიან მიყვარს ჩემი ხალხი, ჩემი ქვეყანა,.. შე დალოცვილო, აბა გულგრილად როგორ ვუყურო, რომ შენისთანა ქართველი კაცი ამ ცივ ზამთარში აი ასე დაიარება... ანდა, მითხარი, ამ თოვლიან შუაღამისას რომელ მეგობარს მიადგები?!. ეე, იცი, რა გითხრა: მაშ რაკი ფულზე უარს ამბობ, ასე მოვრიგდეთ... აქ, ჩემთან დარჩი... ქართველმა კაცმა ამ ქართველ ალექსასთან ითავშესაფრე... თორემ მაგ შენი ხველების გაგონებაზე ჯიგარი მეწვის...

ნ ი კ ა ლ ა. ვთქვათ, დავრჩი!.. მერე?

ა ლ ე ქ ს ი. მერე რა? ჩემთან იმუშავე! ჯამაგირს მოგცემ... ტანთ ჩაგაცმევ. გაჭმევ და გასმევ... აი ამ სამზარეულოში გექნება ბინა... როცა საქმიდან მოიცლი ხოლმე — მაშინა ხატე, რამდენიც გინდა... ეა, ყაბულ?

ნ ი კ ა ლ ა. არა, ძმაო! მე ბორკილებს ვერ დავიდებ... შე კაი კაცო, ამ გაჭირვებას იმიტომ ვიტან, რომ ჩიტივით თავისუფალი ვარ და ჩემი საყვარელი ხელობის მეტს სხვას არავის ვემსახურები... დალოცვილო, ეს ერთადერთი სიკეთეღა მჭირს და ამასაც მართმევ?!.. (ახველებს, კარისაკენ მიდის. ალექსი ხელს სტაცებს.)

ა ლ ე ქ ს ი. მოიცა-მეთქი!.. მე შენ აღარსად არ გაგიშვებ... ჩემმა მზემ, ასე არავინ მომწონებია... უსახლკარო, ღატაკი კაცი და ასე-

თი თავმოყვარე?!. ვაჰ, შენც გრაფი ხარ რაღა! თუ ძმა ხარ, დარჩი! ისე მიმიღე, როგორც შენი მახლობელი და ნათესავი... როგორც შენ გინდა, ისე იყოს... მე თანახმა ვარ! შენ ეს კედლები მომიხატე და დანარჩენი პატივისცემა ჩემზედ იყოს. ჰა, ყაბული? (ხელს გაუწვდის.)

ნ ი კ ა ლ ა. ამაზე ყაბულ... (ხელს ჩამოართმევს.)

ა ლ ე ქ ს ი. შენ გენაცვალე! (გადაჰკოცნის, სამზარეულოსაკენ მიჰყავს.) მაშ მოდი ამაღამ კარგად გამოშუშდი, ალალი ქვეყნის ალალო შვილო, თორემ... თვალებზე გატყობ, რომ ისე ფომერთოდ გეძინება. ეჰეი, ბიჭო ივანიკა!

ი ვ ა ნ ი კ ა (გამოვარდება). ბატონო, რას მიბრძანებ?

ა ლ ე ქ ს ი. შვილო, უკვე გვიან არი... დავკეტოთ ჩვენი სამიკიტნო. ამ თოვლში უკვე აღარავინ მოვა... მუსას უთხარი ცეცხლი ჩააქროს. დარჩენილი კერძები დააბინაოს... ამ კაცს კი ტახტზე ტომრები გაუშალე... ზემოდან ჩემი ნაბადი მიახურე...

ი ვ ა ნ ი კ ა. ეხლავე, ბატონო... (ნიკალას სამზარეულოში შეუძღვება. ალექსი დახლში საქმიანობს, მაგრამ უცებ იღება კარი და სამიკიტნოში ჩამორბის გოროდოვოის პროხორი.)

პ რ ო ხ ო რ ი. ალექსი! ჩქარა პასპორტები მოამზადეთ... ადგილიდან არვინ დაიძრას! თვით გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით „აბლავაა" საეჭვო ხალხზე... (კარში გამოჩნდება პოლიციის ბოქაული ორი ჯარისკაცის თანხლებით.) მობრძანდით, თქვენო კეთილშობილებავ...

ბ ო ქ ა უ ლ ი (ალექსის). სამიკიტნოს პატრონი თქვენ ხართ?

ა ლ ე ქ ს ი. დიახ, ბატონო...

ბ ო ქ ა უ ლ ი (დუქანს მოათვალიერებს) მუშტარი უკვე არავინა გყავთ?

ა ლ ე ქ ს ი. არა, ბატონო! დაკეტვას ვაპირებდი...

ბ ო ქ ა უ ლ ი. თქვენ, რა თქმა უნდა, გაქვთ პასპორტი?

ა ლ ე ქ ს ი. ინებეთ, ბატონო! (მიაწვდის.)

ბ ო ქ ა უ ლ ი (ჩაიხედავს, კითხულობს). ალექსი დავითაშვილი... კეთილი! (უკან უბრუნებს.) აქ ვინ გყავთ კიდევ?

ა ლ ე ქ ს ი. მზარეული მუსა ცხოვრებოვი და ხელზე მოსამსახურე ბიჭი ივანიკა ფხაკაძე...

ბ ო ქ ა უ ლ ი. სად არიან?

ა ლ ე ქ ს ი. აი აქ, ბატონო... სამზარეულოში.

ბ ო ქ ა უ ლ ი. აჰა! (შედის სამზარეულოში პროხორის თანხლებით და მცირე პაუზის შემდეგ გამოდის. პროხორს გამოჰყავს ნიკა-

ლა.) აკი მარტო მზარეული და მოსამსახურე ბიჭიაო?! რაშია საქმე? ამას მიმალავთ?

ა ლ ე ქ ს ი. არა, ბატონო... არ მომაგონდა, თორემ დამალვას როგორ გავბედავდი!

ბ ო ქ ა უ ლ ი (მრისხანედ თვალებს დაუბრიალებს). ჰაა, ასეთები არ იყოს, თორემ... (ნიკალას.) შენი პასპორტი! (ნიკალა დუმს.) შენი პასპორტი-მეთქი, შე სალახანავ!

ნ ი კ ა ლ ა. არა მაქვს... სადღაც დავკარგე...

ბ ო ქ ა უ ლ ი. ვის ატყუებ, შე არამზადავ! შენი მისამართი? (ნიკალა დუმს). აა, უსახლკარო მაწანწალა ხარ? სწორედ შენისთანებს დავეძებთ ეხლა!.. (ალექსის.) ეს საეჭვო პირი აქ როგორ გაჩნდა?.. ნათესავია?

ა ლ ე ქ ს ი. არა, ბატონო... ავად არის და შემებრალა...

ბ ო ქ ა უ ლ ი (დაცინვით). აჰ, შეგებრალათ, ხომ? აი ეს რომ ამალამ ყელებს დაგჭრიდათ, მაშინ მიხვდებოდით, რომ ასეთების შებრალება არ შეიძლება... (ჯარისკაცებს.) წამოიყვანეთ...

ა ლ ე ქ ს ი. ბატონო, ძალიანა გთხოვთ... საწყალი მხატვარია... უწყინარი, პატიოსანი.

ბ ო ქ ა უ ლ ი. ვიდრე მის პიროვნებას არ დავადგენ, ვერ გავუშვებ...

ა ლ ე ქ ს ი. ბატონო, მე ვუდგები მაგას თავდებად...

ბ ო ქ ა უ ლ ი. ეგ არა კმარა...

ა ლ ე ქ ს ი. თუ საჭიროა — ფულად გირაოს მოგართმევდით!

ბ ო ქ ა უ ლ ი. ათი თუმანი!

ა ლ ე ქ ს ი. ეხლავე, ბატონო! (დახლს მივარდება, ფულს ამოიღებს და გადასთვლის; შეწუხებული.) ბატონო, დღეს ვაჭრობა სულ არა მქონდა... აი ამ ოთხ თუმანზე მეტი არ არის...

ბ ო ქ ა უ ლ ი. ათი თუმანი! ნაკლები არც ერთი კაპიკი!

ა ლ ე ქ ს ი. ბატონო, დანარჩენს ხვალ მოგართმევთ... აბა ეხლა სახლში და უკან სად ვირბინო...

ბ ო ქ ა უ ლ ი (თვალებს გაძმოუბრიალებს). რას მევაჭრები?! მე აქ შენსავით მიკიტანი ხომ არ გგონივარ!

ა ლ ე ქ ს ი. მაშ თუ ეგრეა, ამ ფულთან ერთად ეს ჩემი ქამარიც სართად წაიღე... (თავის ვერცხლის ქამარს მოიხსნის და ფულთან ერთად ხელში მიაჩეჩებს.) შე კაი კაცო, მეტი რა გინდა!

პ რ ო ხ ო რ ი (ბოქაულს, მოწიწებით). თქვენო კეთილშობილებავ! ესენი რომ ქამარს გაიმეტებენ — იცოდეთ, ეს დიდი ამბავია... ათი თუმანი ეს ქამარი ღირს...

ბ ო ქ ა უ ლ ი. კარგია! იყოს... (ჯარისკაცებს.) გამოუშვით! (ნი-

კალა სამიკიტნოში ჩამოდის). აბა, გავსწიოთ... (ბოქაული და პროხორი გადიან.)

ნ ი კ ა ლ ა (ალექსის). ძმაო, დიდი მადლობა! ღმერთმა გამრავლოს, მაგრამ... ხომ ხედავ, ჩემი დარჩენა რა ძვირად დაგიჯდა...

ა ლ ე ქ ს ი (იცინის). ეჰ! ეგეც არაფერია! შენ კარგად იყავ და ამ ზარალს სულაც იმ შენს სურათებიდან გავინაღდებ!

სურათი მეშვიდე

იგივე სამიკიტნო, რომლის კედლებიც თითქმის მთლიანად მოხატულია. თვით ნიკალა კედელთან ზის და ღიღინებს, თან სურათს ხატავს. წინ, იატაკზე — საღებავები. გვერდით, მაგიდაზე, არყის ბოთლი და ჭიქა. ალექსი თავზე დასდგომია და მის მუშაობას უყურებს. ივანიკა სამიკიტნოში მირბი-მორბის და მუშტრებს ისტუმრებს.

ა ლ ე ქ ს ი. ნიკალაჯან! აი აქ ერთი კურდღელიც რომ მიახატო...

ნ ი კ ა ლ ა (ყრუდ). არ არის საჭირო...

ა ლ ე ქ ს ი. ვაჰ, მე კი მგონია, რომ საჭიროა... ბოლოს და ბოლოს შემკვეთი მე ვარ და ერთხელ მაინც ხომ უნდა დამიჯერო! (ნიკალა ფუნჯს იატაკზე დაახეთქებს, ათრთოლებული ხელით არაყს დაისხამს.) ძმაო, მეგობარო!.. რა გაბრაზებს! ნუთუ ერთი პატარა კურდღლის დახატვა ეგრე გეძნელება?!

ნ ი კ ა ლ ა (მრისხანედ). კი არ მეძნელება, გეუბნები, საჭირო არ არის-მეთქი! ეს ადგილი ასე უნდა იყოს... მთლიანად სურათს არ მოუხდება...

ა ლ ე ქ ს ი. მე კი მგონია, რომ მოუხდება!

ნ ი კ ა ლ ა (წამოვარდება, ფუნჯს ხელში მიაჩეჩებს). მოუხდება და აჰა, შენ თვითონ მიახატე!

ა ლ ე ქ ს ი. ეე, დალოცვილო! მე რომ ხატვა შემეძლოს...

ნ ი კ ა ლ ა. ჰოდა, როცა არ შეგიძლიან, შენს ქერქში დაეტიე!.. რამდენჯერ გითხარ, მხატვარი თავისუფალი გულის კაცია... თავის გუნებად, როგორც მოსწონს და როგორცა ხედავს, ისე უნდა დახატოს-მეთქი... ეგრე ბრძანებით ვის გაუგია...

ა ლ ე ქ ს ი. ოო, რა ჯიუტი ხარ!..

ნ ი კ ა ლ ა. არ მიყვარს, არა, როცა ჩემს საქმეში სხვა ერევა... შენ მიკიტანი ხარ და გასწი, შენს დახლში დადექ! (წასასვლელად გაიწევს, მაგრამ ალექსი მკლავში ჩააფრინდება.)

ა ლ ე ქ ს ი. ნიკალაჯან, დიდი ბოდიში... ოღონდ ნუ წახვალ და... როგორც გენებოს, ისე დახატე... დაბრძანდი, ძმაო, იმუშავე... ხელს არ შეგიშლი...

ნ ი კ ა ლ ა (გულზე მოეფონება). შე კაი კაცო, სამი წელიწადია შენთანა ვარ და აქამდე ჩემი ხასიათი ვერ გაიგე... (ხატავს. ალექსი დახლისაკენ მიდის. გარედან მოისმის არღნის დაკვრა და მოქეიფეთა შეძახილები. სამიკიტნოში ჩამოდიან შექეიფიანებული მდიდარი მოიჯარადრე დავით ზურაბიჩი, რომელსაც მკლავგაყრით შემოჰყავს ძვირფასად ჩაცმული ვარინკა და დავით ზურაბიჩის ამფსონები. მოელ ამ კომპანიას შემოსდევენ მედუდუკეები.)

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი (მხიარული სიცილით). ჰაა! მახლას! ქართველი ალექსა აქ გახლავს?!

ა ლ ე ქ ს ი (გახარებული მიეგებება). ოო, დავით ზურაბიჩ, მობრძანდით, ძვირფასო! აქ გახლავს, აქ!

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი (გადაჰკოცნის ალექსის. ვარინკას მოუტრიალდება). აი, ეს გახლავს ის ქართველი ალექსა...

(ვარინკა ხელს ჩამოართმევს.)

ა ლ ე ქ ს ი. ეე, დავით ზურაბიჩ!.. ძალიან კი გემდური, აი!

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. რათა? რა დაგიშავე, ჩემო ალექსი!

ა ლ ე ქ ს ი. დამივიწყე! სულ სხვებთან ქეიფობ... არ ვიცი, რაზედ შემომწყერი...

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. არა, ჩემო ალექსი!.. ჯერ რუსეთში ვიყავ, მერე საზღვარგარეთაც მომიხდა წასვლა ჩემს საიჯარადრო საქმეებზე და ძალიან მოუცლელად ვარ...

ა ლ ე ქ ს ი (სიცილით). ვაჰ, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს... დალოცვილო, ძალიან ნაქეიფარი კი ჩანხარ და...

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. ჰოო... დღეს, მართლაც, ძალიან ატეხილები ვართ... ნახევარ თბილისის სამიკიტნოები შემოვიარეთ... აი ეს ჩვენი ქალბატონი ამიხირდა, გინდა თუ არა ყველა სამიკიტნოები უნდა მაჩვენოო... ჰოდა, მეც ავყევი ამ ხნის კაცი... უარი ვეღარ გავუბედე... (იცინის, ვარინკას ხელს მოხვევს. ამფსონებიც ხარხარებენ.)

ა ლ ე ქ ს ი. აა, გასაგებია! ეხლავე ისეთ სუფრას გაგიშლით, რომ.. ბიჭო ივანიკა!

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. აბა, შენ იცი... აგერ იქ, მოფარებულ კუთხეში გაგვიშალე... შენებურად გაგვიმასპინძლდი...

ა ლ ე ქ ს ი. შენ ფიქრი ნუ გაქვს. (დატრიალდება და ივანიკასაც დაატრიალებს.)

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. ჩვენ კი, ვიდრე ალექსი სუფრას გაგვიშლის, ერთი ლაზათიანად მოვილხინოთ! (მედუდუკეებს.) შენ დაუკარ!

(მედუდუკეები უკრავენ საცეკვაოს, წრეში I ამფსონი გადმოხტება, მღერის და ცეკვავს.)

I ამფსონი.

რა ხელს მოგვცემს ქონება,
რომ გავცვითოთ გონება,
რაც მოვიგოთ — შევჭამოთ,
ხვალაც ღვთით გვექონება!
მოდით, ძმებო, დავლიოთ,
რაც მოგვივა — მოგვივა!
ისევ ჯობს მოვიხლინოთ,
რაც მოგვივა — მოგვივა!

(საერთო შეძახილები, ტაში და ცეკვა. II ამფსონი შეენაცვლება პირველს)

II ამფსონი.

ღატაკს ნუ დავიბრიყვებთ,
ყველას კეთილი ვუყოთ...
უფალს მოვეწონებით
თუ ამ საქმეს ხელსა ვყოფთ!
მაშ დავლიოთ ძმებოჯან,
რაც მოგვივა — მოგვივა!
კარგად გამოვიბრუჟოთ,
რაც მოგვივა—მოგვივა!

(ცვლავ ყველანი ერთად მღერიან და ცეკვავენ.)

ა ლ ე ქ ს ი (მოირბენს). აბა, დავით ზურაბიჩ!.. სუფრა უკვე მზად გახლავს!.. (მოქეიფენი მხიარული სიცილით სუფრისაკენ გაეშურებიან, მაგრამ დავით ზურაბიჩი უცებ გაოცებული შეჩერდება, კედლებს თვალს მოავლებს.)

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. ბიჭოს, მთელი დუქანი მოგიხატინებია?

ა ლ ე ქ ს ი (თავმომწონედ). დიახ, დავით ზურაბიჩ.. აგერ იმ მხატვარს მოვახატვინე... (მორეულ კუთხეში მიუთითებს. ვარინკა ნიკალას დანახვაზე შეკრთება, თვალები სიხარულით გაუბრწყინდება.)

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. დალოცვილო!.. ეს რა მხატვრობაა! ნამდვილი მხატვარი ვეღარ იშოვე?.. მეტყოდი და ისეთ ტრაფარეტებს გამოგიგზავნიდი, რომ...

ა ლ ე ქ ს ი. რა, დავით ზურაბიჩ, არ მოგწონს?..

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. ბიჭო და, რა არის აქ მოსაწონი?.. ჰმ... თამარ მეფე!.. რუსთაველი!.. გიორგი სააკაძე! აბა ეს სურათები ვის რად უნდა...

ა ლ ე ქ ს ი. აბა მაშ რა?

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. რა და, რუსეთშიც და საზღვარგარეთაც რესტორანებში სულ შიშველ ქალებს და ფრთიან ამურჩიკებს ხატავენ ეხლა..

ა ლ ე ქ ს ი. მერედა, ეგ მუშტარს რას ეტყვის?

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი (გადიხარხარებს). როგორ თუ რასა!.. ტრფობის საღერღელს აუშლის ხელად...

ნ ი კ ა ლ ა (ვერ მოითმენს, შემობრუნდება). ქართველ კაცს ეგენი არა სჭირდება!.. ქართული სუფრა მუდამ ჭკუის სასწავლო და გონების სალესავია...

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. გაჩუმდი ერთი, მამა გიცხონდა!.. ასე ხომ ჩემი ბავშვიცა თხუპნის!..

(ამფსონები ხარხარებენ.)

I ა მ ფ ს ო ნ ი. მართლაცდა, ერთი ამას შეხედე!..

II ა მ ფ ს ო ნ ი. ვაჰ, რა ყველას თვალები დაუჭყეტია!..

(კვლავ სიცილი.)

ა ლ ე ქ ს ი (ჩუმად). დავით ზურაბიჩ... შენ გენაცვალე, ძალიანა გთხოვ... ეწყინება და...

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. ჰმ! ეწყინება და, ცივი წყალი დალიოს... ეგ მხატვარი კი არა, ვიღაც ჟულიკია!..

ნ ი კ ა ლ ა (ფეხზე წამოიჭრება). ჟულიკიცა ხარ და არამზადაც! არც არაფერი გაგეგება, შე მეტიჩარავ!..

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. რაო?.. ეგ რა თქვი?! (მრისხანედ დაიძვრება ნიკალასაკენ, მაგრამ ვარინკა მივარდება და უკან ეწევა.)

ვ ა რ ი ნ კ ა. დავით ზურაბიჩ!.. შენი ჭირიმე!.. თუ ჩემი ხათრი გაქვს, ამ ბედნიერ დღეს ნუ ჩამაშხამებ! რას ჩააცივდით ამ ნახატებსა... ჩვენ ხომ აქ სამხიარულოდ ჩამოვედით.

I ა მ ფ ს ო ნ ი. მართლაცდა!.. ამ ცეკვა-ხტუნვაში ისე მომშივნია, რომ...

II ა მ ფ ს ო ნ ი. დავით ზურაბიჩ! ეს სურათ-მურათები რა ჩვენი საქმეა... წამო, ძმაო, ღვინო დავლიოთ...

ა ლ ე ქ ს ი. მობრძანდით! აქეთ მობრძანდით, თქვენი ჭირიმე... (მეორე კუთხისაკენ მიჰყავს.)

დ ა ვ ი თ ზ უ რ ა ბ ი ჩ ი. კეთილი, მეგობრებო! კეთილი! მაშ თუ ქეიფია — ქეიფი იყოს!... (ყველანი მიეფარებიან კედლის კუთხეს, საიდანაც მოისმის ჯერ სიცილ-ხარხარი, ხოლო შემდეგ დუდუკის ტკბილი კვნესა. კუთხის იქიდან ფრთხილად გამოდის ვარინკა, ნიკალასთან მიირბენს.)

ვ ა რ ი ნ კ ა (დახშული ხმით). ნიკალა!..

ნ ი კ ა ლ ა (მოიხედავს). ოჰ, ვარინკა, შენა?..

ვ ა რ ი ნ კ ა. ჰო, მე ვარ... ასე რად მიყურებ?.. შენ არც კი იცი, იმის შემდეგ რა გადამხდა...

ნ ი კ ა ლ ა. ჰო, ჰო, მართლა!.. რა გადაგხდა?

ვ ა რ ი ნ კ ა. დიმიტრამ სახლიდან გამომაგდო... სასიკვდილოდ
აღარ დამინდო... თვითონ შენც იმიტომ გაგაღატაკა, რომ არ მინდო-
მე და ჩემი ქმრობით ხელთ ვერ მოგიგდო...

ნ ი კ ა ლ ა. რას ამბობ, ქალო?!

ვ ა რ ი ნ კ ა. დიახ, დიახ! შენ იმ არტისტკას დასდევდი მაშინ და
ყველაფერი გამოგეპარა... მეც, უბედური, ისეთი მორცხვი ვიყავი
მაშინ, რომ ვერაფერი ვერ გაგიბედე... ეხლა კი... ყველაფერი და-
კარგული მაქვს... სირცხვილიც და უმანკოებაც... ჰოდა, აი ეხლა
გეუბნები, რომ გაგიყებით მიყვარდი მაშინ... ეხლაც ისევ ისე მი-
ყვარხარ... მოსვენებას ვეღარ ვპოულობ... სულ შენ დაგეძებ... მითხ-
რეს, სამიკიტნოებში სურათებს ხატავსო და აი, როგორც იქნა, მოგა-
გენი...

ნ ი კ ა ლ ა. მერე და მაგ მაჯლაჯუნას სამიკიტნოებში როგორ
დასდევ...

ვ ა რ ი ნ კ ა. ჩემო ნიკალა!.. ეგ მაჯლაჯუნა ბოროტი გულის კაცი
არ არი... მაგის დაცინვას გულთან ახლოს ნუ მიიტან... უკვე მთვრა-
ლია... ეგ რომ არ შემხვედროდა, მე დღეს ალბათ სულ დაღუპული
ვიქნებოდი... მაგან შემიბრალა... თავის ოჯახში მოსამსახურედ მიმი-
ყვანა. მერე კი... ცალკე გადამიყვანა... ჩემთვის პატარა სახლიც მი-
ყიდა... ფულით ამავსო... ძალიან მწყალობს...

ნ ი კ ა ლ ა (ამოიოხრებს). ეეჰ...

ვ ა რ ი ნ კ ა. აბა მაშ რა მექნა უსახლკარო, ულუკმაპურო გამო-
უცდელ ქალს... კიდევაც ჩემი მდგომარეობა სჯობია სხვისას. მაგრამ
მე მაინც ნაღველი მახრჩობს... სულ შენზე ვფიქრობ... უშენოდ ჩე-
მი სიცოცხლე ჩალად არა ღირს... (ნიკალა თავს ჩაღუნავს, ხელებს
სახეზე მიიფარებს.) ჩემო ნიკალა! რატომ არაფერს მეტყვი?.. ან
იქნება ისევ ის წყეული გიყვარს?.. ჰმ, ნეტავ რა იყო ისეთი, რომ
ვეღარ ივიწყებ?!.

ნ ი კ ა ლ ა. შენი ჭირიმე... იმას ნუღარ მიხსენებ...

ვ ა რ ი ნ კ ა. თუმცა, აი მეც ხომ ვერ გივიწყებ... (უცებ მიმოი-
ხედავს და უფრო დახშული ხმით.) ნიკალა! იცი, მე ბევრი ფული
მაქვს... ჰოდა, წამო, გავიქცეთ... სადმე სხვაგან გადავიხვეწოთ...
დავივიწყოთ ჩვენი წარსული და... მე შენ ისე მოგივლი... ისე გა-
ცხოვრებ...

ნ ი კ ა ლ ა (გულაჩუყებული). ქალო, რა გინდა, რას შემომიჩნდ-

ვ ა რ ი ნ კ ა (სახეზე ხელს მოუცაცუნებს). ჩემო ნიკალა... შენი
ჭირიმე... ნება მომეცი, ერთხელ გაკოცო...

ნ ი კ ა ლ ა (შეკრთება, ფეხზე წამოიჭრება).

ვ ა რ ი ნ კ ა. შენ გენაცვალოს შენი ვარინკა! სიზმრად თუ ცხადლივ შენ მელანდები... (კვლავ მისკენ მიიწევს, მაგრამ ნიკალა ხელით შეაჩერებს.)

ნ ი კ ა ლ ა. შენი ჭირიმე, ნუ მაცდუნებ...

ვ ა რ ი ნ კ ა. ნიკალა, შემიბრალე... ძლივს გიპოვე და... ნუ დამტოვებ, შენი ჭირიმე...

ნ ი კ ა ლ ა. ო, არა, არა... გაჩუმდი-მეთქი... სული ნუ ამიფორიაქე... კაცი ჯვარზე ნუ გამაკარი... (სამიკიტნოდან გავარდება, ვარინკა იქვე მაგიდაზე დაემხობა და მწარედ ქვითინებს.)

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ე

იგივე სამიკიტნო. სამიკიტნოში არავინაა. მხოლოდ ბნელ კუთხეში მოჩანს მაგიდაზე თავდახრილი უცნობი, რომელიც დრო და დრო ხვრინავს. ალექსი დახლში ზის და გაზეთს კითხულობს, ნიკალა კი ბოლთას სცემს და, ეტყობა, რომ ვიღაცას ელის. გარედან მოისმის ყრუ ჟრიამული და რევოლუციური სიმღერები. დროდადრო კანტიკუნტი სროლა. კიბეზე ჩამორბის ბეგო.

ბ ე გ ო. გამარჯობა, ნიკალა!

ნ ი კ ა ლ ა (შეუბღვერს). შე ყურუმსაღო, სადა ხარ აქამდის? ეხლა ველარც დაგხატავ.

ბ ე გ ო. რატომ?

ნ ი კ ა ლ ა. იმიტომ, რომ... ნიჭი დამეღალა შენს მოლოდინში...

ბ ე გ ო. რა ვქნა, ძმაო... ძლივს მოვაღწიე... აგერ, ქუჩებში რა ამბავია...

ნ ი კ ა ლ ა. მაშინ სულაც ნუ მოხვიდოდი...

ბ ე გ ო. ვაჰ, როგორ არ მოვსულიყავ, როცა, ჯერ ერთი, აი ეს ფული უნდა მომეცა. (ჯიბეში ფულს ჩაუდებს.)

ნ ი კ ა ლ ა. ეს რა ფულია?

ბ ე გ ო (ეშმაკური ღიმილით). იმ შენმა ნაცნობმა მანდილოსანმა გამოგიგზავნა...

ნ ი კ ა ლ ა (მოიღუშება). წაუღე უკან! მე აქ გლახა კი არა ვარ!..

ბ ე გ ო (ფულს ისევ ჯიბეში ჩაუდებს). ვაჰ, შე დალოცვილო ხუმრობა ველარ გაგიგია? ჰამქრის დროშა რომ მოგვიხატე, ეს იმის გასამრჯელოა.

ნ ი კ ა ლ ა. ჰმ... ეგ სხვა არის...

ბ ე გ ო. მეორეც, იმ ბიჭმა არსენა ჯორჯიაშვილმა შემოგითვალა, მალე მოვალ და ძია ნიკალა იქ დამხვდესო.

ნ ი კ ა ლ ა. მობრძანდეს.

ბ ე გ ო. მესამეც, ჩვენმა ჰამქარმა გადაწყვიტა შენთვის ახალი

ჩოხა-ახალუხი გვეყიდნა, მაგრამ მოგვაგონდა, რომ „გრაფი“ ბრძანდები, და აი ეს მოგართვით... (ახალ პიჯაკს წამოასხამს მხრებზე).

ნ ი კ ა ლ ა (ნასიამოვნები ჩაიღიმებს). ჰმ... რა ხალხი ხართ! დიდი მადლობა... (უცებ ისევ აიმრიზება.) მაგრამ დახატვით მაინც ვერ დაგხატავ...

ბ ე გ ო. ნიკალაჯან! შენ კარგად იყავ და — მე ისედაც დახატული ვარ! (სამიკიტნოში ჩამოდის არსენა ჯორჯიაშვილი კალათით ხელში.) აგერ, ის ბიჭი არსენაც მოვიდა... აბა, ნახვამდის... (გადის.)

ა რ ს ე ნ ა (ჩურჩულით). გამარჯობა, ძია ნიკალა...

ნ ი კ ა ლ ა. გაგიმარჯოს!

ა რ ს ე ნ ა. ის ჩვენი საქმე როგორ არის, ჰა?

ნ ი კ ა ლ ა. ძალიან კარგად... უკვე მოვხატე... (სამზარეულოში შედის და შეხვეულს გამოიტანს. ამ დროს სამიკიტნოში შემოდის პროხორი; ალექსი მას მიეგებება, არაყს დაუსხამს. პროხორი ეჭვის თვალით გამოსცქერის ნიკალასა და არსენას, მაგრამ ალექსი გაზეთში რაღაცას უჩვენებს და ყველანაირად ცდილობს მისი ყურადღება ნიკალასა და არსენას მოაშოროს.)

ა რ ს ე ნ ა (საიდუმლოდ). არა, ძია ნიკალა... ეგ დროშა შენ უნდა ეხლავ სხვა კაცს გადასცე...

ნ ი კ ა ლ ა. ვინ კაცს?

ა რ ს ე ნ ა. აი ასე იღლიაში ამოიდე და აქვე, ხაზინასთან, ბაღის კუთხეში დადექ...

ნ ი კ ა ლ ა. მერე?

ა რ ს ე ნ ა. მერედა, შენთან კაცი მოვა და გკითხავს, ღვინო გირჩევნია თუ არაყიო...

ნ ი კ ა ლ ა ბიჭოს!

ა რ ს ე ნ ა. ჰო, ძია ნიკალა! ეს პაროლია! შენ ეტყვი, ლუდი მირჩევნია-თქო, და ის კაცი მაგ დროშას გამოგართმევს...

ნ ი კ ა ლ ა. შენა?

ა რ ს ე ნ ა (მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმებს). მე... სხვა დავალება მაქვს... ეხლავე უნდა გავეშურო...

ნ ი კ ა ლ ა. რა დავალება?

ა რ ს ე ნ ა. არის ერთი რამ...

ნ ი კ ა ლ ა. ჰა, შენ რაღაც სხვანაირად ლაპარაკობ! ტყუილუბრალოდ თავი არ დაიღუპო...

ა რ ს ე ნ ა. არა, ძია ნიკალა! რევოლუციონერები არ იღუპებიან! ისინი თავსა სწირავენ რევოლუციის გამარჯვებას და მერე ხალხი მათზე სიმღერებს მღერის...

ნ ი კ ა ლ ა. ბიჭო, რას ამბობ?.. რა თავგანწირვაზე ლაპარაკობ?

ა რ ს ე ნ ა. ჰო, ჰო, ძია ნიკალა! აი, რევოლუცია რომ გაიმარჯვებს, იცი, შენთვისაც რა ძალიან კარგი იქნება!.. შენისთანა ღარიბ-ღატაკი მუშა მხატვარიც იმწამსვე წელში გასწორდება... მილიონერები რომ დიდ ბინებში გაბრტყელებულან — სწორედ იქ შეგასახლებენ ნათელ დარბაზში და საუკეთესო საღებავებს, ყველა მასალას მუქთად მოგცემენ... აი მაშინ ხატე და ხატე ხალხისათვის, რამდენიც გნებავს...

ნ ი კ ა ლ ა. შვილო, ღმერთმა გისმინოს, მაგრამ...

ა რ ს ე ნ ა. მაგრამ რა?

ნ ი კ ა ლ ა. ეს ჩვენი საწყალი ერი? ისევ ასე ყმად უნდა დავრჩეთ?..

ა რ ს ე ნ ა (გადიხარხარებს). რას ბრძანებ, ძია ნიკალა! აბა მაშ რიღასთვის ვიბრძვით, თუკი ისევ მონად დავრჩებით...

ნ ი კ ა ლ ა. შვილო, მე მაინც შენი ბოღმა მაწუხებს... სად მიდიხარ? რაზედ მიდიხარ?

ა რ ს ე ნ ა. არა, ძია ნიკალა! მაგას ვერ გეტყვი...

ნ ი კ ა ლ ა. ბიჭო, იქნებ მეც დაგეხმარო?!

ა რ ს ე ნ ა. არა, არა! სუყველაფერს მალე გაიგებ... ისე კი, ძალიანა გთხოვ... ამ საღამოსვე დედაჩემი ინახულე და... ასე უთხარი... (მორცხვად ჩაიღიმებს, გარინდდება.)

ნ ი კ ა ლ ა. რა ვუთხრა, ბიჭო?

ა რ ს ე ნ ა. თუმცა, რას ეტყვი... მხოლოდ, ეს კი უთხარი, შენმა არსენამ ქვეყანას ჭირი მოაშორა და... ნუ, ნუ ინაღვლებ, ჩემო ტკბილო დედი-თქო.

ნ ი კ ა ლ ა. შვილო... ბიჭო... ეს რა განგიზრახავს?!.

ა რ ს ე ნ ა (გამოერკვევა, საათს დახედავს). უჰ, უკვე დროა.. აბა, მშვიდობით, ჩემო საყვარელო ძია ნიკალა! (სასწრაფოდ გადაეხვევა და გადაკოცნის.) ჩემი თხოვნა არ დაგავიწყდეს!.. (გარბის.)

ნ ი კ ა ლ ა (თვალცრემლიანი გასცქერის). ბიჭო არსენ... შვილო, სად მიხვალ... (უცებ გამოერკვევა, შეხვეულ დროშას იღლიაში ამოიდებს და საჩქაროდ გადის სამიკიტნოდან. უცნობი, რომელიც კუთხეში თავს იმძინარებდა, სასწრაფოდ წამოხტება და პროხორთან მიიჭრება.)

უ ც ნ ო ბ ი. ბატონო პროხორ! ეხლავე სასწრაფო ზომები უნდა მივიღოთ...

პ რ ო ხ ო რ ი. რის თაობაზე?

უ ც ნ ო ბ ი. ის ახალგაზრდა აშკარად ტერორისტია. აი ეხლაც სადღაც გაიქცა.

პ რ ო ხ ო რ ი. მართლა? კი, მაგრამ რა საქმეზე?

უ ც ნ ო ბ ი. რა მოგახსენოთ!.. საჩქაროდ უნდა ავედევნოთ...

პ რ ო ხ ო რ ი. მაშ ჰარიქა, სწრაფად! (პროხორი და უცნობი გავარდებიან სამიკიტნოდან. შეშფოთებული ალექსი დახლიდან გამოდის, კარებისაკენ მიდის და სწორედ ამ დროს გარედან მოისმინ ყუმბარის აფეთქების საშინელი გრიალი, ხალხის წივილ-კივილი, პოლიციელთა საგანგაშო სტვენა და ცხენების თქარათქური. სამიკიტნოში ჩამორბის თავზარდაცემული ივანიკა.)

ი ვ ა ნ ი კ ა (გულშემოყრილი). ვაიმე... ეს რა ვნახე!

ა ლ ე ქ ს ი. რა მოხდა, ბიჭო?

ი ვ ა ნ ი კ ა. ბატონო, ყუმბარა ესროლეს...

ა ლ ე ქ ს ი. ვის ესროლეს, ბიჭო?

ი ვ ა ნ ი კ ა (გაოგნებული). მოკლეს, ბატონო!

ა ლ ე ქ ს ი. ხეირიანად გამაგებინე, ვის ესროლეს, ვინ მოკლეს, მეთქი?

ი ვ ა ნ ი კ ა. გენერალი ააფეთქეს...

ა ლ ე ქ ს ი. ვინ გენერალი?

ი ვ ა ნ ი კ ა. გენერალი გრიაზნოვი... აი ასე ვუყურებდი.. სახლიდან რომ გამობრძანდა და ეტლში ჩაჯდა, უცებ არსენა გამოვარდ საიდანღაც...

ა ლ ე ქ ს ი. ვინ არსენა?

ი ვ ა ნ ი კ ა. აი ის, ძია ნიკალასთან რომ მოდის ხოლმე... ჰოდ ეტლქვეშ იმ გენერალს ბომბი დაურტყა... იფეთქა, მაგრამ რა იფეთ ქა!.. ეტლი, ცხენები, გენერალი სულ ჰაერში ავარდა... სულ ნაწ ლეთებად იქცა... (სახეზე ხელებს მიიფარებს.) ვაი, ეს რა ვნახე.. ეს რა ვნახე, ბატონო...

ა ლ ე ქ ს ი. თვითონ არსენა?

ი ვ ა ნ ი კ ა. ალექსანდრეს ბაღში გადახტა... ჯარისკაცები გამო უდგნენ... მე კი აქეთ გამოვიქეცი...

(სამიკიტნოში ჩამორბის ძალზე შეშფოთებული ნიკალა, რომელსაც კვალდაკვ ჩამოსდევენ ბოქაული, პროხორი და უცნობი.)

უ ც ნ ო ბ ი (ნიკალაზე უჩვენებს). აი ეს გახლდათ, ბატონო ბ ქაულო! სულ ამას ეჩურჩულებოდა... ესეც აშკარად მისი თანამონ წიელია. ის დროშები კი აი ამ სამზარეულოდან გამოაქვს ხოლმე.

ნ ი კ ა ლ ა. ბატონო, მე მხატვარი ვარ.

ბ ო ქ ა უ ლ ი (გაცოფებული), უუ, შე ყაჩაღო! მშვენივრად გი ნობ, რა მხატვარიც ხარ, შე არამზადავ! ეხლა კი გიჩვენებ სეირ შე ავაზაკო! (პროხორს.) სასწრაფოდ ჟანდარმერიაში! (უცნობს შენ კი მთელი ეს დუქანი გაჩხრიკე ეხლავ!

(პროხორს ნიკალა გაჰყავს.)

მოქმედება მეოთხე

სურათი მეცხრე

იგივე სამიკიტნო, რომლის კედლებზეც მოჩანს ფიროსმანის კიდევ ახალი სურათები. ზაფხულის სიცხიანი დღეა და გაღებულ კარში მოჩანს გამვლელთა ფეხები. დახლის წინ მაგიდას უსხედან ნიკალა და ალექსი — ორივენი უკვე კარგად შებერებულნი. დავაჟკაცებული ივანიკა კი უკვე დახლიდრობს და შემოსულ მუშტრებს უძღვება. ნიკალა უარესადაა გამხდარი და გალახული. იგი არაყს ეძალება და მწარე ფიქრებშია ჩაძირული.

ალექსი (როლშია შესული). „ვეფხისტყაოსანი“ — აი შენ რაზე უნდა იმუშაო ეხლა! დავით ყაზაროვს ხომ დაუსურათე „ყარამანიანი“... ეხლა ეს იქნება შენთვის ყველაზე დიდი და სასახელო... ჰა, შენ რას იტყვი?

ნიკალა. (გარინდებული). „ბრძნად მეტყველება ვერცხლია წმინდა, ხოლო დუმილი — ოქრო რჩეული“...

ალექსი. კაცო, ძმაო... მე რაზედ გელაპარაკები და შენ რა პასუხს მაძლევ... ეგ რა შუაშია?!

ნიკალა (ყურადღებას ძაბავს, ცდილობს თავი დააღწიოს გარინდებას). ჰო, ჰო, შენ მართალს ამბობ... (კვლავ გარინდებაში იძირება.) ყველა ადამიანის უბედურების დასაბამი მისსავ გულშია. .

ალექსი. დიდება შენ-და! ძმაო, რაებს ამბობ! (მხარზე ხელს დაადებს, შეაჯანჯღარებს.) დედამიწაზე ჩამოდი, ნიკალ!

ნიკალა (გონს მოდის). ჰო, ჰო, შენ რაღაცას მეუბნებოდი...

ალექსი. რა ვქნა, ძმაო, გეუბნებოდი, მაგრამ რომ არ მისმენ...

ნიკალა. იმიტომ, რომ... ლამის გულის ძაფი გამიწყდეს... ლამის დავეცე... (თავი მაგიდაზე დაუვარდება.)

ალექსი. ბიჭო ივანიკა... არიქა, წყალი! ბოღმისაგან ისევ გულზე შემოეყარა.

ნიკალა (თავს წამოსწევს, გასწორდება). არა, არა, წყალი არ

მინდა! სულ ამ ოხერი არყის ბრალია. ისე ვარ, როგორც მოწამ-
ლული.

ა ლ ე ქ ს ი. ჰოდა, შენც ნუ სვამ... რამდენჯერ გითხარ... აი, ხომ
ხედავ, გულყრაც დაგეწყო...

ნ ი კ ა ლ ა. რა ვქნა... ვერა ვძლებ... რომ არ დავლიო, უარესი
დამემართება.

ა ლ ე ქ ს ი. შე კაი კაცო... იქნებ გგონია, რომ დარდს გაგიქარ-
ვებს, ანდა გულს ბოღმა მოგეშვება...

ნ ი კ ა ლ ა (ნაღვლიანად). ძმაო ალექსი... განა მიტომ ვსვამ,
რომ ვიგემო სიტკბო და შვება, ან დავივიწყო ჩემი ბოღმა, დარდი
და ვნება... არა, მე მინდა წუთით მაინც ჩემს თავს მოვშორდე,
თავდავიწყება მენატრება, თავდავიწყება... (მაგიდაზე დაემხობა.)

ა ლ ე ქ ს ი. ჰოდა, მეც სწორედ მაგას გეუბნებოდი, რომ ეგ თავ-
დავიწყება ისევ შენს საყვარელ ხატვაში უნდა ეძებო... სხვა გზა არ
გაქვს...

ნ ი კ ა ლ ა. რაში?.. ხატვაში? ჰმ... რისთვის? რიღასთვის? ამდე-
ნი სიდუხჭირე, დაცინვა და დამცირება გამოვიარე... რაც მე იმ
წყეულ ჟანდარმებმა მცემეს და მტყიპეს... და აი ვფიქრობ, განა
ღირდა ამ ზღვა წამებად აი ეს ჩემი ნაბლაჯნები, რასაც მე მთელი
სიცოცხლე შევალიე. (წამოდგება და თავის სურათებს ჩამოუვლის,
აშტერდება.)

ა ლ ე ქ ს ი. შე კაი კაცო! რატომ არ ღირდა... მთელი თბილისის
სამიკიტნოები შენი სურათებითაა გამოჭედილი...

ნ ი კ ა ლ ა (ხელს ჩაიქნევს). ეეჰ.. მაგას რა აზრი აქვს... ბევრია,
მაგრამ ვარგა?.. აი, გულს რა მიღრღნის... იქნება მართლაც ყვე-
ლაფერი ეს სისულელეა და სანაგვეზე გადასაყრელი... იქნებ
მკვდარს უფრო მწარედ დამცინონ...

ა ლ ე ქ ს ი. მოიცა ერთი!.. მიაფურთხე მაგ მავნე ფიქრებს... გე-
უბნები „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას შეუდექ-მეთქი... რამდე-
ნი ხანია ამასა ნატრობ...

ნ ი კ ა ლ ა. არა, არა, მაგაზედ ფიქრიც კი მეზარება... ნეტავ ესე-
ნიც არ დამეხატნა... აი ამ აბრასაც დაგიმთავრებ და მერე კი...
(არაყს გადაკრავს, აკანკალებული ხელით პაპიროსს მოუკიდებს და
გადის. კიბეზე შეეჩეხება კარგად ჩაცმულ ორ ახალგაზრდას —
კირილს და მიშელს, რომლებიც სამიკიტნოში ჩამოდიან და ფიროს-
მანის სურათებს სინჯავენ ხარბად.)

კ ი რ ი ლ ი. ის არის, ისა!.. მის ხელს უკვე ვცნობ...

მ ი შ ე ლ ი. ოჰო, აქ ყველაზე მეტი ყოფილა... პირდაპირ მადანს
მივაგენით... შეხედე, კირილ, აი ეს „ორთაჭალის ტურფა“ გოიას

„მახას“ არ მოგაგონებს?.. (უცებ აღტაცებული.) კირილ! შეხედე ამ შავ ლომს!.. რა დიდებულია!.. არა, ძმაო, ამის დამხატავი ასურული გარელიეფების მემკვიდრეა...

კ ი რ ი ლ ი. მოკლედ, ეს ვიღაც ფიროსმანი ფერწერის დიდი პოეტია...

მ ი შ ე ლ ი. ჰოდა, შევუდგეთ... (მაგიდას მიუსხდებიან, ალექსი მიუახლოვდება).

ა ლ ე ქ ს ი. რა მოგართვათ?

კ ი რ ი ლ ი. ცივ-ცივი ღვინო და ორი მწვადი...

ა ლ ე ქ ს ი. ეხლავე, ყმაწვილებო... (წასვლას აპირებს.)

მ ი შ ე ლ ი. მოითმინეთ! ცოტა ხანს აქ დაბრძანდით. (ალექსი ჩამოჯდება.) ბატონო, ამ სამი დღის წინ ჩვენ ერთ სამიკიტნოში შევედით და იქ ისეთი შესანიშნავი სურათები ვნახეთ, რომ უაღრესად დავინტერესდით...

კ ი რ ი ლ ი. ჩვენ გვითხრეს, რომ სხვა სამიკიტნოებშიც ამ მხატვრის ბევრი სურათებიაო...

ა ლ ე ქ ს ი. მართალი უთქვამთ...

მ ი შ ე ლ ი. ჰოდა, ამ სამ დღეს ჩვენ ბევრი სამიკიტნო შემოვიარეთ და იმ მხატვარს კი ვერსად ვერ შევხვდით.

კ ი რ ი ლ ი. არავინ იცის, სადა ცხოვრობს...

მ ი შ ე ლ ი. თქვენთან მოგვასწავლეს, ის თუ მიგაგნებინებთ, რადგან იმასთან ბინადრობსო...

ა ლ ე ქ ს ი. ეხლა უკვე აღარ ბინადრობს...

კ ი რ ი ლ ი. რატომ?

ა ლ ე ქ ს ი. იმიტომ, რომ როცა ციხიდან გამოუშვეს...

მ ი შ ე ლ ი. ციხეში იჯდა? რისთვის?

ა ლ ე ქ ს ი. ამ ექვსი-შვიდი წლის წინათ რევოლუციონერებს ეხმარებოდა... დროშებს უხატავდა... ამიტომ ჩასვეს... სხვა ვერაფერი დაუმტკიცეს, თორემ კატორღა არ ასცდებოდა...

კ ი რ ი ლ ი. აა!..

ა ლ ე ქ ს ი. ჰოდა, მას შემდეგ ჩემთან ყოფნა აღარ ისურვა... კიდევ შარში არ გაგხვიოო...

მ ი შ ე ლ ი. ეხლა სად ცხოვრობს?

ა ლ ე ქ ს ი. რა მოგახსენოთ... ამბობს, სადღაც სადგურის ახლოს ბნელი სარდაფი ვიქირავეო...

კ ი რ ი ლ ი. ვერ მიგვასწავლით?

მ ი შ ე ლ ი. ძალიან გვინდა მისი ნახვა...

ა ლ ე ქ ს ი. ეგ ადვილია... მით უფრო, რომ თქვენ უკვე ნახეთ...

კ ი რ ი ლ ი. როდის? სად?

ა ლ ე ქ ს ი (ღიმილით). აი ამ კიბეზე რომ ჩამოდიოდით...

მ ი შ ე ლ ი. ის ჩამოგლეჯილი, გაუპარსავი მოხუცი კაცი?

ა ლ ე ქ ს ი. დიახ!... აგერ, აბრას მიხატავს... (ფანჯარაში გაიხედებს.)

მ ი შ ე ლ ი. ძალიანა გთხოვთ, აქ მოიყვანეთ...

ა ლ ე ქ ს ი (კარებში გასძახებს). ნიკალა, ბიჭო!.. ჩამოდი აქა... შენ გკითხულობენ... ვინ არიან და — ვიღაც კარგი ახალგაზრდები... შენი ნახვა სურთ... (სამიკიტნოში ჩამოდის ნიკალა დაღვრემილი სახით. კირილი და მიშელი ფეხზე წამოდგებიან, განცვიფრებით შეჰყურებენ მას.)

კ ი რ ი ლ ი. მობრძანდით, ბატონო ნიკო!.. (მოწიწებით ხელს ართმევს.)

მ ი შ ე ლ ი (სკამს მიუდგამს). აი აქ დაბრძანდით, ბატონო ნიკო... (ნიკალა სკამზე ჩამოჯდება.)

კ ი რ ი ლ ი. ჯერ ნება მიბოძეთ ჩვენი თავი წარმოგიდგინოთ... ჩვენ გახლავართ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მესამე კურსის სტუდენტები...

მ ი შ ე ლ ი. ეს თბილისელი რუსი გახლავთ... სახელად კირილ!.. ძალიან უყვარს საქართველო...

კ ი რ ი ლ ი. ეს კი ჩემი მეგობარია... ფრანგი გახლავთ... არდადეგებზე სტუმრად ჩამოვიყვანე...

ნ ი კ ა ლ ა. ძალიან სასიამოვნოა...

მ ი შ ე ლ ი. ბატონო ნიკო!.. ჩვენ თქვენი ნიჭის დიდი თაყვანისმცემლები ვართ...

კ ი რ ი ლ ი. ეს სამი დღეა სულ სამიკიტნოებში დავდივართ და თქვენს სურათებს ვეძებთ... ზოგი მათგანი უკვე ვიყიდეთ კიდეც...

მ ი შ ე ლ ი. ბატონო ნიკო, თქვენი სურათები ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებია... თქვენ არც კი იცით, რა დიდი ოსტატი ბრძანდებით ფერწერისა...

ნ ი კ ა ლ ა (უფრო მოიღუშება). ყმაწვილო, რათა გგონია, რომ მე ეგ არ ვიცი?! (ალექსის.) ჰმ, ხედავ, ალექსი, ეს ღლაპები რა ეშმაკურად დამცინიან!.. (ახალგაზრდებს.) რა გინდათ, შვილო... მე ხომ ძალად არას გაწონებთ... ერთი უსწავლელი კაცი ვარ და რაც შევიძელ, ის გავაკეთე... ძალიანა გთხოვთ, დასაცინს და შეურაცხმყოფელს ნუღარას მეტყვით, თორემ ეს ჩემი გული ვეღარ აიტანს... (წამოსადგომად წამოიწევს, ყმაწვილები მისცვივდებიან.)

კ ი რ ი ლ ი. ბატონო ნიკო! დაცინვას როგორ გაგიბედავთ! ბატონიქით!.. ჩვენ მით უფრო ვართ აღტაცებული, რომ თქვენ, უსწავლელმა, რალაც არაჩვეულებრივი ინტუიციით ეპოქის ახალ სტილი მიაგენით.

მ ი შ ე ლ ი. დიახ, დიახ, ჩვენ ის გვაკვირვებს, რომ თქვენ, ვისაც არც მხატვრული ტექნიკა გისწავლიათ და არც მუშაობის პირობები გაქვთ, თქვენ მიერ სახელდახელოდ შეთხზულ საღებავებით, უბრალო მუშამბაზე და თუნუქის ჟანგიან ფურცლებზე ასეთი შესანიშნავი სურათები დახატეთ...

კ ი რ ი ლ ი. ბატონო ნიკო!.. ამ სამ დღეში ჩვენ უამრავი თქვენი სურათი ვნახეთ და ჩვენ წინაშე გადაიშალა მზიანი, ბარაქიანი საქართველო... მისი წარსული... მისი აწმყო... მისი მომხიბვლელი პეიზაჟები... თქვენ ნამდვილი ეროვნული მხატვარი ბრძანდებით.

მ ი შ ე ლ ი. მე უკვე სტატიას ვამზადებ თქვენზე ჩვენი პარიზის გაზეთისათვის. მე იქ ვწერ, რომ თქვენ ჩვენს სახელგანთქმულ პრიმიტივისტებს არ ჩამოუვარდებით...

კ ი რ ი ლ ი. სცდები, მიშელ! მეც ვწერ სტატიას ჩვენი პეტერბურგის გაზეთისათვის და იქ ვამტკიცებ, რომ ბატონი ნიკო გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ის თქვენი პრიმიტივისტები...

მ ი შ ე ლ ი (სურათებს აკვირდება). ჰმ... შესაძლოა... კირილ, მგონი შენ მართალი ხარ!

კ ი რ ი ლ ი. მგონი კი არა, ნამდვილად, ჩემო მეგობარო!.. იმათ სურათებს ხელოვნურობის აშკარა ბეჭედი აზის... აქ კი ბუნებრივი, ჭეშმარიტი ხელოვნებაა...

ა ლ ე ქ ს ი. (გახარებული, ნიკალას მოეხვევა). ყოჩაღ, ნიკალა! გესმის, ბიჭო, შენს თავს რა ამბავია... მომილოცნია, ძმაო... (ჰკოცნის.)

ნ ი კ ა ლ ა (ნასიამოვნები ჩაიღიმებს). მე კი მგონია, რომ აჭარბებთ, ყმაწვილებო...

მ ი შ ე ლ ი. ბატონო ნიკო! თუ ჩვენი გულწრფელობისა არა გჯერათ, მაშინ აი რას შემოგთავაზებთ: პარიზში წამობრძანდით! მე გეპატიჟებით! ყველა ხარჯებს მე ვკისრულობ... იქ ერთ წელიწადს იმუშავეთ, აი ასევე აგვისახეთ ჩვენი პარიზი და სრულ გარანტიას გაძლევთ, რომ ერთი წლის შემდეგ უკვე საქვეყნოდ ცნობილი მხატვარი გახდებით და ბანკშიც ერთ მილიონამდე ფრანკი გექნებათ! ჰა, თანახმა ხართ?

ნ ი კ ა ლ ა. არა...

მ ი შ ე ლ ი. რატომ? მე ვიცი, რომ თქვენ აქ არც ცოლ-შვილი გყავთ... არც სამუშაო პირობები გაქვთ... ეს თქვენი ხალხიც არ გაფასებთ, როგორც გეკუთვნით... ჰოდა, ვერ გამიგია, რა არ გეთმობათ?

ნ ი კ ა ლ ა. ჩემი ქვეყანა... ჩემი თბილისი... იგივე ჩემი ტანჯული ხალხი, რომელსაც ჯერ ჩემთვის არა სცალიან...

მ ი შ ე ლ ი. კი, მაგრამ ხომ დაბრუნდებით! წასვლით რას კარ-
გავთ?

ნ ი კ ა ლ ა. არა, ყმაწვილო! ოცი წლის წინ რომ მოსულიყავით,
მაშინ კიდევ ჰო! ეხლა კი... უკვე მშობელი მიწა მეძახის...

კ ი რ ი ლ ი. ბატონო ნიკო, რა გული გაგტეხიათ!

ნ ი კ ა ლ ა. გული კი არა, შვილო, უკვე სიცოცხლე გატყდა...
რა ვქნა, ყმაწვილო... ქართველი კაცის ადათ-რჯული ასეთი არის...
როცა მოკვდება, ძალიან უყვარს თბილისის მიწის საბნად წახურვა...
პარიზის მიწა მე ვერ გამათბობს... (მორცხვად ჩაიღიმებს, მალუ-
ლად ცრემლს მოიწმენდს.)

მ ი შ ე ლ ი. რა გაეწყობა! რაკი ეგრეა, მაშინ ეს თქვენი სურათე-
ბი მაინც უნდა მოგვყიდოთ.

ნ ი კ ა ლ ა. ეგ სურათები ჩემი არ არის.

კ ი რ ი ლ ი. როგორ? განა ესენი სხვამ დახატა?

ნ ი კ ა ლ ა. არა! ჩემი დახატულია, მაგრამ... მე არ მეკუთვნის...

ა ლ ე ქ ს ი. ვაჰ, რას მიჰქარავ! მაშ ვის ეკუთვნის?

ნ ი კ ა ლ ა. შენ! ეს სურათები, ჩემო ალექსი, იმ დიდი სიკეთის
საზღაურია, რაც შენგან მახსოვს...

ა ლ ე ქ ს ი. ეე, რაებს ამბობ! შენია და შენვე გაყიდე... მხოლოდ
იცოდე, აი ამ „სააღდგომო კრავს“ მე არავის არ დავანებებ...

მ ი შ ე ლ ი. თქვენ რისთვის გინდათ!

ა ლ ე ქ ს ი. ვაჰ, როგორ თუ რისთვის... რაც უნდა გაცეცხლე-
ბული ვიყო, ამ სათნო თვალებს რომ შევხედავ, იმწამსვე გულ
დაცხრება ხოლმე.

ნ ი კ ა ლ ა (ყმაწვილებს). მოკლედ, ამას ევაჭრეთ... ეს სურათებ
მაგისია. მე კი ფასად და ჯილდოდ ისიც მეყოფა, რაც თქვენ მითხა-
რით... ასეთი რამ ჯერ ჩემთვის არავის უთქვამს... ძალიან დიდი მად-
ლობელი ვარ...

კ ი რ ი ლ ი. ბატონო ნიკო...

ნ ი კ ა ლ ა. დიახ, დიახ! რა ვიცი, იქნებ მატყუებთ კიდეც, გულ
მიკეთებთ მოხუცებულ კაცს, მაგრამ მე მაინც დიდი მადლობელ
ვარ. ასეთი დიდი სიხარული ჩემს სიცოცხლეში არა მქონია. (გულ
აჩუყებული წამოსადგომად წამოიწევს, მაგრამ წატორტმანდება დ
გონწასული ჩაიკეცება. ყველანი მისცვივდებიან.)

ა ლ ე ქ ს ი. ბიჭო ივანიკა! ჰარიქა, წყალი! ისევ გულზე შემოუ
ყარა... ეხლა კი უკვე სიხარულისგან!

სურათი მეათე

ფარდის ახდისას სცენაზე სრული სიბნელეა. ამ სიბნელიდან მოისმის ნიკალას ხველება და მის მიერ ლოცვასავით სასოებით წარმოთქმული სიტყვები.

ნ ი კ ა ლ ა.

ამ წყეულ დრომ
დამწვა ველურ აკლებით...
ჭაღარითაც რა ადრე შევიველრცხლე!
რით ვიყავი სხვა ბიჭებზე ნაკლები,
რომ წყეულ დრომ
დამწვა ველურ აკლებით!..
რა უდროოდ და უმსგავსოდ დავბერდი...
ხელში შემრჩა
დამსხვრეული სიცოცხლე,
გული სავსე ბოღმითა და დარდებით...
რით ვიყავი სხვა ბიჭებზე ნაკლები,
რომ დავდივარ თბილისში გულჩამკვდარი
როგორც გობის უდაბნოში აქლემი... (შფოთავს, ახველებს.)
სად ვეძებო ჩემი კუბოს ფიცრები...
რომელ ტყეში ნეტავ რა ხე შრიალებს,
ფოთლები აქვს თუ ნემსივით წიწვები,
მოჭრილია თუ ისევ დგას შრიალით?
რა ჯურის და რა ჯიშის ხეხილია,
ან იქნება უკვე დახერხილია?..
იქნებ რიყის მორია ნუჟრიანი?..
რომ მაჩვენონ, თრთოლვით გამაჟრიალებს,
მდუღარებით გულშივე ჩავიწვები...
რომელ ტყეში ნეტავ რა ხე შრიალებს,
ფოთლები აქვს თუ ნემსივით წიწვები.
მზეში დგას თუ კენწერს წვიმა ეცრება.
სად ვეძებო ჩემი კუბოს ფიცრები.
(მოისმის კარზე კაკუნი.)

ნ ი კ ა ლ ა (შემკრთალი ხმით). ვინ არის?

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ. მე ვარ, ბატონო ნიკო... მხატვარი ლადო...

ნ ი კ ა ლ ა. შენ რა იცი, რომ აქ ნიკალა ფიროსმანია?

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ. ვიცი, ბატონო... მთელი კვირაა თქვენ დაგეძებთ... ძლივს მოგაგენით... თქვენთან საქმე მაქვს...

ნ ი კ ა ლ ა. მოიცა ცოტა... (ასანთს გაჰკრავს და ააბჟუტებს ნავთის პატარა ლამპას, რომლის მკრთალი შუქიც გაანათებს ნიკალას უბადრუკ სადგომს. შემდეგ წამოდგება იატაკიდან, რომელზედაც იგი იწვა, მივა კართან, რომ გააღოს, მაგრამ შედგება და შეეჭვებული დაეკითხება.) მართალი მითხარ, სამტროდ მოსულხარ თუ სასიკეთოდ?

ლ ა დ ო ს ხ მ ა. სასიკეთოდ, ბატონო ნიკო! აბა სამტრო რა უნდა მქონდეს...

ნ ი კ ა ლ ა ჰოო?.. თუ სასიკეთოდ — მაშინ მობრძანდი... (აკანკალებული ხელით კარს გააღებს. შემოდის ახალგაზრდა ქართველი მხატვარი ლადო, რომელსაც ნიკალა ჩაციებით აკვირდება.) ვინ, ვინ ბრძანდები?..

ლ ა დ ო. მხატვარი ლადო... გახსოვთ, შარშან ქართველ მხატვართა საზოგადოებაში რომ წაგიყვანეთ... ნუთუ არ გახსოვთ?..

ნ ი კ ა ლ ა (ვერ იგონებს, მაგრამ არ იმჩნევს). ჰმ, დიახ, დიახ... (აკანკალებული ხელებით თვალებს მოიფშვნეტს.) მობრძანდი, აი აქ დაბრძანდი... (ნახევრად დამტვრეულ ყუთზე მიუთითებს, დაგლეჯილ ჩულს მხრებზე წამოისხამს).

ლ ა დ ო (ფრთხილად ჩამოჯდება). ბატონო ნიკო... ნუთუ სამტროდაც მოდიან თქვენთან?

ნ ი კ ა ლ ა. ოო, როგორ არა!.. ძალიან ბევრნი... ბავშვები სულ ქვებს მესვრიან... ღამით კი... ვიღაც მავნე აიტუზება ხოლმე ამ ჩემს კართან და საზარლად შემომყმუის...

ლ ა დ ო. ბატონო, ალბათ გეჩვენებათ...

ნ ი კ ა ლ ა. არა, არა! ეს ნამდვილია... თუმცა... შენ ამით რად გაწუხებ... კაცი სტუმრად მოსულხარ... (დაფაცურდება, ბოთლებს სინჯავს ლამპის შუქზე.) რა ვქნა, არაყი სულ აღარა მაქვს... (ტოლჩით წყალს მიაწვდის.) ძალიანა გთხოვ, აი ეს წყალი მაინც მიირთვი... ჰო, შენ რა გქვიან?

ლ ა დ ო. ლადო!

ნ ი კ ა ლ ა. ჰო, ჰო, ლადო, ლადო! (კედელზე მიკიდულ პატარა კარადაში რაღაცას ეძებს.) აი აქ პურის ნატეხიც მქონდა. ჰო, აი სად ყოფილა... (პურის ხმელ ნატეხს მიაწვდის.) მიირთვი, ლადოჯან... პირი ჩაიგემრიელე...

ლ ა დ ო. არა, ბატონო ნიკო... მე არცა მშიან და არცა მწყურიან...

ნ ი კ ა ლ ა. თუ ძმა ხარ, პურ-მარილზე უარს ნუ მეტყვი... (ლადო წყალს მოსვამს.)

ლ ა დ ო. თქვენ ეს მითხარით, როგორ ბრძანდებით?

ნ ი კ ა ლ ა. კი არ „ვბრძანდები“, ძაღლივით ვგდივარ... აი, ხომ ხედავ... (თავის ძონძებზე მიუთითებს.) ამ მარტოობამ ხომ სული წაიღო... სულ გვერდით მიზის, როგორც ყრუ-მუნჯი დედაბერი... (ახველებს, ტანი უცახცახებს, ჩულში ეხვევა.)

ლ ა დ ო. ბატონო ნიკო! თქვენ ავადა ხართ... მე ეხლავე ექიმს მოგიყვანთ...

ნ ი კ ა ლ ა. არა. არა! საექიმო არაფერი მჭირს... ჩემს სიცოცხლეში ექიმებთან არა ვყოფილვარ... ეს კია, რომ სულ აი ასე ძნელად მახველებს და სულ თავბრუ მესხმის... (უცნაურად გადაიხარხარებს.)

ლ ა დ ო. ბატონო ნიკო, მე ისე გატყობთ, რომ დიდი სიცხე გაქვთ...

ნ ი კ ა ლ ა. ჰოო?.. ალბათ მექნება... ეს სამი დღეა თავი მტკივა და ტანში სულ მამტვრევს... მთელი ღამე სულ მაცივ-მაცხელებს, მაგრამ... არაფერია... ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება.

ლ ა დ ო. ბატონო ნიკო, თავს გაუფრთხილდით... ეგ სახუმარო საქმე არ არის... მე ეხლავ წავალ და ქართველ მხატვართა გამგეობას მოვახსენებ... ალბათ ხვალ უკვე მოგაკითხავთ... იქამდისინ კი აი ეს ოცი თუმანი გქონდეთ...

ნ ი კ ა ლ ა (ფულს გამოართმევს). ეს რა ფულია?

ლ ა დ ო. ქართველ მხატვართა მცირე დახმარება... სამწუხაროდ, ჩვენი უსახსრობით ამაზე მეტი ვერ მოგიხერხეთ...

ნ ი კ ა ლ ა (ნასიამოვნები და გულაჩუყებული). კი, მაგრამ... რა გამიკეთებია!.. რით დავიმსახურე...

ლ ა დ ო. რითა და, თქვენი უებრო ნიჭით... თქვენი დიდი შრომითა და თავდადებით... უნდა გახაროთ, რომ თქვენი თაყვანისმცემელთა წრე ძალიან სწრაფად ფართოვდება...

ნ ი კ ა ლ ა (სიამოვნებით უსმენს). ჰმ... მართლა? აღარც კი მჯერა...

ლ ა დ ო. ჩვენ უკვე თქვენი სურათების შეგროვებასაც შევუდექით...

ნ ი კ ა ლ ა. ღმერთმა აგაშენოთ!

ლ ა დ ო. ჰო, მართლა! აი გაზეთ „ცნობის ფურცლის“ დამატებაში თქვენზე წერილია მოთავსებული... (გაზეთს გადასცემს.) აი, თქვენი პორტრეტიც მოვათავსეთ...

ნ ი კ ა ლ ა (გაზეთს გამოართმევს, სურათს დასცქერის). ჰმ... უყურე შენა!

ლ ა დ ო. მხოლოდ მე ერთი რამ მინდა გკითხოთ, ბატონო ნიკო...

ნ ი კ ა ლ ა. რა, ჩემო ლადო! მკითხე, რაც გინდა...

ლ ა დ ო. რით აიხსნება, რომ თითქმის ყველა თქვენი სურათი სიუჟეტურად და ფერწერის მხრივაც კონტრასტებზეა აგებული?

ნ ი კ ა ლ ა (მძიმედ). როგორ, ყმაწვილო? ეგ უცხო სიტყვები კარგად ვერ მესმის...

ლ ა დ ო. აი, მაგალითად, თქვენს სურათებზე ასეა ხოლმე: უშვილო მილიონერი ხვდება მრავალშვილიან ღატაკ დედაკაცს. ძროხას

თეთრს ხატავთ — ბუღას კი შავად. ანდა, ორთაჭალის ტურფებს— თეთრ ტანსაცმელში, ხოლო ფონად კი შავ ფერებს აძლევთ...

ნ ი კ ა ლ ა. ჰოო... ეხლა კი მესმის... ყმაწვილო, ჩემის გაგებით, ცხოვრებას თან სდევს თეთრი და შავი... თან სიკეთე — თან ბოროტება... მდიდარნი მუდამ ბედნიერობენ, ღატაკები კი იტანჯებიან. ძროხა თეთრია, იმიტომ რომ კეთილია... იგი რძეს გვაძლევს... ბალღებს გვიკვებავს... ბუღას კი შავად ვხატავ, რადგან იგი ჩხუბის თავია... ღმუის, ტორებს სცემს!.. ეს კი ომია! ომი კი მუდამ საზარელია... საბრალო ტურფებს შავ ფონზე ვხატავ, რადგან მათი ცხოვრება სიდუხჭირეა... მაგრამ ისინიც ხომ ეტრფიან სიცოცხლეს და მის სიამეებს?! ჰოდა, ამიტომ მეც მათ ოცნების ყვავილები მივუხატე და სიხარულის თითო ჩიტი დავასვი მხარზედ. მე ისინი თეთრად დავხატე, რადგან ძალიან მებრალებიან...

ლ ა დ ო. დიდი მადლობა, ბატონო ნიკო! ეხლა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია...

ნ ი კ ა ლ ა. ეჰ, ჩემო ლადო... ხატვა და მხატვრის ხელოვანობა ძნელი საქმეა... ვისაც აი ასეთი „ფართუკი“ არ ჩაუცვამს, მხრიოლავი ლამპის მჭვარტლი არ მოუგროვებია, ცარცი და კირი არ დაუფხვნია საღებავების შესამზადებლად და აი ასეთი უხეში ფუნჯით არ უხატნია ასეთ ხაოიან მუშამბაზე ამ სიბნელეში, ის ვერასოდეს ვერ მიხვდება, თუ რა ძნელია შენი გრძნობებით, შენი ოცნებით და შენის ფიქრით აამღერო და აამეტყველო აი ეს უსულო საღებავები...

ლ ა დ ო. ბატონო ნიკო, ეგ რა კარგად თქვით!

ნ ი კ ა ლ ა. ჰოდა, ლადო-ჯან, ეს ყველაფერი უნდა ითქვას... ერთი დიდი ხის სახლი უნდა ავაშენოთ... შუაში დიდი სამოვარი დავდგათ... ხშირ-ხშირად შევიკრიბოთ და თან ჩაი ვსვათ, თანაც აი ასეთ რამეებზე ვილაპარაკოთ... მაშინ ბევრი რამ გაირკვევა და ყველა ჩვენგანიც უკეთ დახატავს.

ლ ა დ ო. მართალია, ბატონო ნიკო... თქვენ ეს მიბრძანეთ, ეხლა რაზედ მუშაობთ?

ნ ი კ ა ლ ა (დარცხვენილი, შეწუხებული). არაფერზედ... ისეთზე არაფერზედ... მინდოდა ამ სიბერის დროს ჩემი საყვარელი „ვეფხისტყაოსანი“ დამესურათებინა, მაგრამ...

ლ ა დ ო. მაგრამ რა გიშლით?

ნ ი კ ა ლ ა. რაღა დაგიმალო, ეს ოხერი მარჯვენა აღარ მემორჩილება... (ხელს ასწევს, რომელიც ძალზედ უკანკალებს.) წინათ მარცხენას ვაშველებდი და ისე ვხატავდი, მაგრამ ამ ბოლო ხანს ამ მარცხენაშაც მიღალატა... (უჩვენებს მარცხენასაც, რომელიც ასევე

უკანკალებს.) თანაც აქ, ეზოში, ყველა მასხარად მიგდებს... ფანჯრებში ქვებს მესვრიან... (ჩურჩულით.) გიჟს მეძახიან.

ლ ა დ ო. მაშ სულ ვეღარაფერს ვეღარ აკეთებთ?

ნ ი კ ა ლ ა. ეჰ, ვჩალიჩობ რაღა. ზოგჯერ მედუქნეებს აბრებს ვუხატავ. მაგრამ მჩაგრავენ. ერთ ჭიქა არაყს გადმომიდგამენ და... (უცებ ფულს დახედავს და ლადოს ეშმაკურად გაუღიმებს) ლადოჯან, იცი რა გითხრა? მოდი, შენი მოსვლის მაღარიჩი დავლიოთ ბარემ... აქვე დუქანია... ეხლავ მოვიტანი...

ლ ა დ ო. რას ბრძანებთ, ბატონო ნიკო... ასეთ სიცხიანს ასეთ ამინდში თქვენ კარში არ გაგესვლებათ... (წამოდგება.)

ნ ი კ ა ლ ა. მაშ მოდი ჩემს მეგობარს ქართველ ალექსას ჩავუქროლოთ, ჰა?.. ერთი ლაზათიანად ვიქეიფოთ! არღნით, დუდუკით... მინდა ჩემი ჯეელობა მოვიგონო... შენი ჭირიმე, უარს ნუ მეტყვი... აი, მე გპატიჟებ... (ფულს უჩვენებს.)

ლ ა დ ო. არა, ბატონო ნიკო, მე ღვინოს არ ვსვამ.

ნ ი კ ა ლ ა. არც მე! ღვინო რად გვინდა... სულ არაყი ვსვათ!

ლ ა დ ო. არა, არა, ბატონო ნიკო, მე უკვე წასასვლელი ვარ და ძალიანა გთხოვთ, ამ ფულს სამიკიტნოში ნუ წაიღებთ... დილამდე როგორმე მოითმინეთ და ხვალ კი ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ ორმოდან ამოგიყვანოთ.

ნ ი კ ა ლ ა. დიდი მადლობა, შენი ჭირიმე...

ლ ა დ ო. ხვალამდის, ბატონო ნიკო... დაწექით და რაც კი გაქვთ, ზედ დაიხურეთ, რომ არ გაცივდეთ...

ნ ი კ ა ლ ა. ნახვამდის, შენი ჭირიმე... მანდ ფრთხილად იარე. (ღია კარში ლამპას უნათებს. შემდეგ შემოტრიალდება, ლამპას დადგამს და გაზეთში დაბეჭდილ თავის სურათს დააშტერდება სიხარულით.) მე ვარ... აშკარად მე ვარ... (კითხულობს.) „სახალხო მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი“... ჰა, როგორა თქვა?.. შენი პატივისმცემლები მრავლდებიანო... აჰაი დედასა, ნიკალა ფიროსმანაშვილო! მაშ შენც გეღირსა, ბიჭო?! ჰმ.. მაინც შენი გაიტანე, ჰა, შე სახეძაღლო! (გახარებული გადაიხარხარებს, მაგრამ უცებ ხველება აუვარდება, თვალებს შეშლილივით გადმოკაკლავს და იატაკზე დაეცემა.) ვაი, ლამის გული ბუდიდან ამომვარდეს, ვაი, ვიხრჩვები... (ხრიალებს. კარზე ძლიერი რახუნი. ნიკალა თავს წამოსწევს.) ვინ არის?

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ. მე არის!

ნ ი კ ა ლ ა. ვინ შენა?..

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ. ვეღარ მიცანის?.. მე ხარ, „დვორნიკი“ კირაკოზა!

ნ ი კ ა ლ ა (კვნესის). ოო, მოხვედი, ჩემო სულთამხუთავო... ძმაო, ერთხელ ხომ დაგხატე... მეტი რა გინდა...

კ ი რ ა კ ო ზ ა (გარედან). სახლის პატრონი ბრძანა, ნიკალა ქირას არ იხდის და უნდა გაგყაროო...

ნ ი კ ა ლ ა. მივცემ, ძმაო... მივცემ... ეხლა ფული მაქვს... ოღონდ ქუჩაში ნუ გამაგდებთ...

კ ი რ ა კ ო ზ ა. მანდ რას ბურტყუნამ... გააღე ჩქარა... აქ კიდევ ერთი ქალი გიკითხებს... (ნიკალა კვნესის და ხრიალებს.) ვაჰ, არ გესმის... (კარი ხმაურით გაიღება და სარდაფში შემოდის მეეზოვე კირაკოზა — სწორედ ისეთი, როგორც ეს ფიროსმანის სურათზეა დახატული.) ეი, ნიკალა, სადა ვარ, კაცო?.. (სარდაფს მოათვალიერებს, იატაკზე გართხმულ ნიკალას დაინახავს.) ხვალ დილაზე აქ შენი „დუხი" აღარ იყოს, თორემ შენც გაგყრი და შენი ხარახურაცა.

ნ ი კ ა ლ ა (ამოიხრიალებს). ვკვდები, კირაკოზ...

კ ი რ ა კ ო ზ ა (შეშინებული ლამპას მიანათებს, შემდეგ ვარეთ გასძახის). ქალბატონო, ჩქარა ჩამობრძანდის... ნიკალას რაღაცა ამბავია... მე მინავათ... სახლის პატრონი უნდა მოვახსენო... (გავარდება. სარდაფში ჩქარი ნაბიჯით ჩამოდის შეშფოთებული ვარინკა, ნიკალასთან მიიჭრება, თავს წამოუწევს, მკერდზე მიიყრდნობს.)

ვ ა რ ი ნ კ ა. ჯერ ცოცხალია... სიცხისგან იწვის... (საყელოს უხსნის, წყალს აპკურებს.) რა დაგმართნია, შე საცოდავო... ნიკალა!.. ჩემო ნიკალა!.. თვალები გაახილე... ნუ გეშინიან...

ნ ი კ ა ლ ა (თვალებს გამოახელს). ვინა ხარ?.. ვინა?..

ვ ა რ ი ნ კ ა. ვარინკა ვარ, შენ შემოგევლე... (შუბლზედ კოცნის.) ნუ გეშინიან... ეხლავ გაგივლის...

ნ ი კ ა ლ ა (უზომოდ გახარებული). ვარინკა, შენა?.. (მხარზე მიესვენება.) შენი ჭირიმე... იცი, მას შემდეგ ბევრჯერ გინატრე.

ვ ა რ ი ნ კ ა. ჰოდა, აი მოვედი, შენ გენაცვალე... გულმა მიგრძნო და გამოვეშურე... მოვედი, რომ სულ წაგიყვანო... ეხლა შენ სულ ჩემთან იქნები... აბა, წამოჯექ... ცოტაც წამოიწიე...

ნ ი კ ა ლ ა. ოო, დიდი მადლობა, რომ მოხვედი... მე უგუნურმა, ეს რა ვქენი... შენც დაგღუპე და ჩემი თავიცა... მე უბედურს ყველაფერი ქართული მწამდა... ზეცაც და მიწაც... სუფრაც და ლხინიც... ზეცა და მთვარეც... და რა ღმერთი გამიწყრა, რომ ვიღაც გადამთიელ ქალზე გაგცვალე... უუხ, ჩემო თავო!

ვ ა რ ი ნ კ ა. შენი ჭირიმე, კარგი, ნუ შფოთავ...

ნ ი კ ა ლ ა. არა, რამ დამაბრმავა... შენზე უკეთესს ვის ვინატ-

ებდი... ვარინკა-ჯან, მოდი გაკოცო... (შორიდან მოისმის ზარების
ბა და საეკლესიო გალობა.) ეს რა არის?

ვ ა რ ი ნ კ ა. საეკლესიო გალობაა, ჩემო ნიკალა...

ნ ი კ ა ლ ა. რას გალობენ? ჩემს საპანაშვიდოს?

ვ ა რ ი ნ კ ა. დამიდგეს თვალი! რაებს ამბობ... ღმერთმა გაშო-
როს...

ნ ი კ ა ლ ა. მაშ რას?.. უკვე „წმიდაო ღმერთოს“?..

ვ ა რ ი ნ კ ა. არა, ჭირიმე... ამაღამ აღდგომაა...

ნ ი კ ა ლ ა. (წამოტორტმანდება). ჰო, ჰო, ამაღამ ლიტანიაა!
„ქრისტე აღსდგაო“, ამას გალობენ... (სასოებით.) უფალო ღმერ-
თო!.. ჩემთვის უკვე არაფერსა გთხოვ... მხოლოდ ამასღა გემუდა-
რები: აღადგინე ჩემი სამშობლო... მაჩვენე იგი აყვავებული, განათ-
ლებული, გახარებული და საბოლოოდ ბორკილაყრილი!.. (ვარინკას.)
და თუ მე ამას ვერ მოვესწრო, მოდი საფლავთან და ჩამომძახე...
გამეხარდება... (წამოტორტმანდება და უსულოდ დაეცემა იატაკზე.)

ვ ა რ ი ნ კ ა. ნიკალა!.. ჩემო ნიკალა! (გვამზე დაემხობა და ქვითი-
ნებს. შემოდის კირაკოზა.)

კ ი რ ა კ ო ზ ა. ქალბატონო!.. სახლის პატრონი დამაბარა, ამ კაცს
იმისი ვალი მართებს, ხუთი თვის ქირა და ეხლავე გამოგზავნოსო...

ვ ა რ ი ნ კ ა (წამოდგება, მრისხანედ შეხედავს). ასე მოახსენე
შენს სახლის პატრონს, რომ ნიკალა ფიროსმანაშვილს აღარავისი
აღარაფერი აღარ მართებს-თქო... თავისი ხალხის წინაშე მან პირ-
ნათლად მოიხადა თავისი ვალი!

1960